გოგი ცხოვრებაძე

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დაეოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში

გამომცემლობა «ფერიდიანი»
თბილისი
1996

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ტენდენციურად, ცალმხრივად იყო წარმოდგენილი. შესაბამისად დამახინჯებულად შეფასდებოდა 1921-1925 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენები, ასევე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის როლი და საქმიანობა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ავტორი საარქივო დოკუმენტების, ემიგრანტული ლიტერატურის, პერიოდული პრესისა და სხვა მასალების საფუძველზე ობიექტურად გადმოგვცემს საქართველოს უახლესი ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი პერიოდის მოვლენებს, პოლიტიკური ემიგრაციის მიზანმიმართულ მუშაობას საქართველოს საკითხისათვის ევროპაში. წარმოდგენილი მონოგრაფია ამ კუთხით პირველ ცდაა ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ შეუსწავლელი პრობლემების გაშუქებისა და ამიტომ ყველა სამართლიანი შენიშვნა ავტორის მიერ მადლიერებით იქნება მიღებული.

ნაშრომი განკუთვნილია საქართველოს უახლესი ისტორიის, საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და დიპლომატიის ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულ სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტ. მეც. დოქტ., პროფ. რ. გრძელიძე

რეცენზენტები: ისტ. მეც. დოქტ. პროფ. ფლომაშვილი
ისტ. მეც. კანდიდატი, რცუბიშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი", 1996

წყაროები და ისტორიოგრაფია

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანია 1921-1925 წლები, როცა ქართველი ერი დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის იბრძოდა. საერთოდ კი XIX ს. II ნახევრიდან განახლებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიზანი, რომლის მოთავე და წამომწყებნი იყვნენ ქართველი თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, შესაძლებელი გახდა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცირე ხნის არსებობისა, 26 მაისი თავისუფლების მებრძოლი ძალების, ილიას ეროვნული კონცეფციისა და მის მიმდევართა დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა ოკუპაციითა და ფაქტობრივი ანექსიით მოსპო საქართველოს სახელმწიფოებრიობა, საქართველოს დემოკრატიულმა რესუბლიკამ შეწყვიტა არსებობა, მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა და პოლიტიკური ემიგრაციის მწარე ხვედრი გაეზიარებინა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ დატრიალებულმა ახალმა სისხლიანმა ამბებმა კვლავ აიძულა ქართველთა ახალი ტალღა 1921 წლის პოლიტიკურ ემიგრაციას შეერთებოდა. ასეთივე ბედი გაიზიარა შემდგომში ბოლშევიკური ტერორის შიშით და დასაღუპავად გაწირულმა ქართული ინტელიგენციის ზოგიერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა.

ერთი სიტყვით, XX საუკუნის 20-30-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ჩამოყალიბება, მიუხედავად მცირერიცხოვნებისა (დაახლოებით 1500 კაცი), ფაქტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრესული, თავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, იგი დარჩა თავისი ერის, საკაცობრიო იდეალების მსახურად.

ჩვენი ამოცანაა შედარებით სრულად და ობიექტურად, მონოგრაფიული წესით, წარმოვადგინოთ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 1921-1925 წლებში. ამ მიზნით შევეცადეთ პრობლემის ირგვლივ არსებული წყაროების, ლიტერატურისა და სხვა ხასიათის მასალების ახლებურად გააზრების საფუძველზე, გაგვეშუქებინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და მისი ანექსიის, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და, ზოგადად, ქართული

პოლიტიკური ემიგრაციის როლი და საქმიანობა ქართული საკითხი დასმისათვის ევროპაში, ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტ სათვის ბრძოლის საკითხები.

სამწუხაროდ სხვადასხვა მიზეზთა გამო დღემდე ვერ მოხერხ საქართველოს ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი პერიოდის მეც ნიერული შესწავლა. არადა მის სამართლიან გაშუქებას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

საქართველოს - უახლესი, 1921-1925 წლების, ისტორიის პირველ წყაროთა შორის უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკ-რატიული რესპუბლიკისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარ-ქივო მასალა, ე. წ. პარეარდის ფონდიდან, რომლის მიკროპირები დაცულია საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საისტორიო არ-ქივში.

აღნიშნული არქივის მიკროპირების გამოყენებით, შესწავლილი და გაანალიზებულია ასამდე საქმე და ათასზე მეტი ფირი, რომლის საფუძ-ველზე, ძირითადად, მომზადდა წინამდებარე გამოკვლევა. ბევრი მათ-განი პირველად შემოდის სამეცნიერო ლიტერატურაში. ამათგან გან-საკუთრებით საინტერესოა: „საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის დ ჩრდ. კავკასიის დიპლომატიურ წარმომადგენელთა საქმიანობის შესახებ", „საქართველოს საკითხი გენუის კონფერენციაზე", „მემუარი - საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური მუშაობ შესახებ", „საქართველოს მთავრობის წევრთა ერთიანი ფრონტ სხდომის ოქმები", „საქართველოში 1924 წლის აჯანყების მასალები „ინფორმაციები საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ „ინტერპარტიული კონფერენციის ოქმები", „საქართველოს მთავრობის. და დამკომის ერთობლივი სხდომის ოქმები", „მთავრობის თავმჯდომა-რისა და სრულუფლებიანი ელჩის წერილები", ასევე ნოტები, მიმართ-ვები სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისადმი და სხვა. მრავალ-დოკუმენტი და მასალა უშუალოდ შევიდა ნაშრომში, ზოგიერთ მათ-განს კი დანართის სახით. წარმოვადგენთ.

საველევი პერიოდის სწორად შეფასებისათვის ასევე პირველწყარო-წარმოადგენს საბჭოური, განსაკუთრებით კი ჯერ კიდევ შეუსწავლელ-და გამოუქვეყნებელი ყოფილი სუკ-ის საარქივო დოკუმენტები, რო-მელთა მოძიება და გამომზეურება უფრო მეტ სიცხადეს შეიტანდ-წინამდებარე ნაშრომში, მაგრამ, მიზეზთა გამო, მათი მონოგრაფიაშ-შეტანა ვერ მოხერხდა.

ღღეანდელი მკვლევარი, ვინც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლ-მოცემულ საკითხზე მუშაობს გვერდს ვერ აუვლის ქართული პოლი-ტიკური ემიგრაციის პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა, სხვადასხვ-

ხასიათის ნაშრომებს, რომლებიც პირველწყაროთა რიგს განეკუთვნებიან.[1]

ნ. ჟორდანიას წიგნში „ჩემი წარსული", ავტორი ცდილობს ნათელი მოჰფინოს საქართველოს 1918-1921 წლების მოვლენებს და გაამართლოს მისი, როგორც მთავრობის თავმჯდომარის, მოღვაწეობა. თუმცა, როგორც მემუარული ხასიათის ნაშრომი, ისიც არაა დაზღვეული ტენდენციურობისაგან, რაც მისი გამოქვეყნებისთანავე თვალნათლივ დადასტურდა ქართულ ემიგრანტულ წრეებში მისდამი კრიტიკული დამოკიდებულებით. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვყოთ გ. კვინიტიძის ბროშურა „ჩემი პასუხი" და სხვა ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოხმაურებანი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის კ. გვარჯალაძის წიგნში „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში", ლაპარაკია დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისა და მმართველი პარტიის წარმომადგენელთა ღვაწლზე, რომელსაც ისინი საზღვაგარეთ ეწეოდნენ ბოლშევიკური აგრესიის მხილებისა და ქართველი ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვის საჩვენებლად საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებისათვის. აღნიშნული ნაშრომი, შეიძლება ითქვას ერთადერთია ემიგრანტულ ლიტერატურაში საზღვარგარეთ მყოფი მთავრობის საქმიანობის შესახებ. მართალია, იგი სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჩარჩოშია მოქცეული, მაგრამ ფაქტებისა და მოვლენების მართებული გადმოცემის თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ზოგადმეცნიერული კვლევისათვის. ავტორი, საქართველოს მთავრობის საქმიანობას ევროპაში დიპლომატიური და იდეოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით დადებითად აფასებს.

ს. გოგიბერიძე, ნაშრომში „ბრძოლა სამშობლოსათვის" ეხება საქართველოში 1922-1924 წწ. ანტიბოლშევიკური მოძრაობის არეალს

---

[1] ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული. თბ., 1990; კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბ., 1991; ვ. მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., 1991; კ. ინასარიძე, „პატარა ოქროს ხანა" საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წწ. მიუნხენი, 1985; გ. კვინიტიძე, ჩემი პასუხი, თბ., 1990; გრ. გიორგაძე, საქართველო, ანტანტა და რუსეთი, თბ., 1921, გ. ურატაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება და კონსოლიდაცია. მიუნხენი, 1956. (რუსულ ენაზე); გ. ჭეჭიძე, ეროვნული ენერგია, თბ., 1990; -გ. ბაღლაკელიძე, მოგონებანი, ეურნ. „განთიადი", 1991, № 1,2 ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის აჯანყება, თბ., 1989; ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბ., 1991; რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა-დაბრუნება, ტ.3, თბ., 1992; გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი 1917-1923 წწ. თბ., 1990; კ. კანდელაკი, საქართველოს საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე (აქტები, დოკუმენტები, დამამტკიცებელი საბუთები), პარიზი, 1953 (ინგლისურ ენაზე); ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკერები, თბ., 1990; ე. თევზაძე, ქართული ოფიცრის ჩანაწერები, თბ., 1990; და სხვ.

გურიის მაგალითზე. ავტორი, გურიაში მიმდინარე მოვლენებს საერთო ქართული მოძრაობის კონტექსტში განიხილავს. ეხება რა, მოძრაობის ორგანიზაციულ მხარეს, ს. გოგიბერიძე შენიშნავს: „დღეს კი ვინც ამ მოძრაობას იცნობს, მან იცის, რომ ამ მხრივ ჩვენ არაფერი გვაქვს საძებარი სხვა ქვეყნების განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში“.[2]

მოვლენათა სრული სურათია მოცემული ს. ზალდასტანიშვილის ნაშრომში „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“. ავტორი ეხება აჯანყების მომზადებას, მოწყობას, დამოუკიდებლობის კომიტეტის ყველაზე აქტიურ წევრთა როლსა და საქმიანობას. ს. ზალდასტანიშვილი, როგორც აჯანყების მონაწილე, ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე მიმოიხილავს ფაქტებსა და მოვლენებს და მის თანამედროვეთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ობიექტურ მსაჯულად გვეცილინება 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაზე და მის ღვაწლზე საუბრისას, ვეხებით რა საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე რთული პერიოდის, 1921-1925 წლების, მოვლენებს, ვაანალიზებთ საბჭოთა ისტორიოგრაფიის და ემიგრანტ მოღვაწეთა ნააზრევს, კვლევის თვალსაზრისით უაღრესად რთული პრობლემების წინაშე ვდგავართ, ამიტომ აქ გადამწყვეტი სიტყვა თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ უნდა თქვას. ვგულისხმობთ ქართველ მკვლევართა დღევანდელ თაობას, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი იდეოლოგიური და ცენზურული ზეწოლისაგან, რაც ხელს უწყობს ღრმა, მეცნიერულად გაანალიზებული აზრის ჩამოყალიბებას.

ემიგრანტ მეცნიერთა: ზ. ავალიშვილის, ვ. ნოზაძის, ალ. მანველაშვილის და სხვათა გვერდით თანამედროვე ქართველ მკვლევართა: ლ. თოიძის, ა. მენთეშაშვილის, რ. გრძელიძის, ალ. მუჯირის, ვ. ბენიძის, მ. მაცაბერიძის, პ. სურგულაძის, გ. შარაძის და მრავალ სხვათა ნაშრომებსა და პუბლიკაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული საკითხის შესწავლისათვის.

---

[2] ს. გოგიბერიძე. ბრძოლა საშინაბლისათვის, თბ., 1991, გვ. 38.

[3] ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (მოგონებები, ნარკვევები) პარიზი, 1924, თბ., 1929; ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა შეხედვის გაცო, თბ., 1989. მისივე, დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში, ჟურნ. კრიტიკა, 1995, № 4; ალ. მანველიშვილი, ჩემი მოგონებები, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1991, № 2, 6, 7, 8, 9, 10. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალადებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 1991; მისივე, როგორ შეიჭრა საბჭოთა-სუფთა ავტომობილი ოლქი, თბ., 1991; რ. გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992; ვ. ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991; ა. თინელიშვილი, სოციალიზაციები საქართ-

ღრმად მეცნიერული და შემეცნებითი ხასიათისაა ვ. ნოზაძის ნაშრომი „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა ვესხეთის გამო", რომელშიც ავტორი მესხეთის პრობლემას მრავალწახნაგოვან ასპექტში განიხილავს და ეხმარება მკითხველს არა მარტო ამ კუთხის, არამედ 1918-1921 წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების რთული კვანძის გახსნაში. საკითხთა მთელი წყება, რომელთაც ავტორი მიმოიხილავს, კრიტიკულ ფონზეა გაშლილი. ვ. ნოზაძე, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის წინაპირობად მიიჩნევს.

ლ. თოიძის ნაშრომში „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც", გაანალიზებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა 1920-1921 წწ. მოცემულია 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენების შეფასება, ოკუპაციის სამართლებრივი მხარეები. ნაშრომში განზოგადებულია დიდძალი ფაქტობრივი მასალა, რომელშიც წარმოჩენილია საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოების მრავალი ასპექტი, კერძოდ, რომ საქართველოში 1921 წლის დამდეგს არავითარი სახალხო აჯანყება არ მომხდარა. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი დამთავრდა წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციით, რასაც მოჰყვა ფაქტობრივი ანექსია. ახდენს რა საბჭოთა პარტიული მოღვაწეების — ვ. ლენინის, ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის და მრავალ სხვათა გამონათქვამების აკუმულირებას მათი მითითებებიდან და სიტყვებიდან გამომდინარე, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ 1921 წლის დამდეგის მოვლენები საქართველოში გარედან თავს მოხვეული აგრესიის შედეგი იყო. უაღრესად მნიშვნელოვანია ნაშრომის ბოლო თავი და დანართი, რომელიც თან ახლავს შრომას.

ველოს დამოუკიდებლობის შესახებ, თბ., 1991; ჯ. სურგულაძე, ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბ., 1991; მ. მაცაბერიძე, აჯანყებულთა ტაქტიკა 1924 წელს დასავლეთ საქართველოში, ჟურნ. „მხედარი", 1991, №2; ალ. შუჯირი, 117 წლის შემდეგ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ჟურნ. მნათობი, 1991, 1 6, 7; დ. ურუშაძე, ბოლშევიზმ-მენშევიზმი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 1991; გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ (ტრილოგია) წიგნი პირველი თბ., 1991; წიგნი 2-3, თბ., 1993; მისივე, ფრანგული დღიური, თბ., 1990. А. Ментешашвили, Октябрская революция и национально-освободительное движение Грузии 1917-1921 гг. Тбилиси, 1987; Его же. Политическая история Грузии 1918-1921 гг. (სადოქტორო დისერტაცია სამეცნიერო მოხსენების ფორმით) თბ., 1991. Его же. Грузия - РСФСР (1920-1921) гг.). Ж. "Литературная Грузия", 1990, N 2; Оккупация и фактическая аннексия Грузии (о политической и правовой оценке нарушения договора между Грузией и Советской Россией от 7 мая 1920 г. Составитель А. Ментешашвили. Ред. А. Сургуладзе). Тбилиси, 1990 და სხვ.

ნაშრომში „საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1917-1921 წწ". ა. მენთეშაშვილი უამრავ საარქივო და ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით განიხილავს ქართველი ხალხის სუვერენული უფლებისათვის ბრძოლას 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას, მისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებასა და გასაბჭოებას 1921 წლის თებერვალში. ავტორმა, ახალი წყაროებისა და ანალიზის საფუძველზე, წარმოაჩინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების ისეთი საკითხები, რომლებიც ქართული ისტორიოგრაფიისათვის ადრე ნაკლებად ცნობილი იყო. მან ფაქტიურად პირველმა შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის დოკუმენტები, აგრეთვე უცხოელ ავტორთა მრავალი ნაშრომი საქართველოსთან მიმართებით კრიტიკულად გაანალიზა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საარქივო დოკუმენტებისა და იმდროინდელი ემიგრანტული ნაშრომების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე რ. გრძელიძის ნაშრომში „1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში" გაშუქებულია 1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყება, მისი ისტორიული როლი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. აანალიზებს რა 1924 წლის აჯანყებას საქართველოში, ავტორი, მარტო აგვისტო-სექტემბრის მოვლენებით არ იფარგლება. იგი ეხება 1921-1922 წლებში სვანეთ-რაჭა-ლეჩხუმისა და კახეთ-ფშავ-ხევსურეთის გამოსვლებს და მისდამი გამოხმაურებას გენუის კონფერენციაზე — ხსნის იმ მუშაობის რთულ ჯაჭვს, რასაც დამოუკიდებლობის კომიტეტი ეწეოდა საქართველოში 1922-1924 წწ. ეხება რა აჯანყების ხასიათსა და მამოძრავებელ ძალებს კონკრეტული ფაქტებისა და მასში მონაწილე პირთა სოციალურ-კლასობრივი და პარტიული მდგომარეობის მიხედვით, ავტორი მას სახალხო გამოსვლად მიიჩნევს. უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორისეული შეფასება აჯანყების დაშარცხების მიზეზთა გამო, რომელიც არსებით მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შესწავლისა და საპირო დასკვნების გამოტანისათვის.

საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ მდიდარ მასალას ვხვდებით როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში — „საქართველო", „სახალხო საქმე", „თანამედროვე აზრი", „ერთობა"; „შრომა", „ჩვენი აზრი", „ბრძოლა", „სახალხო ფურცელი", „ალიონი", „Тифлисский Листок", ასევე კომუნისტურ და არაკომუნისტურ ჟურნალ-გაზეთებში: „კომუნისტი", „სპარტაკი", „მომავალი",

„მოამბე", „ახალი გზა", „Заря Востока", „Правда", „Известия" და სხვა.

უაღრესად საინტერესოა ქართული ემიგრანტული პრესა. მასში უამრავი მასალაა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიიდან. იგი საბჭოური პერიოდის პუბლიკაციებთან შედარებით, თავისუფალია იდეოლოგიური ჩარჩოებისაგან. სამწუხაროდ, უმრავლეს მათგანს დღემდე არ იცნობდა ჩვენი საზოგადოება და მრავალ მათგანზე დღესაც არ მიგვიწვდება ხელი. არადა, 1921 წლიდან მოყოლებული, ემიგრაციაში 50-მდე სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა და ზოგიერთი მათგანი დღესაც გამოდის.

გაზეთები „თავისუფალი საქართველო" და „დამოუკიდებელი საქართველო" ემიგრაციის ზღურბლზე შეიქმნა. პირველი ჯერ კიდევ 1921 წელს გამოვიდა სტამბოლში (ჯერ ხელნაწერის სახით, გ. ცაბ.), ხოლო მეორე — პარიზში 1922 წელს, იგი ინტერპარტიულ ორგანოს წარმოადგენდა და თავისუფალი აზრის ყველაზე დემოკრატიულ ორგანოდ შეიძლება მივიჩნიოთ ემიგრაციაში.

საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა საზღვარგარეთ თავიანთი პრესა გაიჩინეს. სოციალ-დემოკრატებმა დაარსეს ჟურნალი „ბრძოლა", შემდეგში კი „ბრძოლის ხმა", მოგვიანებით კი — „ჩვენი დროშა" ეროვნულ-დემოკრატებმა 1925 წელს გაზეთის „სამშობლოსათვის" გამოცემა დაიწყეს (რედ. სპ. კედია). 1929 წელს გამოვიდა ჟურნალი „სამშობლო" (რედ. ალ. ასათიანი) და გაზეთი „საქართველოს გუშაგი" (რედ. სპ. კედია). 1949 წლიდან პარტიის ძირითადი ორგანო ჟურნალი „ივერია" იყო.

რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პრესას, აღსანიშნავია გაზეთები: „სახალხო საქმე" და „საქართველო", ხოლო ჟურნალებიდან „კავკასიონი" და „ბედი ქართლისა", საკმაოდ დიდხანს წამყვან როლს თამაშობდნენ ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკაში.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და საქართველოს 1921-1925 წწ. დამოუკიდებლობის საკითხის უკეთ შესასწავლად თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია აუცილებლად უნდა დაეყრდნოს ევროპული პრესის მასალებს, რომლის შესწავლის ცდასაც საკმაო ადგილი ეთმობა წინამდებარე ნაშრომში.

საქართველოს უახლესი და მათ შორის 1921-1925 წლებში მიმდინარე მოვლენათა შესწავლას საბჭოთა ისტორიოგრაფიამ დიდი ყურადღება დაუთმო. დაიწერა მრავალი წიგნი, ბროშურა, საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია, ეს პერიოდი აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-7 ტომში, მაგრამ მათი ავტორები, მკაცრი ცენ-

ზურის გამო, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ქვნიდნენ ვიწრო, კლასობრივი და პარტიული პოზიციებიდან გამომდინარე ნაშრომებს. მათში ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა, და რაც ძთავარია, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკვანძო საკითხები ტენდენციურად განიხილებოდა.

ამ თემაზე შექმნილ ნაშრომების ძირითად მიზანს წარმოადგენდა დასაბუთება იმისა, რომ საქართველოში არსებობდა სუბიექტური და ობიექტური წანამძღვრები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, რომ საქართველოში იფეთქა სახალხო აჯანყებამ დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საქართველოში მიმდინარე ეროვნული თვითშეგნების აღორძინების პროცესი ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად ჩონათლა, ხოლო 1921-1925 წწ. ანტიბოლშევიკური გამოსვლები და, მათ შორის, 1924 წლის აჯანყება — ავანტიურად.

ქართველ საბჭოთა მკვლევართა შორის უ. სიდამონიძე იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გამოაელინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის შესწავლის საბჭოთა ისტორიოგრაფიის ნაკლოვანი მხარეები. ზოგად-ობიექტური კვლევის თვალსაზრისით, საინტერესოა აგრეთვე ა. ბენდიანიშვილის ნაშრომი, რომელშიც გაშუქებულია ეროვნული საკითხის გადაჭრის მნიშვნელოვანი ასპექტები, განხილულია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მთელი რიგი პრობლემები.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის, აქ მიმდინარე მოვლენების შეფასებისათვის უაღრესად საინტერესოა რიგი უცხოელი ავტორების: ე. კარის, დ. კენენის, დ. ტომსონის, უ. ენტონის, ი. ბრედლის, რ. კონკეს-

---

[4] გ. ორჯონიკიძე, მენშევიკების ავანტურა საქართველოში. თბ., 1924. მ. კახიანი, მენშევიკები სამუშაოზე, თბ., 1924; მისივე, მენშევიკების გამოსვლის შედეგები და გაკვეთილები, თბ., 1924; მისივე, კიდევ ერთხელ ემიგრაციის შესახებ, თბ., 1927; ლ. ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბ., 1927; კ. სულაქვლიძე, რა მოხდა (ვინ და როგორ მოაწყო აგვისტოს აჯანყება), თბ., 1927; ფ. ლომაშვილი, ქართული ემიგრაციის ისტორიიდან; თბ., 1965; გ. ჯანგველაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების იდეოლოგიური და ორგანიზაციული განადგურებისათვის. 1903-1923 წწ. თბ., 1974 წ. შ. ვადაკორია, საქართველოს კომკავშირის ბრძოლა "ახალგაზრდა მარქსისტთა" ბურჟუაზიული ორგანიზაციების იდეური განადგურებისათვის (1921-1925 წწ.). თბ., 1985 და სხვ.

[5] უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, 1917-1921 წწ. თბ., 1970; ა. ბენდიანიშვილი. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ. თბ., 1980.

ტის, პ. კენეზის, დ. ლენგის, გრ. სიუნის, ი. შარიფის, რ. დიუგეს ე. ობსტის ნაშრომები.[6]

ფრანგი ავტორი რემონ დიუგე, ეხება რა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მწვავე დეტალებს, ობიექტური მართლზომით უდგება თითქმის ყველა საკითხს. ნაშრომი, ძირითადად, დაზღვეულია ტენდენციურობისაგან და საარქივო თუ ზეპირი მასალების ფონზეა განხილული.

საქართველოს გასაბჭოებას ედგარ პალეთ კარი საბჭოთა რუსეთის ფაქტორით ხსნის. რაც შეეხება სიუნის შეფასებას 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, მისი აზრით, აჯანყების დამარცხებასთან ერთად, დამთავრდა საქართველოს „ბოლშევიზაცია". აქვე უნდა ითქვას, რომ უცხოელ ავტორთა ნაშრომებს ნამდვილად გააჩნიათ ჰეშმარიტების თქმის პრეტენზია.

---

6 ე. ობსტ. საქართველო (გეოპოლიტიკური ნარკვევი). ჟურნ. კავკასიონი. პარიზი 1964. წიგნი IX. გვ. 5-10. რ. დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო (ქართული თარგმანი) თბ., 1994; E H. Carr, A History of soviet Russia. The Bolshevik Revolution 1917-1923, 1966. Kenan, G. F. Soviet-American Relations 1917-1920. Princeton 1956. Thompson g. Allied and American intervetion in Russia in 1918-1921. N y. 1956. Kasemsader F. The stuugle for Transcaucasia 1917-1921. N. y. 1951; Pipes R. The Forvation of the Soviet Union. Cambridge. 1968; Seton-Wetson H. Nationalism Old and new. Sidney. 1965, Gonguest R. Soviet Nationalities Policy and Practice. N. y., 1967; Kenes P. Givil war in south Russia; Los-Angeles. 1977; Grigoz suny, The making of the Georgian Nanion Ronald. London, 1989.

თავი I. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში

§. I. საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება და მისი ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორწლიანმა ბრძოლამ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებათა დაცვისათვის თავისი დადებითი ნაყოფი გამოიღო, რამაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას 1920 წლისათვის შესაძლებლობა მისცა მეტნაკლებად დაეძლია მის წინაშე არსებული პოლიტიკური სირთულეები და საფუძული ჩაეყარა დამოუკიდებლობის ფაქტიური აღიარებისათვის.

ამავე დროს რესპუბლიკის მთავრობა ხედავდა რა, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე ნელ-ნელა დგამდა აუცილებელ ნაბიჯს ევროპელ „იმპერიალიზმთან" ურთიერთობაში, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა კონცესიების გაცემით ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მეწარმეებისადმი. ნ. ყორდანიას სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, „თავისუფალ საქართველოს მისთვის (ხალხისათვის, გ.ც.) უნდა მიეცა რაღაც ჰეტი, რომ ის თავის გულში ჩაეკონა. ეს იყო საგარეო მყუდროებას გარდა, ეკონომიკური გაუმჯობესება".[7]

რეფორმებს (მიწის, კერძო ქონების განსახელმწიფოებრიობა, სინდიკატების შექმნა და სხვ.) ზომიერი ხასიათი ჰქონდა, ამიტომაც იგი ჩატარდა უმტკივნეულოდ, სოციალური შეხლა-შემოხლის გარეშე. ყოფილი რუსეთის იმპერიის ბევრ სხვა მხარესთან შედარებით საქართველო არა თუ ჩამორჩებოდა მათ ეკონომიკურად, არამედ უსწრებდა კიდეც. ამის დამადასტურებელია თუნდაც ქართული ფული, რომელიც, არნახული ინფლაციის მიუხედავად, უფრო მაღალ კურსს ინარჩუნებდა, ვიდრე საბჭოთა რუსეთის (1:100), ან კიდევ მისი მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთისა. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი ბოლშევიკის ა. კობახიძის (მირსკის) წერილი ვ. ლენინისა და ი. სტალინისადმი 1919 წლის ბოლოს, სადაც იგი ეხება მუშათა და გლეხთა სოციალურ მდგომარეობას საქართველოში და მას დადებითად აფასებს. ასევე თვით ვ. ლენინის 1921 წლის აპრილს ცნობილი მითითება, რომ –

---

[7] ნ. ყორდანია, ჩემი წარსული თბ., 1990, გვ. 101.

„საქართველო უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის საფარი".[8] აღნიშნული წერილი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს უკეთესად ჰქონდა მოგვარებული საქონელგაცვლის საკითხი დასავლეთ ევროპასთან.

რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას ერთაშორის ურთიერთობაში, მიუხედავად სირთულეებისა, იგი დაძლეული იქნა, იმ გამონაკლისის გარდა, რომელიც შიდა ქართლის ოსური მოსახლეობით დასახლებულ მცირე ნაწილსა და ლორეს ნეიტრალურ ზონას შეეხებოდა. ერთი სიტყვით, საქართველო თავისი სახელმწიფოებრიობის მოწყობის გზაზე გადაურჩა იმ ანარქიას, რომელმაც ყოფილი რუსეთის იმპერიის დიდი ნაწილი მოიცვა, სწორედ ამაზე მიუთითებდა ნ. ჟორდანია კავკასიაში ბრიტანეთის არმიის მთავარსარდალთან უოკერთან — შეხვედრის დროს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918-1919 წწ. მართალია, მეტ-ნაკლებად გადაჭრა საშინაო პრობლემები, საგარეო ურთიერთობის საკითხი — დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით მისთვის „კერკეტი კაკალი" აღმოჩნდა, რადგან მას ძირითადად „საერთაშორისო კომბინაციები" განსაზღვრავდნენ. ამავე დროს რთული აღმოჩნდა „რუსული ფაქტორის" გადალახვა. მიუხედავად ამისა, დაგვიანებით მაგრამ მაინც საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარებული იქნა ანტანტის ქვეყნების მიერ 1920 წლის 12 იანვარს (უფრო ადრე კი მისი დამუკიდებლობა ცნეს გერმანიამ და თურქეთმა).

რამ განაპირობა მოცემულ დროს საქართველოს დე ფაქტო-დ ცნობა ევროპის მხრიდან, რას ელოდა ანტანტა საქართველოდან საპასუხოდ? რატომ აჭიანურებდა დასავლეთი მის იურიდიულ აღიარებას, ან რატომ განიცდიდა დიდი ბრიტანეთი, როგორც ევროპული პოლიტიკის „მთავარი დირიჟორი" ხშირ სახეცვლილებას ქართულ საკითხთან დაკავშირებით. რა სურდა მას, რა უშლიდა ხელს ინგლისსაქართველოს ნორმალურ ურთიერთობას, როცა მათ მტერი თითქოს საერთო ჰყავდათ ბოლშევიზმისა და თურქი ასკერების სახით, ნ მათი მოკავშირეობა მოჩვენებით ხასიათს რატომ ატარებდა? ამ და სხვა მრავალ კითხვაზე პასუხის გაცემა საშუალებას მოგვცემს ნაწილობრივ მაინც გავერკვეთ იმ კატასტროფულ შედეგში, რაც 1921 წლის თებერვალმა მოუტანა დემოკრატიულ საქართველოს.

---

[8] ვ. ი. ლენინი, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დალესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს. — თხზულებანი. მეოთხე გამოცემა, ტ. 32, გვ. 398.

მართალია, ჩვენს კელეკას ამ მხრივ შეზღუდული ხასიათი აქვს და თან ნაკლები პრეტენზია უტყუარობისა და შეუმცდარობისა, მაგრამ, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით, შეეცდებით პასუხი გაეცეთ აქ დასმულ ზოგიერთ საკვანძო საკითხს, აეხსნათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა — საერთაშორისო აღიარების თვალაზრისით. დავიწყოთ თავიდან.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში 1918 წლის 26 მაისს უდიდესი როლი ითამაშა გერმანიის ფაქტორმა, რომლის კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ საქართველოსადმი ცივი წყალი გადაასხა თურქეთისა და რუსეთის ზრახვებს. მაგრამ გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და იგი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა. საქართველო მოკავშირის გარეშე აღმოჩნდა. თუმცა 1918 წლის ბოლოსათვის ამიერკავკასიას და მათ შორის საქართველოს ახალი „მფარველი" გამოუჩნდა ინგლისის სახით.

კავკასია ინგლისის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა (1917 წლის 23 დეკემბრისა. და 1918 წლის ინგლის-საფრანგეთის კონვენცია „რუსეთის საკითხში"), რომელსაც ორმაგი როლი უნდა ეკისრა — ერთი მხრივ, ბოლშევიზმის წინააღმდეგ თეთრი გენერლების მხარდასაჭერად და მეორე — თურქეთის, როგორც სახელმწიფოს დასუსტების საქმეში, რომლითაც ყველაზე უფრო დაინტერესებული აღმოჩნდა დაშნაკური სომხეთი — დიდი სომხეთის შექმნის იდეის გამო.

ინგლისური პოლიტიკა ბოლშევიზმთან ბრძოლის საკითხს ერთობლიობაში განიხილავდა, რომელიც უნდა ეკისრათ ანტანტის მიერ ხელდასხმულ გენერლებს (დენიკინი, ვრანგელი და სხვები) და დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ სახელმწიფოებს, კავკასიაში კი, უპირველესად საქართველოს. მაგრამ ინგლისურმა დიპლომატიამ ვერა და ვერ მიაღწია ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის ურთიერთთანხმობას, განსაკუთრებით ტერიტორიულ საკითხში. ამავე დროს „რუსული დემოკრატიისათვის" მებრძოლი გენერლები ვერ თმობდნენ ერთიანი, განუყოფელი იმპერიის მოძველებულ იდეას, ხოლო საქართველოს მთავრობა, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას (როცა ჯერ კიდევ არ გამქრალიყო ქართულ სოციალ-დემოკრატიაში რუსული დემოკრატიის სიყვარული). ამის გამო, 1919 წელს საქართველოს მთავრობასა და დენიკინს შორის ისე გამწვავდა მდგომარეობა, რომ საომარ მოქმედებასაც კი ჰქონდა ადგილი.. ამ წინააღმდეგობის გამოძახილი იყო ასევე თეთრგვარდიელი გენერლის მიერ წამოწყებული ანტიქართული კამპანია დასავლეთში, განსაკუთრებით კი ინგლისურ და ნაწილობრივ — ფრანგულ პრესაში, რომელმაც სომხურ ანტიქართულ კამპანიასთან

ერთად, უარყოფითი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში.

საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო-დ ცნობის შემდეგ, კაზაკთა კონფერენციაზე დენიკინი ამბობდა, რომ იგი იბრძვის, უპირველეს ყოვლისა, მთლიანი რუსეთისათვის და ხშირად აძლევს მითითებებს მოკავშირეებს (იგულისხმება ინგლის-საფრანგეთი, გ. ც.) და რომ – „სახელმწიფოებმა ცნეს დე ფაქტო და არა დამოუკიდებლობა განაპირა მხარეებისა, სწორედ ჩემი წინადადებისამებრ"-ო,[9] სადაც საქართველოც იგულისხმებოდა.

ნაწილობრივ მართალს ამბობდა დენიკინი იმ საკითხში, რომ იგი ხშირად აძლევდა მითითებებს მოკავშირეებს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ შეკითხვიდან, რომელიც ეხება 1919 წლის 3 ნოემბრის, ლონდონში იტალიის ელჩის მარკიზ იმპერიალის მემორანდუმს ინგლისის მთავრობისადმი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხში. ამასთან დაკავშირებით ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი 14 ნოემბერს წერდა, – "Вопрос о признании Грузии, связан и с признанием других закавказских республик, что, в свою очередь, связано с решением всего русского вопроса и хоть в меньшей степени с условиями мирного договора с Турцией"[10] ასეთივე აზრია გატარებული იმავე წლის 24 დეკემბრის ინგლისის საგარეო საქმეთა მემორანდუმშიც, სადაც ლონდონი კელავ თავს იკავებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ფაქტიურ ცნობაზე.

მართალია, ინგლისი და მასთან ერთად მოკავშირეები განგებ აჭიანურებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების და მათ შორის საქართველოს ცნობას არა იმდენად დენიკინის კარნახის გამო ან მისი სურვილისამებრ, არამედ იმიტომ, რომ ელოდნენ დროს, ვინ უფრო მეტ წინააღმდეგობას გაუწევდა ბოლშევიზმს და ვის რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა მასთან ბრძოლის ამა თუ იმ ეტაპზე. და თუ 1920 წლის იანვარში ანტანტის ქვეყნებმა ცნეს აღნიშნული რესპუბლიკების ფაქტიური დამოუკიდებლობა განაპირობა იმან, რომ მათ თვალნათლივ დაინახეს დენიკინის გარდუვალი მარცხი და ჯერი მომავალში ამიერკავკასიაზე უნდა დამდგარიყო, რომლებსაც ევალებოდათ, ე. წ. შემკავების როლი ბუფერული ზონის შექმნის საკითხში ახალ რუსეთსა

---

9 იხ: ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1926, გვ. 195.

10 ციტ: ა. მენთეშაშვილი. საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1917-1921 წწ. (სადოქტორო დისერტაცია სამეცნიერო მოხსენების ფორმით. რუსულ ენაზე) თბ., 1991, გვ. 43.

(მხედველობაშია საბჭოთა რუსეთი) და ირანს შორის, ე. ი. ინგლისმა და მისმა მოკავშირეებმა ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, იმ რეალური ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც შეიქმნა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე.

ამასვე ადასტურებს ინგლისელი ისტორიკოსი დენის ოგდენი, რომ თეთრი გენერლების მარცხის შემდეგ მენშევიკური საქართველო განიხილებოდა: „Как возможное звено в кавказском санитарном кордоне"[11]. რაც შეეხება ინგლისის პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯის ნათქვამს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორისადმი 1920 წლის დამდეგს, რომ ინგლისი დგას "На стороне независимой Грузии как барьер против большевизма"[12], ყველაზე საგულისხმოდ უდა მივიჩნიოთ.

ანტანტამ და, უპირველეს ყოვლისა, ინგლისმა, დაინახა რა თეთრი გენერლების წარუმატებელი მოქმედება ბოლშევიზმთან ბრძოლაში, კერძოდ, მათი მარცხი სამხრეთის ფრონტზე, უკვე რეალურ მოკავშირედ კავკასიის რესპუბლიკები ესახება. ამიტომაც იყო, რომ დასავლეთმა ცნო ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და უპირველეს ყოვლისა საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობა.

თქმა არ უნდა, ეს რესპუბლიკები დასავლეთის რეალური დახმარების გარეშე, შესაფერ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ბოლშევიზმს. ეს იცოდა ინგლისმა და ეს კარგად ესმოდათ საქართველოში. ამიტომ საქართველოს მთავრობა სასწრაფოდ და გადაუდებლად მოითხოვდა უპირველესად ინგლისისაგან უახლოეს მომავალში ეცნო ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა, ბათუმი დაბრუნებულიყო საქართველოს გამგებლობაში და ახლად შექმნილ რესპუბლიკას გაწეოდა სამხედრო და მატერიალური დახმარება მოკავშირეებისაგან, რაც, საქართველოს მთავრობის მტკიცებით „ეროვნული ენერგიის განსაკუთრებულ აღმავლობას გამოიწვევდა". მაგრამ ინგლისური დიპლომატია არ ჩქარობდა გადაედგა ასეთი ნაბიჯი. მარტო საქართველო ან ცალკე აღებული რომელიმე ამიერკავკასიის რესპუბლიკა მას არ აკმაყოფილებდა. ინგლისისათვის საჭირო იყო მათი, როგორც ერთიანი ორგანიზმის, „შეკერა" და გამოყენება ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რის შემდეგაც დასავლეთის მხრიდან იურიდიული აღიარება გარანტირებული იქნებოდა.

ვლაპარაკობთ რა ამიერკავკასიის „შეკერაზე", იგი არ უნდა გაიგოთ, როგორც ერთიანი სახელმწიფოებრივი სტატუსის მატარებელი

---

[11] ციტ: ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

[12] ციტ: იქვე.

ქვეყანა, არამედ უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორსაც ინგლისური პოლიტიკა განიხილავდა. კერძოდ, მტკიცედ გამიჯნული ტერიტორიულ და სხვა სადავო საკითხებში. რაც გარანტია იქნებოდა მომავალში ურთიერთშორის მოსალოდნელი წინააღმდეგობების თავიდან ასაცილებლად, ამავე დროს ეს საშუალებას მისცემდა ინგლისის მმართველ წრეებს თავისი შეხედულებისამებრ ემოქმედნათ კავკასიაში.

ინგლისურმა დიპლომატიამ აღნიშნულ საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო როგორც ანტანტის უმაღლესი საბჭოს 1920 წლის თებერვალ-მარტის სხდომებზე ლონდონში, ისე იმავე წლის აპრილში ცნობილ სანრემოს კონფერენციაზე, სადაც, კავკასიის რესპუბლიკის დელეგატებსაც მოეწვიენდნენ იმ შეშფოთებაში, თუ ისინი მიიღწევდნენ შეთანხმებას ტერიტორიული გამიჯვნისა და ბათუმთან დაკავშირებული სტატუსის გადაწყვეტის საქმეში.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ არც ლონდონში და არც სანრემოში მოკავშირეებს, ე. წ. „რუსეთის კითხვის გადაწყვეტის ფონს". მით უმეტეს კავკასიასთან მიმართებით, ამჯერად ხელი არ მოუცლიათ. პირველად მოხდა ამიერკავკასიის კითხვის რუსული საკითხიდან ჩამორიცხვა და ახლო მომავალში ასეთი საკითხის დასმის ყოველგვარი „იმედი" კრეობოდა.

სამაგიეროდ, დაისვა საკითხი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის. პირველხარისხოვანი მნიშვნელობის კითხვაზე — ოსმალეთთან ზავისა და ახლო აღმოსავლეთის მოწყობის, ამიერკავკასიის ტერიტორიული გამიჯვნისა და ზღვაზე სომხეთის გასასვლელად. აღნიშნული საზღვრების გამოსარკვევად შედგენილი იქნა განსაკუთრებული კომისია ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებისაგან, რომელიც უპირველესად მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის ქვეყნების სტრატეგიულ გათანაბრებას, რათა მომავალში მოსალოდნელი პოლიტიკური სახეცვლილების შემთხვევაში ერთ რომელიმე მათგანზე მოიმედეობა არ მოხდარიყო. ასევე უნდა გადაეწყვიტათ ბათუმთან დაკავშირებული სადაო საკითხი.

სომხეთის დელეგაციის აზრით, მათ ზღვაზე გასასვლელი უნდა მისცემოდათ ტრაპიზონის ვილაიეთში და თან. უნდა მიმატებოდა ტერიტორია ტირებოლიდან (ტრაპიზონის დასავლეთი) — ხოფამდე (ე. ი., თითქმის რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის ყოფილ საზღვრამდე). ამგვარად, სომხეთში უნდა შესულიყო თითქმის მთელი ლაზისტანის სანჯაყი, რომელზედაც თავისი უფლებები გამოაცხადა საქართველომ ჯერ კიდევ 1919 წლის პარიზის კონფერენციაზე.

სომხეთის დელეგაციის საპასუხოდ, საქართველოს დელეგაციამ ნოტით მიმართა ანტანტის უმაღლეს საბჭოს. ზ. ავალიშვილმა თქვა: „1) ჩვენ მოვითხოვდით ბათუმის ოლქის საქართველოზე შეერთებას. 2) გამ-

ბობდით, რომ მზადა ვართ მეზობელ რესპუბლიკებთან შეთანხმება დავდოთ, რომლითაც საკმაო გარანტიების მიცემით უზრუნველყოფილ იქნებიან არა მარტო სომხეთი და აზერბაიჯანი, არამედ თავისუფალი საერთაშორისო ტრანზიტიც. 3) ვადასტურებდით... საჭიროა საქართველოს სასარგებლოდ შესწორებული იქნას საზღვრები.., ე. ი. ლაზისტანის სანჯაყი და ჭოროხის ზოგიერთი სანაპირო ადგილები მიეკრას საქართველოს... ერთი სიტყვით, ჩვენ მარტო ბათუმის კითხვის გადასაწყვეტ საშუალებას კი არ ვურჩევდით, არამედ ერთმანეთს ვუკავშირებდით სომხეთ-საქართველოს გამიჯვნასა და სომხეთის შავ ზღვაზე გამოსვლას"[13].

მოკავშირეთა კომისიამ ამ მხრივ სხვა პოზიცია დაიკავა. განზრახული იყო ბათუმში დაეწესებინათ არა მარტო „პორტო-ფრანკო" (თავისუფალი ვაჭრობა), არამედ იგი გამოცხადებულიყო თავისუფალ ქალაქად და მისთვის გადაეცათ მიმდებარე ტერიტორიის მცირე ნაწილი. ბათუმის ოლქის დანარჩენი ნაწილი კი უნდა გაყოფილიყო საქართველოსა და სომხეთს შორის, დანარჩენი საზღვრების გამიჯვნა რჩებოდა ამ რესპუბლიკების საკუთარ საქმედ. „ლაზისტანი" ცხადდებოდა ავტონომიურ ერთეულად სომხეთის სუვერენიტეტის ქვეშ. ბათუმი უნდა დაეკავებინა მოკავშირეთა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) შერეულ რაზმებს და, ამავე დროს, იქ ბინა უნდა დაედო ერთა ლიგის მიერ დანიშნულ საერთაშორისო კომისარს.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა, მოკავშირეთა აზრით, საშუალებას მისცემდა საქართველოს საერთაშორისო აღიარებისა და დახმარების საქმეში. მაგრამ საკითხის დასმის კატეგორიულობამ საქართველოს ჭარჯზე ჩიხში მოამწყვდია მოდავე მხარეები და რაიმე მაკავშირებელი დოკუმენტის შექმნაზე ლაპარაკი ზედმეტი აღმოჩნდა.

საბჭოთა რუსეთის მთავრობა მოკავშირეთა მოქმედებას ამიერკავკასიის საკითხში ყურადღებით ადევნებდა თვალს. დარწმუნდა რა მის უშედეგობაში, საშუალება აღარ მისცა ანტანტის ქვეყნებს ახალი მოფიქრებული ნაბიჯის გადადგმისა და 1920 წლის აპრილის ბოლოს მოახდინა აზერბაიჯანის გასაბჭოება, რომელიც სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა ამიერკავკასიაზე და, ასევე მოკავშირეებზე. აღნიშნულმა ფაქტმა აიძულა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, ხელშეკრულება დადო საბჭოთა რუსეთთან იმავე წლის 7 მაისს, ხოლო ინგლისის მთავრობა აშკარად განერიდა ბოლშევიკებთან კონფლიქტს და საბოლოოდ გადაწყვიტა სამხედრო გარნიზონის გაყვანა ბათუმიდანაც,

---

[13] ის: ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

იქ კი 1920 წლის 4 იელისს ქართული შეიარაღებული ნაწილები შეიიდნენ.

ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის რესპუბლიკების შეუთანხმებლობა გახდა უმთავრესი საბაბი ინგლისისა და, საერთოდ, ანტანტის უკუქცევისა ამიერკავკასიიდან და მათ შორის — საქართველოდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის, სომხეთისა და, განსაკუთრებით საქართველოს დამნაშავედ გამოყვანა უმართებულო იქნებოდა. იგი ასევე განსაზღვრა ინგლისური პოლიტიკის თავისებურებამ კავკასიაში.

მოკავშირეებმა, მართალია, ხელი აიღეს საქართველოზე, მაგრამ ამ უკანასკნელს არასოდეს უთქვამს უარი დასავლეთის ორიენტაციაზე. ამავე დროს იგი აშკარად ჩქარობდა დამოუკიდებლობის იურიდიულ აღიარებას. მისთვის სანრეგოს კონფერენციას თვალები უნდა აეხილა, მაგრამ ეს არ მოხდა. მან საბჭოთა რუსეთთან დაახლოებაში გადადგა „მომენტისათვის" აშკარად მიუღებელი ნაბიჯი. საქმე კი, თუ ნ. ჟორდანიას დავუჯერებთ, შემდეგში იყო: „ევროპა წაქცეულ რუსეთსაც დიდ ანგარიშს უწევდა და არ სურდა მისი დანაწილების დადასტურება. საჭირო იყო ამ საკითხის მიდგომა სხვანაირად, შემოვლით. რაკი პირდაპირი მიდგომით, ევროპის წინაშე შუამდგომლობით და იქ პროპაგანდით არა გამოდიოდა რა, ცხადი გახდა, საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა. ვიფიქრე, თუ მოსკოვმა გვიცნო, ჩვენი დამოუკიდებლობა დაადასტურა, ამ თამამსუჭით წარედგებით ევროპის არეოპაგის წინაშე და ეს უეჭველად გასჭრის... ჩვენთვის მთავარი იყო ეცნო მოსკო

шевиками, я должен сказать, что не смотрю на этот мир, как на нечто прочное. Скорее, он заключен большевиками временно, по причине того, что на западном фронте поляки серьезно угрожают им. И вот потому поспешили они заключить мир снами, чтобы с этой стороны временно обезопасить себя. Что будет, когда у них развяжутся руки, трудно предугадать. Во всяком случае, налицо тот пример, что когда московские большевики подписывали мир с нами, большевики со стороны Азербайджана атаковывали нас. Вот ето то и обязывает нас быть готовыми на всякий случай, принуждает нас просить ускорить вопрос о выдаче нам необходимого оружия..." [15].

ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ესმოდათ რა ბოლშევიკების ნამდვილი მისწრაფება, სასწრაფოდ და გადაუდებლად მოითხოვდნენ ევროპისაგან, პირველ რიგში იარაღით დახმარებას. უპირველესად ამ მიზნით იყო გამოწვეული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის დიდი ხნით მივლინება ევროპაში 1920 წლის შემოდგომაზე.

აღნიშნული ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობას იძულებით და დროებით ნაბიჯად მიაჩნდა. საამისოდ შარტო გ. ორჯონიკიძის ნათქვამი იკმარებდა: „რუსეთისა და შენშევიკური საქართველოს დაზავება მიჩნეულია შესვენებად, რომელიც ვ. ლენინს ჭირდებოდა პოლონეთის ფრონტის სწრაფი ლიკვიდაციისა და იმისათვის, რომ პროვოკაციები აღეკვეთა" [16] ამ მხრივ, საინტერესოა ასევე. ფ. მახარაძის აზრი: „რუსეთის უპირველესი მიზანი ის იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ანტისაბჭოთა ორგანიზაციები მოესპო, პირობები შეექმნა კომუნისტური პარტიის ლეგალური მუშაობისათვის..." ან „საქართველოს შენშევიკები ისე ახლოს არასოდეს მდგარან აღსასრულთან, როგორც ახლა, ოქტომბრის რევოლუციის მესამე წლისთავზე" [17]

მოცემულ საკითხს ჩვენ, რა თქმა უნდა, ზოგადად ვეხებით იმ მიზეზთა გამოც, რომ თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ სრული სიცხადე შეიტანა მასში. ამ მხრივ ლ. თოიძისა და ა. მენთეშაშვილის ნაშრომთა დასახელებაც საკმარისი იქნებოდა. და თუ სამართლებრივ მხარეზე უფრო დაზუსტებით შევჩერდებით, ~~ყურადღ~~

---

[15] ციტ: ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[16] ციტ: ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალადატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც. თბ., 1991, გვ. 24.

[17] ციტ: ფ. სიდამონიძე, საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1918-1921 წწ.), თბ., 1970, გვ. 49-50.

საღებია 1939 წლის 18 ნოემბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების სამართლებრივი შეფასების შესახებ.

მართალია, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ დაიჩქარა საქართველოს იურიდიული აღიარება, მაგრამ, მეორეს მხრივ, დასავლეთმაც და საკუთრივ ინგლისმაც დაიჩქარა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა.

აზრი იმის თაობაზე, რომ „ძლიერი რუსეთი" შესაძლებელია საბჭოთა მოსკოვიდანაც აშენდეს, მნიშვნელობას იძენს 1920 წლის ზაფხულიდან, როცა ევროპული და მსოფლიო პოლიტიკის „დირიჟორს" — დიდ ბრიტანეთს — კვლავ გაუჩნდა მოკავშირეობის სურვილი, ამჯერად უკვე საბჭოთა რუსეთთან. მათ შორის კოპენჰაგენში 1920 წლის 11 ივნისს ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ლონდონ-მოსკოვის დაახლოებას და უახლოეს დროში დიდი ხელშეკრულების მომზადებას.

საქართველო-ინგლისისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ფონზე საინტერესოა გაკვრით შევეხოთ თურქეთის ფაქტორს. მართალია, იგი ამ დროისათვის, ევროპული პოლიტიკის მკაცრი ხელის გამო სუსტად გამოიყურებოდა, მაგრამ თურქეთის „ნაციონალურმა" მოძრაობამ გააძლიერა ამ ქვეყნის ქმედითუნარიანობა სახელმწიფოებრიობის განმტკიცების თვალსაზრისით და ანტანტასთან წინააღმდეგობამ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამდე მიიყვანა 1920 წლის 3 ივნისს. ჩვენ ამ ფაქტზე იმდენად ვამახვილებთ ყურადღებას, რამდენადაც ამ ორი ქვეყნის აქტიურმა კავშირმა ფაქტიურად გადაწყვიტა ამიერკავკასიისა და მათ შორის საქართველოს მომავალი.

რუსეთ-თურქეთის კარგი ურთიერთობით უნდა აიხსნას 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის პირველი მაგალითი, რაც გამოიხატა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის გ. ჩიჩერინის მხარდაჭერაში თურქეთის შთავრობისადმი ბათუმსა და მის ოლქში რეფერენდუმის ჩატარებაზე. საბჭოთა რუსეთმა აშკარად დაარღვია 7 მაისის ხელშეკრულების მე-4 მუხლი. წარმოდგენილი დოკუმენტით, ბათუმის ოლქი შედიოდა საქართველოს გამგებლობაში. ამავე დროს, ბათუმში აშკარად შეიმჩნეოდა ინგლისელების, იქ ყოფნის დროს აღზევებული თეთრგვარდიელთა ანტიქართული ქმედებანი, რომლებმაც ინგლისის წასვლის შემდეგ, რუსეთის იმპერიის აღდგენის გაუნელებელი სურვილით, აშკარად პრობოლშევიკური პოზიცია დაიკავეს. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ვ. ლენინის წერილი ჩიჩერინისადმი, სადაც საკითხი ასე

დგას: ომი თუ მშვიდობა — „იგი უნდა დაუკავშირდეს ბათუმსა და საქართველოს“.[18]

ვ. ლენინი და საბჭოთა რუსეთის მმართველი წრეები, მიუხედავად ხელმოწერილი დოკუმენტისა საქართველოსთან, ბათუმს თავიანთი ინტერესის სფეროდ განიხილავდნენ და მას უეჭველად თვლიდნენ საქართველოსთან ომის დაწყების კარგ საბაბად — ორი გარემოების გამო. პირველი, თუ დასავლეთის რომელიმე ქვეყანას კვლავ გაუჩნდებოდა ბათუმის დაკავების სურვილი და მეორეც, თუ იქ პრორუსული და პროთურქული ძალების მიერ ანტიქართულ ქმედებას ექნებოდა ადგილი.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დარღვევების მიუხედავად ორ ქვეყანას შორის მძაფრ ურთიერთდაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია არც 1920 წლის ზაფხულში, არც შემოდგომაზე. თუმცა ნდობის შესუსტება აშკარად შეიმჩნევა იმავე წლის ოქტომბრის ბოლოდან, რადგან მოვლენების განვითარება და მოსკოვის ლიდერთა განცხადებანი არ იძლეოდა იმის მტკიცე გარანტიას, რომ საქართველო მომავალში არ გახდებოდა თავდასხმის ობიექტი ბოლშევიკების მხრიდან. ამის გამო, ქართული მხარე ვერ სცილდებოდა ევროპის არეალს და მისგან კონკრეტულ დახმარებას მოელოდა, თუმცა ე. გეგეჭკორის ცდას ამ მხრივ შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ საქართველოს მთავრობამ ევროპის სახელმწიფოთა ყურადღების მიპყრობა სხვა გზით სცადა. მან საქართველოში მეორე ინტერნაციონალის ლიდერები მოიწვია, რათა მათ გავლენა მოახდინათ თავიანთ ქვეყნების მთავრობებზე ქართულ საკითხთან დაკავშირებით. 1920 წლის შემოდგომაზე მეორე ინტერნაციონალის ბელადების — მაკდონალდის, კაუცკის, ვანდერველდეს, რენოდელის, ჰიუსმანის — ჩამოსვლამ საქართველოში მართლაც შესაფერი გავლენა მოახდინა ევროპაზე იმ მხრივ, რომ საქართველო იყო „ჰეშმარიტი დემოკრატიის ქვეყანა“, თუმცა კ. კაუცკის განცხადება — „საქართველო განუხრელად მიექანება ბოლშევიზმისკენ“, მეტ სიმართლეს შეიცავდა.

ე. გეგეჭკორის ევროპულ ტურნესა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა „ვოიაჟს“ საქართველოში დიდად არ დაუფარავია ბოლშევიკები. რუსული საკითხი საერთაშორისო თვალსაზრისით დაიძრა ადგილიდან და მას, ალბათ, მომავალში ვერაფერი შეაჩერებდა. ერთი კი ცხადია, რომ ერთა ლიგაში საქართველოს საკითხის დასმამ საბჭოთა რუსეთი აიძულა 1920 წლის ნოემბერ-დეკემბრის შუა რიცხვებში დროებით, მაგრამ მაინც, მიემართა დიპლომატიური სვლისათვის,

---

[18] იტ. ლ. თოთიკ, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

როცა კრემლმა ერთხელ კიდევ აიძულა გ. ორჯონიკიძე თავი შეეკავებინა საქართველოსაკენ წინსვლაზე.

1920 წლის 15 ნოემბერს ჟენევაში დაიწყო ერთა ლიგის სესიის მუშაობა, რომელზეც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განხილულიყო საქართველოს რესპუბლიკის მიღება ერთა ლიგაში (დაწვრილებით II თავში). წარმატების შემთხვევაში, საქართველოს ეძლეოდა კარგი შესაძლებლობა, გამხდარიყო საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა და, ვინ იცის, იქნებ, საქართველოს გასაბჭოება უფრო შორს, ბალტიის ქვეყნების მაგალითისამებრ, მომხდარიყო (მართალია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ერთა ლიგაში მიიღეს არა 1920 წლის პირველ სესიაზე, არამედ 1921 წლის სექტემბერში, რადგან საბჭოთა რუსეთმა ვერ მოასწრო მათი გასაბჭოება), თუმცა ამ შემთხვევაშიც საეჭვოდ მიგვაჩნია რუსეთის თავშეკავება საქართველოსთან მიმართებაში.

ინგლის-საფრანგეთმა და მათმა მოკავშირე ქვეყნებმა მართალია უარი უთხრეს საქართველოს ერთა ლიგაში მიღებაზე, მაგრამ, რა იყო მიზეზი, მცირე ხნის შემდეგ — 1921 წლის 27 იანვარს — მათივე მხრიდან საქართველოს იურიდიული აღიარებისა?

ჩვენი აზრით, საქართველოსათვის 27 იანვრის აქტი იყო ერთის მხრივ, ნაყოფი საფრანგეთის მმართველი წრეების ნაწილობრივი სახეცვლილებისა და, მეორეს მხრივ, ევროპული და, კერძოდ, ინგლისური პოლიტიკის კეთილშობილური ჟესტი საზოგადოებრივი აზრისა და მსოფლიო დემოკრატიის ხარკის მოხდისა. ამის დასტურად ლოიდ ჯორჯის სიტყვები კმარა, რომ ამ შემთხვევაშიც კი „რუსეთი არ დაზოგავს საქართველოს"[19]

მართლაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არ მიღებამ ერთა ლიგაში საბოლოოდ ხელი გაუხსნა მოსკოვს, რათა უფრო გაბედულად ემოქმედნა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ავანტიურაში. ამ მხრივ აზერბაიჯანის კვალდაკვალ სომხეთის გასაბჭოებაც ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა, ვ. ლენინის, ე. წ. დიპლომატობანასაც წერტილი დაესვა და მოვლენების უსწრაფესი განვითარება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში 1921 წლის იანვრიდან დაიწყო, როცა „ბელადს" კონტროლი დაეკარგა „ქართული მადის გამო" და მისი თანხმობით, 1921 წლის 12 იანვარს რკპ(ბ) პლენუმმა საქართველოს „დაუყოვნებელი გასაბჭოება" მიზანშეწონილად ცნო. ხოლო 1921 წლის 26 იანვარს რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს უსწრაფესი გასაბჭოებისათვის. დანარჩენი დამოკიდებული

---

[19] სცსსა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის, ჰარვარდის ფონდის მიკროპირები, საქმე 872.

იყო იმაზე, თუ როდის მიმცემდა ი. სტალინი განკარგულებას გ. ორ-ჯონიკიძეს — ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი.

იმ ფონზე, რასაც საბჭოთა რუსეთი მიმართავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, საინტერესოა, რა ზომებს ღებულობდა საქართველოს მთავრობა, იცოდა თუ არა მან ყოველივე ეს. ცდილობდა კი ნაწილობრივ მაინც მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას? ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა საქართველოს მმართველმა წრეებმა, ვერც იმას წარმოვიდგენთ, ყველა დეპეშა ან ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც მათ ზურგს უკან იქმნებოდა ცოდნოდა მთავრობას, მაგრამ საქართველო-რუსეთს შორის გარდაუვალ წინააღმდეგობას ადგილი რომ ექნებოდა, ეს უეჭველია, და მეორეც, 7 მაისის ხელშეკრულებას ბოლშევიკები ფარად რომ იყენებდნენ საქართველოს მოშთვალი ანექსიისათვის, ესეც ცხადზე უცხადესია. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში, განსაკუთრებით კი მის ელიტალურ წრეებში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, თითქოს ბოლშევიკების ნამდვილი განზრახვა ცნობილი გახდა ჰეკერის მოხსენებითი ბარათის შემდეგ, რომლის პირი საქართველოს მთავრობას უკვე ხელთ ჰქონდა 1920 წლის დეკემბერში (ლაპარაკია გენერალ ჰეკერის მოხსენებაზე, რომლის ტექსტი განსახილველად წარედგინა კავკასიის ფრონტის რევოლუციურ საჰხედრო საბჭოს 1920 წლის 18 დეკემბერს, გ. ც.), საეჭვოდ მიგვაჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მმართველმა წრეებმა გაცილებით ადრე იცოდნენ ბოლშევიკების განზრახვა. ამას ადასტურებს ნ. ჟორდანია: „ენკენისთვეში დავბრუნდი თფილისში. ბაქოდან მომივიდა ცუდი ინფორმაცია. ბოლშევიკური წყაროებიდან გვატყობინებდნენ, რომ მოსკოვი ისევ ემზადება საქართველოს დასაპყრობათო...

აშკარა იყო მოსკოვის განზრახვა. დავფაცურდით, თავდაცვის საბჭო დავაარსეთ და შევუდექით მზადებას ჩუმათ, არავის გაეგო რაშია საქმე... საბჭოს დაარსება მოხდა 11 ნოემბერს. ამ დროს, მაშასადამე, უკვე ვიცოდით მოსკოვის განზრახვა"[20]

თითქმის ამასვე ადასტურებს გენერალი ი. ოდიშელიძეც: „გასული წლის ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში (ლაპარაკია 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერზე), ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა ცნობიდან ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთის სარდლობა ვარაუდობდა დეკემბრის შუა რიცხვებში დაეწყო შემოტევა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამასთან, როგორც ჩანს, დიდ იმედებს ამყარებდა შინაგან აფეთქებაზე, რაც არსებითად სიგნალი უნდა ყოფილიყო გარედან შე-

---

[20] ნ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 118-119.

მოკრისათვის... ოფიციალური წერილობითი მოხსენება, ჩემი და ჩემი შტაბის უფროსის ხელმოწერით წარდგენილი იქნა უფრო ადრე, 1920 წლის ოქტომბერში, ე. ი. უფრო ადრეც მე ოფიციალურად ზეპირად მოვახსენე მთავრობას მისი სხდომის დროს... სულ ოქტომბერ-იანვრის განმავლობაში ოთხჯერ და ყოველთვის ერთნაირი დასკვნით. „ჩვენ სასიკვდილო საფრთხის წინაშე ვდგევართ“[21]

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა და სამხედრო მინისტრის ეს განცხადებანი გვაძლევს დარწმუნების საფუძველს, რომ თავდასხმის გარდაუვალობა ცხადზე უცხადესი შეიქმნა, მაგრამ მთავრობა ეტყობა ილუზიებით იკვებებოდა და თითქმის არც სურდა ამის დაჯერება. საზოგადოების დიდმა ნაწილმა კი, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ არაფერი იცოდა, და თუ მაინც იცოდა გამარჯვების რწმენით საზრდოობდა, ამაში მთავრობის პოლიტიკამაც ითამაშა გარკვეული როლი, რათა „არავის გაეგო, რაშია საქმე, ეს საიდუმლოება საჭირო იყო, რომ ხალხში პანიკა არ გამოეწვია და მორალური კრიზისი არ შეგვექმნა“[22] და მეორეც, გამარჯვების ილუზიას 1920 წლის მაისის ამბებიც განაპირობებდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალები, წინა წლებში მრავალი გამარჯვებებით გათამამებულნი, უკვე მორალურ კრიზისს მოეცვა. განსაკუთრებით ეს ითქმის ლორეს ზონაში მდგარ ჯარის ნაწილებზე, რომელიც დღედღეზე ელოდა იქიდან გამოყვანას. თანახმად სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულებისა, მათი ყოფის ვადა 13-15 თებერვლამდე იყო ნავარაუდევი, რომელიც უნდა გადაწყვეტილიყო ორი ქვეყნის მომავალ მოლაპარაკებაში.

ბოლშევიკებს კი სწორედ ლორე, როგორც საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, შეერჩიათ სამოქმედოდ. იგი აჯანყების საბაბით, წითელი არმიის გარეგან დახმარებისა და კაცობრიობის წინაშე მოსკოვის ნამდვილი ზრახვების დაფარვის კარგ საშუალებას იძლეოდა. ასეც მოხდა. იმ დროის რუსეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი წითელი არმიისა და საქართველოს საბრძოლო შეტაკებას სომხეთ-საქართველოს ომად აცხადებდნენ ბოლშევიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. საქართველოს მთავრობა არათუ ვერ მიხვდა ლორეს ბოლშევიკურ გამოცანას, რომელიც საბჭოთა სომხეთის მომქმედებით ინიღბებოდა, არამედ იქ ახალ-ახალ რეზერვებს გზავნიდა და შეუგნებლად დგამდა არმიის დემორალიზების ნაბიჯს,

---

21 გენერალ ი. ოდიშელიძის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, 3 იანვარი 1921 წელი. ჟურნ. „მხედარი“, 1991, № 3, გვ. 60.

22 ნ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ.119.

რაც ნათლად დაგვანახა შემდგომმა მოვლენებმა, როცა ბოლშევიკების უნიჭოდ დადგმულ „სპექტაკლს" მენშევიკებმა გაცილებით უფრო უნიჭო ტაქტიკა დაუპირისპირეს (ლორეში სომეხი სოციალ-დემოკრატების გაგზავნა, მთავრობის სხდომებზე განუწყვეტელი კამათი, მთავარსარდლის ძებნა ომის დაწყების შემდეგ და სხვა). სწორედ, ლორეს ზონა გახდა სუსტი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომლის გამოქედვასაც საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თითქმის სამი წელი მოანდომა.

1921 წლის 11 თებერვალს ლორეს სომეხი მოსახლეობის ნაწილმა ბოლშევიკური გეგმის მიხედვით აჯანყება დაიწყო, ხოლო 15 თებერვალს წითელ არმიაც ჩაება ბრძოლაში და ასე დაიწყო ქართული მიწა-წყლის ოკუპაცია.

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა სტრატეგებმა (იგულისხმება რესპუბლიკის მთავრობა და მთავარსარდლობა, გ. ც.) ვერაფერი სანუგეშო დაუპირისპირეს მრავალად შემოსეულ მტერს. მხოლოდ ცალკეული ნაწილების, ცალკეულ პიროვნებათა უმაგალითო თავდადებამ, ერის შვილთა თავგანწირვამ სოღანლუღთან, კოჯორთან, ტაბახმელასთან, მცირე ხნით შეაჩერა წითელი არმიის მძლავრი შემოტევა. სამწუხაროდ, მხოლოდ დროებით. წინდაწინვე წაგებული ბრძოლა არც მთავარსარდლიდან (იგი 16 თებერვალს დაინიშნა), არც მებრძოლთა მცირე ნაწილის მხრიდან (არმიის ბირთვი, მთავრობის საიმედო გვარდია უკვე თაქვუდმოგლეჯილი გარბოდა დასავლეთისაკენ, გ. ც.), შედეგის მომტანი აღარ იყო. ხოლო თბილისის დამცველთა, კერძოდ, იუნკერთა თავდადების მაგალითი ბრწყინვალე ფურცელია თავისუფლებისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

1921 წლის 25 თებერვალი გახდა არა მარტო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, არამედ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, დაცემის დღე. დამარცხება არ მომხდარა მხოლოდ 25 თებერვალს და არც იმ ცალკეული მიზეზით განისაზღვრება, რომელსაც ნ. ჟორდანია, უპირველესად, საერთაშორისო „კომბინაციებით"-ა, თუ „რუსეთუმე ოფიცრობის ღალატით ხსნის; გენერალი ი. ოდიშელიძე უფრო კონკრეტულად — შაგალის ხიდთან მოულოდნელ კატასტროფას უკავშირებს და მრავალი სხვა, რომელთაც ცალკეულ პირთა შეფასებებში ვხედებით როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციის მხრიდან. ჯაგრამ, თუ მეტ ობიექტურობას გამოვიჩენთ და, მათ მიერ მოყვანილი დამარცხების პიზეზთა ფონზე, გენერალ სკოტის (ინგლისის ვარნიზონის სარდალი ბათუმში გ. ც.) აზრსაც გავიზიარებთ, მივალთ იმ კეთილშარიტებამდე, რომ: „მთავრობას არც ერთი შეცდომაც რომ არ დაეშვა, ბაინც არა ვარ დარწმუნებული, რომ იგი შესძლებდა საქართ-

ველის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას წითელი არმიის პირისპირ"[1]

მართალია, მხოლოდ სამი წლის დამოუკიდებლობა მცირე დროა ისტორიისათვის, მაგრამ საქართველოს არსებობისა და ბრძოლის მატიანეში 1918-1921 წლები მოინათლა, როგორც „პატარა ოქროს ხანა" არა მარტო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ იგი გახდა სიცოცხლისუნარიანობის, სულიერი სიმტკიცის, მისი უკეთესი მომავლისათვის ფიქრისა და თავისუფლების კვლავ გარდაუვალობის კარგი პერსპექტივა.

---

[1] იხ.: რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო (ქართული თარგმანი), თბ., 1994, გვ. 7.

პ. II. საქართველოს ემიგრანტული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა პოლიტიკურ-ორგანიზაციული საქმიანობა, დიპლომატიური მისიები და წარმომადგენლობანი ევროპაში

საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარე ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთის აგრესიის შედეგად, რომელსაც მხარს უბამდა თურქეთი, დაეცა. ქვეყნის მმართველმა მთავრობამ, პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა ემიგრაციის ხვედრი გაიზიარა. ეს მოხდა 19 მარტს.

ემიგრაციამდე, 1921 წლის 16 მარტს, ქ. ბათუმში შეიკრიბა დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაადგინა მთავრობის გახიზვნა ევროპაში და დაამტკიცა მთავრობის შემადგენლობა: ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, კ. კანდელაკი, ნ. ხომერიკი, რათა განეგრძოთ ბრძოლა დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად და არავითარ შემთხვევაში არ ეცნოთ საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლება.

გზად, კონსტანტინეპოლში მყოფმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, სურდა რა გაებათილებინა მოსკოვის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, თითქოს საქართველოში რუსის ჯარი არ არის, იქ არავითარი ომი არ ყოფილა, რომ აჯანყებულმა ქართველმა ხალხმა განდევნა მენშევიკური მთავრობა და ნაცვლად აირჩია ბოლშევიკური, მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით მიმართა — „ყველა სოციალისტურ პარტიებსა და მუშათა ორგანიზაციებს".

მიმართვაში გაანალიზებულია ის მიზნები და ამოცანები, რომელთაც ბოლშევიკები ისახავდნენ საქართველოს წინააღმდეგ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებამდე და ხელშეკრულების დადების შემდეგ, ვიდრე ქვეყნის დაპყრობამდე. მასში ლაპარაკია, აგრეთვე იმ გზებსა და საშუალებებზე, რომელთაც საქართველოს მთავრობა ახორციელებდა პრინციპით: „რომ, დემოკრატია ერთადერთი გზაა სოციალიზმისა". მიმართვაში ნათქვამია:

„მიუხედავად ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯისა მშვიდობიანი გზით საბჭოებთან დამოკიდებულებისა, ბოლშევიკები არ ინდობენ საქართველოს, იღებენ რა სრულ მხარდაჭერას ანგორიდან, ახდენენ მის ოკუპაციას.

ქართველი ხალხი, რომელიც იბრძოდა და კვლავაც იბრძვის ბოლშევიკების წინააღმდეგ, არა აქვს უფლება თავის ბრძოლაში იმედი არ იქონიოს საერთაშორისო პროლეტარიატის ძმურ დახმარებაზე. თქვენ

ყოველთვის მკაცრად გმობდით დაპყრობით ომებს. განა, ნაკლები გაიცხვის ღირსნი არიან საქართველოსთან ომის ამტეხნი, იმიტომ, რომ თავის იმპერიალიზმს ისინი ხელს აფარებენ კომუნიზმის სახელით– აიმაღლეთ ამხანაგებო თქვენი ხმა და მოსთხოვეთ მოსკოვის მთავრობას, რომ მათ გაიყვანონ თავისი ჯარები საქართველოდან. მისცენ საქართველოს ხალხს საშუალება თავისი ბედი თვითონვე განაგოს და თავისუფლად მოაწყოს თავისი ცხოვრება და სახელმწიფო"[24].

ანალოგიური მიმართვა 10 მარტს გააკეთა პარიზში მყოფმა ირ. წერეთელმა. აღნიშნულმა მოწოდებებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ევროპის მუშათა და სოციალისტურ ორგანიზაციებში. მათგან, ინგლისის ტრედ-უნიონებისა და მუშათა პარტიის შეერთებულმა კომიტეტმა, გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, რუსეთის – სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ლეგაციამ, მეორე ინტერნაციონალმა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა თავიანთ რეზოლუციებსა და განცხადებებში დაგმეს საბჭოთა ჯარების საქართველოზე თავდასხმა და მოითხოვეს საქართველოს რესპუბლიკის სრულ უფლებებში აღდგენა.

საქართველოს მთავრობა ამ განცხადებით იმედოვნებდა, რომ აღნიშნული მიმართვის საპასუხოდ, ევროპის სოციალისტური წრეები აიძულებდნენ თავიანთ მთავრობებს ხელი გაეწოდებინათ იმ ქვეყნის დასახმარებლად, რომელმაც პირველმა გადადგა ნაბიჯი „დემოკრატიისა და სოციალიზმისაკენ".

ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების რეაქცია აღნიშნულ განცხადებებზე არ ჩანდა. ყველაფერი ნათელი გახდა მაშინ, როცა საფრანგეთში ჩასულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვედრია. ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ევროპამ, ან საერთოდ იბრუნეა პირი, ან ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო სინამდვილეს, რა მოხდა საქართველოში – აჯანყება, გადატრიალება თუ ანექსია.

საქართველოსათვის და ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის რა პოზიციაც არ უნდა დაეკავებინა დასავლეთს, რჩებოდა ერთი გზა-ბრძოლა და მოქმედება იმ სულისკვეთებიდან გამომდინარე, რომელსაც ესწრაფოდა მთელი ქართველი ხალხი, რათა კვლავ აღედგინა დაკარგული დამოუკიდებლობა, არ მიეცა მტრისთვის უფლება. და საშუალება, თავს მოეხვია არასასურველი რეჟიმი.

---

[24] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1017.

ერის მისწრაფების გათვალისწინება, მისი ცხოვრების ჩვეულ „კალაპოტში" ჩაყენება, აი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთლიანად ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი და მიმართულება.

– პარიზში ჩასვლისთანავე, 1921 წლის აპრილში, საქართველოს მთავრობამ გააკეთა განცხადება – „საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოში შეჭრისა და მისი დაპყრობის შესახებ". განცხადების ტექსტი თითქმის იმეორებს იმ აზრსა და მიმართულებას, რომელიც კონსტანტინოპოლში იქნა გაკეთებული და კიდევ ერთხელ აცნობებდა დასავლეთის ქვეყნებს, რომ საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნება-სურვილით მიიღო საყოველთაო არჩევნებით, იძულებული გახდა 1921 წლის 19 მარტს ქვეყანა დაეტოვებინა. ეს იძულება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ, წაართვა რა ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ხოლო მის მთავრობას მოუსპო ნორმალური საქმიანობის წარმოების საშუალება ეროვნულ ნიადაგზე.

საქართველოს მთავრობამ განაცხადა პროტესტი ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოყენებული ძალმომრეობის გამო და მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით, კვლავ გაიმეორა:

1) „არა შინაურმა მოძრაობამ, გამომდინარე თუნდაც ხალხის უმცირესობისაგან, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ დაარღვია ხალხის მიერ თავისუფლად მიღებული დემოკრატიულ-კონსტიტუციური წყობილება და მის ნაცვლად შემოიღო რუსეთიდან გადმოღებული ინსტიტუტი.

2) ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და მან, თავისი მთავრობის ირგვლივ დარაზმულმა, თავისი მიწა-წყალი დათმო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამოწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა.

3) საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ჯარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია. იძულებული ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, დაეტოვა ეროვნული მიწა-წყალი. საქართველოს მთავრობა აგრძელებს დამფუძნებელი კრებიდან მიღებული მანდატის და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მან ხალხის წინაშე იკისრა, იცავს რა ხალხის ინტერესებს იმ სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა"[25]

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კარგად ხედავდა, რომ მარტო განცხადებებითა და მიმართვებით ვერ გაფანტავდა საბჭოთა მოსკოვის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას

---

[25] იხ: რემონ დიგე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133-134.

საჭირო იყო კონკრეტული მოქმედება. ამიტომ თავის პირველსავე სხდომაზე, რომელიც პარიზში, ქართული ლეგაციის ბინაზე გაიმართა 1921 წლის 13 აპრილს, დაისვა საკითხი მთავრობის ორგანიზაციული მუშაობის შესახებ — „მოვილაპარაკოთ ან გამოვარკვიოთ ის, თუ რა უნდა ვაკეთოთ, ან როგორ უნდა ვაკეთოთ" — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

მთავრობა უკვე აშკარად ხედავდა თავის წინანდელი საქმიანობის ავკარგიანობას. ამიტომ სამომავლო მუშაობის გეზი უნდა შეეცვალა, ამას განსაზღვრავდა მომენტის აუცილებლობა, ემიგრანტული ცხოვრების წესი, მაგრამ მთავარი მიმართულება კვლავ მტკიცედ უნდა ყოფილიყო „დამოუკიდებლობის ნიადაგზე დამყარებული". ამ საქმეში მუშაობა უნდა წარმართულიყო ორი გზით: ოფიციალური, რომელიც მას დააახლოებდა ევროპის წამყვან ქვეყნებთან, რადგან დამოუკიდებლობის აღდგენისა და მომავალი თავისუფლების სვე-ბედი სწორედ მათზე გადიოდა. მეორე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა საპროპაგანდო-სააგიტაციო საქმიანობას, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, არამედ ეკონომიკურ წრეებს დასავლეთში, რომელთა დაინტერესება საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო გადამწყვეტ როლს ითამაშებდა მომავალში. საბოლოოდ და სრულად უნდა გარკვეულიყო დამოკიდებულება მეზობლებთან ერთიერთობაში, რომელიც ხელს შეუწყობდა საერთო ფრონტით მოქმედებას ბოლშევიკების წინააღმდეგ, ასევე უნდა შენარჩუნებულიყო კარგი დამოკიდებულება იმ სახელმიფოების მიმართ, რომლებიც უშუალოდ რუსეთს ემეზობლებოდნენ და მათთან ერთად მოქმედებას მთავრობა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ერის გამოხსნისათვის ბრძოლაში.

აღნიშნულ საკითხებზე ნამდვილად ღირდა ყურადღების გამახვილება. ჯერ ერთი, დამოუკიდებლობის პერიოდში სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ იჭნა და ვერ გამონახა ისეთი მოკავშირე, რომელიც ქართულ საკითხს დაიცავდა, ან დაეხმარებოდა აგრესიის პირობებში. მართალია, ის, რაც გააკეთა გერმანიამ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში, მომავალში ვეღარ შეძლებდა იგივეს იმის გამო, რომ გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა. რაც შეეხება ანტანტის ქვეყნებს, მათი სრული მხარდაჭერა ვერ მოხერხდა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ამათგან, საქართველოს მთავრობის პოლიტიკაშიც უნდა ვეძებოთ.

საქართველოს მთავრობის, ე. წ., სოციალისტური სოლიდარობის კურსი ფუჭი ნაყოფი გამოდგა ევროპასთან დამოკიდებულებაში.

ნათქვამის საილუსტრაციოდ, უთუოდ, საინტერესოა პოლკოვნიკ სკოტის შენიშვნა, რომ: „სოციალისტთა შორის ამგვარი სოლიდარობისაგან მოკავშირეებთან ურთიერთობისას მთავრობა მისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში ეარდებოდა. ის არ იცნობდა ანტანტის ხალხების მსოფლმხედველობას. რა ენება მოჰქონდა ამ უცოდინარობას სანიმუშოდ ერთ მაგალითს მოვიშველიებ: ეროვნულ გვარდიას წითელი დროშა ჰქონდა. საქართველოში ჩამოსული უცხოელები — სულ ერთია, იქნებოდა ეს ოფიციალური თუ კერძო პირი — ამ დროშის დანახვისთანავე საქართველოს ბოლშევიკურ ქვეყნად აღიქვამდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა ნამდვილი მეგობარი მთავრობას ურჩევდა უარი ეთქვა ამ დროშაზე, იგი მაინც რამოდენიმე თვის განმავლობაში ინარჩუნებდა მას“[26]

მართალია, პოლკოვნიკ სკოტის არგუმენტი საგულისხმოა იმ მხრივ, რომ საქართველოს მთავრობის ქცევა, მოკარბებული სოლიდარობის გამო, ევროპის სოციალისტური ორგანიზაციებისადმი კიდევაც აღიზიანებდა ევროპის ქვეყნების მმართველ წრეებს, განსაკუთრებით კი — ინგლისს, მაგრამ ევროპის პოლიტიკისთვის მას არ უთამაშნია გადამწყვეტი როლი, თუ რატომ, ამაზე პირველ პარაგრაფში საკმაოდ შევჩერდით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციური პარტიები საქართველოს მთავრობას ამგვარ მისწრაფებაშიც ადანაშაულებდნენ.

(ამიტომ მთავრობის პირველსაეე სხდომაზე რეალური მოკავშირის ძებნა უპირველეს საქმედ იქნა მიჩნეული. მაგრამ ვინ? ამ მხრივ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. ა. ჩხენკელს ასეთად ინგლისი მიაჩნდა, რომელიც „ჩვენ დამოუკიდებლობაზე ხელს არ აგვაღებინებს... რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროში მის დაინტერესებას, აქ მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ მარტო საქართველოთი ის არ დაინტერესდება. ამიტომ საჭიროა კავშირში შესვლა ჩვენს მეზობლებთან, რომელთა ეკონომიკური დათმობის პოლიტიკა შედეგს გამოიღებს... მიუხედავად იმისა რომ დღეს ინგლისი მოკუმშვის პოლიტიკას აწარმოებს და ადვილი არ იქნება მასთან მისვლა“[27]

დამფუძნებელი კრების წევრი ირ. წერეთელი ამასთან დაკავშირებით თანხმობას აცხადებდა: — „ვაწარმოოთ მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე, მაგრამ ეს მუშაობა არ გამოვიდეს მიმართული მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ... რომ მან არ გააღიზიანოს რუსეთი ან მისი პოლიტიკური წრეები, რომელთა შორის ჩვენ

---

[26] იხ. რემონ დიუკე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

[27] სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები. ს. 1026.

მომხრეები გვყავს. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება მომავალში, ან რა გავლენა ექნება მას. ისეთი პატარა ხალხი, როგორც ქართველებია, სჭირდება დაზღვევის პოლიტიკა... უნდა ვიმოქმედოთ სიფრთხილით"[28]
არსებობს ოთხი საკითხი, — ასკვნიდა ნ. რამიშვილი, — 1) „დაცვა საქართველოს დამოუკიდებლობისა; 2) დამოკიდებულება ჩვენს მეზობლებთან; 3) დამოკიდებულება დიდ სახელმწიფოებთან; 4) დამოკიდებულება იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც რუსეთს გარს არტყიან.

პირველი საკითხი — ჩვენ ვერ უარვყოფთ წინანდელ მუშაობას — დამოუკიდებლობის დაცვას. სხვანაირი მუშაობა იქნება ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველი ან იმავე დროს ჩვენი თავის უარყოფა. ჩვენ ვაწარმოებდით ნამდვილ ინტერნაციონალურ პოლიტიკას ან ასეთად თვლიდნენ ჩვენს მუშაობას ჩვენი საერთაშორისო ამხანაგებიც, თვით რეკონსტრუქტორებიც. მე ერთში ვეთანხმები კაკი წერეთელს, ეს იმაში, რომ ჩვენ არ უნდა წავაგავდეთ დაშნაკებს, ჩვენ არ უნდა ვაგინოთ სხვები, მაგრამ პოლიტიკა ჩვენი საესებით უნდა იყოს დამყარებული დამოუკიდებლობაზე.

მეორე საკითხი — დამოკიდებულება მეზობლებთან — უწინარეს ყოვლისა უნდა იქნას ხაზგასმით აღნიშნული ჩვენს მუშაობაში, რომ ჩვენ ვიყავით დაპყრობილი ბოლშევიკების მიერ განსაკუთრებულ პირობებში და არა ისე, როგორც სხვა ჩვენი მეზობლები, საჭიროა მოქმედების კოორდინაცია ჩვენს მეზობლებთან, სხვანაირად არც ევროპას ესმის ეს საკითხი.

მესამე საკითხი — მე მომხრე ვარ ყველა სახელმწიფო გამოვიყენოთ ჩვენი საქმისათვის, რასაკვირველია, დღეს გერმანიასთან ვერ დავიჭერთ აშკარა კავშირს, მაგრამ ისე კი საჭიროა მასთან მუშაობა და მისი გამოყენება"[29].

აჯამებდა რა ორატორთა გამოსვლებს, მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია მიუთითებდა: — „რაც ნ. რამიშვილმა და ა. ჩხენკელმა ილაპარაკეს, ეს ჩვენი ძველი პოლიტიკაა. გამოდის, რომ არაფერი ახალი არ მომხდარა. ნამდვილად კი მოხდა დაპყრობა, ფაქტი, რომელსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. თქვენი ხაზი ძველი ხაზია ან ძველი ამბებისა და საქმის პოლიტიკაა. ეს არ არის პოლიტიკა, ეს პროპაგანდაა. ჩვენ კი გვჭირდება პოლიტიკა, ხოლო პოლიტიკა კი არის პრაქტიკული მუშაობა. ამიტომ მე ვამბობ, ჩვენი ძველი საგარეო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. ჩვენ უნდა შევიდეთ რაიმე რეალურ კომბინაციაში რო-

---

[28] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფირები, ს. 1026.
[29] სცსსა, იქვე.

მელიმე სახელმწიფოსთან. ამ კითხვას რომ დავსვამთ, ჩვენ ვერ ვიქონიებთ ისეთ ოპტიმიზმს, რომლითაც ზოგიერთი თქვენთაგანი აღჭურვილია. თქვენ ხედავთ, ევროპის ქვეყნები უკვე ელაპარაკებიან საბჭოთა რუსეთს ან ხელშეკრულებასაც კრავენ მასთან. ინგლისი ხელშეკრულებით შეეკრა მოსკოვს, ხოლო საფრანგეთი ანგორის მთავრობას იცავს. იტალია ანგორასთან ხელშეკრულებაში შევიდა და მოსკოვთანაც ,,არგ დამოკიდებულებაშია. ასეთი საერთაშორისო ცვლილებების გამო, ასეთი საერთაშორისო კომბინაციების წინაშე ჩვენ უნდა ვაღიაროთ რომ, ხიდი ჩვენსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის გატყდა. ამ ხიდის კვლავ აშენება არ შეიძლება მარტო ჩვენი საკუთარი ძალით ან ძველი გზით. დღევანდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში ორი დიდი სახელმწიფო თამაშობს დიდ როლს: რუსეთი და ოსმალეთი. ოსმალეთზე დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ, არც ქართველ ხალხს აქვს დიდი სიმპათიები მათ მიმართ. ეს საკმაოდ დამტკიცდა უკანასკნელი ამბების დროს.

/ დაგვრჩა რუსეთი. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ თვით რუსეთი იყოს ჩვენი დამოუკიდებლობის მომხრე. ამ მხრივ საჭიროა ვიქონიოთ გავლენა რუსეთის სხვადასხვა ჯგუფებზე, ჩვენ უნდა განვაგრძოთ მუშაობა დიპლომატიურად ევროპის სახელმწიფოებთან, მაგრამ ცენტრი მუშაობისა უნდა იყოს გადატანილი სხვადასხვა პარტიებთან სხვადასხვა ქვეყნებში და იმ მიზნით, რომ ამნაირად ვიმოქმედოთ არა მარტო ევროპის მთავრობებზე, არამედ თვით რუსეთზე და ბოლშეეიკურ მთავრობაზედაც. /

ამ მხრივ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ გამოვიყენოთ ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფები. თავისთავად ცხადია ჩვენ უნდა მოვახდინოთ ძალთა კოორდინაცია და შეთანხმება ჩვენს მეზობლებთან"[10]

აზრთა ასეთი განსხვავება საქართველოს მთავრობასა და, საერთოდ, ემიგრანტული წრეებისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგშიაც, მაგრამ გადაულახავი წინააღმდეგობა, განსაკუთრებით მთავრობაში, ამ მხრივ არ ყოფილა, არც მაშინ და არც შემდეგ. მთავრობა, შეძლებისდაგვარად, ატარებდა იმ კურსს, რომელიც ემიგრაციაში ყოფნის დროს განისაზღვრა.

საერთოდ კი, მთავრობის ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც მის პირველსავე სახდომებზე ჩამოყალიბდა, ასეთი იყო, ა) ,,მოლაპარაკებებს მთავრობებთან და საზოგადოდ ოფიციალურ წრეებთან აწარმოებს საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ა. ჩხენკელი. მასთან აქვს მუდ-

---

[10] -სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1026.

მიეცა დამოკიდებულება ევროპაში მყოფ ყველა ლეგაციებს (ლონდონი, რომი, ბერლინი, კოსტანტინოპოლი). ლეგაციებს ევალებათ — აუწყონ მას თავიანთ მოქმედებებზე და შეეკითხონ მას რაიმე ახალი ნაბიჯის გადადგმის წინ. ბ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდა-აგიტაციის საქმეს. ამ მიზნით შექმნილ იქნეს კომისია: ნ. რამიშვილი (თავმჯდომარე) სვ. მდივანი, ირ. წერეთელი, კ. საბახტრიშვილი, ვ. ვოიტინსკი.

...ყველა ლეგაცია ვალდებულია ყურადღებით მოეპყრან კომისიის მიერ მოწვდილ ცნობებს თუ სახელმძღვანელო აზრებს. უმჯობესია თითოეულ ლეგაციაში გამოყოფილ იქნეს ერთი პირი, რომელმაც უნდა აწარმოოს პროპაგანდა-აგიტაციის საქმე"[31]

მთავრობამ ამავე დროს შექმნა კომისია ნ. ხომერიკის მეთაურობით, რომელსაც უშუალოდ დაეკისრა საქართველოს საქმეებისათვის, იქ მიმდინარე მოვლენებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

ევროპაში ქართული საკითხის გაცხოველებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიპლომატიური მისიებისა და წარმომადგენლობების დაარსებას. ამ მხრივ ნაბიჯები ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დროს გადაიდგა, როცა დამოუკიდებელი საქართველოს ელჩები იყვნენ: არგენტინაში — ანდრო დეკანოზიშვილი, იტალიაში — გიორგი მაჩაბელი, ბელგიაში — ანტონ ჟორჟოლიანი, შვეიცარიაში — ხარიტონ შავიშვილი, გერმანიაში — ელ. ახმეტელი, მოსკოვში ჯერ გერასიმე მახარაძე, ხოლო შემდეგ — გაბრიელ ხუნდაძე, ინგლისში — დავით ღამბაშიძე, ოსმალეთში — სვიმონ მდივანი.

საფრანგეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ა. ჩხენკელი, 1921 წლის 13 თებერვალს ჩავიდა, ე. ი. მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთის შეავდასხმა საქართველოზე უკვე დაწყებული იყო, ხოლო რწმუნების ბარათების გადაცემა საფრანგეთის პრეზიდენტისადმი 22 თებერვალს მოხდა, იმ დღეს, როცა ბოლშევიკები უკვე თბილისის უტევდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო მოგონება აქვს სოსიპატრე (ციციკო) ასათიანს, რომელიც პარიზის საელჩოს მდივნის მოვალეობას ასრულებდა. „25 თებერვალს, იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარი თბილისში შემოდიოდა, საქართველოს საელჩოს წევრნი ელჩისეს სასახლეში შედიოდნენ" რწმუნების გრამატის" ჩასაბარებლად. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა მილიერანმა ძალიან კარგად იცოდა ეს ჩვენი უბედურება და სწორედ ჩვენ მიგვეცა, რომ ამით ერთგვარი პროტესტი განეცხადებინა საქართველოს დაპყრობის გამო...

---

[31] სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1026.

რამდენად ტკბილი იყო ეს სურათი, იმდენად მწარე, ვინაიდან ამ თვალწარმტაც სურათში არავითარი შინაარსი აღარ იყო... ასეთი დიდი ამბით საფრანგეთის პრეზიდენტთან მიყვანილი ქვეყნის წარმომადგენლობა არავის და არაფერს წარმოადგენდა"[32].

მიუხედავად ასეთი მძიმე განცდისა, რომელიც ოკუპაციას მოჰყვა, საელჩოს თავისი მუშაობა არ შეუნელებია, პირიქით, ის კიდევ უფრო გაძლიერდა მთავრობის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ. პარიზის ქართული საელჩო გახდა ცენტრი იმ დიპლომატიური მუშაობისა, რომელსაც საქართველოს მთავრობა აწარმოებდა ევროპაში.

პარიზის ქართული საელჩოს წევრები იყვნენ: აკაკი ჩხენკელი — ელჩი, მდივანი — ს. ასათიანი; მიხეილ სუმბათაშვილი და ზურაბ ავალიშვილი — მრჩეველები; ანტონ ეორეოლიანი და ალექსანდრე ქუთათელაძე — ატაშე, ეკონომიკური ნაწილის გამგე — მათე სკობელევი, შემდეგში — ნ. ჯუღელი; იმფორმაციული ბიუროს გამგე — ვ. ვოიტინსკი. თითქმის ამ შემადგენლობით საელჩომ იმუშავა 1933 წლამდე, ე. ი. „საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პაქტის დადებამდე". ამავე დროს, საქართველოს პარიზის საელჩოს თავისი რწმუნების ბარათები ჰქონდა ლონდონსა და რომში.

ლონდონში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი მიღებულ იქნა 1921 წლის 17 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის მიერ. როცა რწმუნების ბარათები გადასცა სამინისტროს. ელჩის კითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა რუსეთის ვერაგულ თავდასხმას საქართველოზე, პასუხად ლორდ კერზონმა, მართალია, თავისი მხურვალე თანაგრძნობა გამოთქვა საქართველოსადმი, მაგრამ ამასთანავე დასძინა — „რუსეთზე ვერაფერს ვიტყვიო". მანვე გამოთქვა მწუხარება იმის შესახებ, რომ საქართველო არ წავიდა ზოგიერთ დათმობაზე მისი მეზობლების მიმართ სან-რემოში (იგულისხმება სომხეთისათვის რკინიგზის გაყვანა ბათუმამდე და სხვა ტერიტორიული დათმობები, გ. ც.), მაშინ კიდევ შეიძლებოდა ამიერკავკასიის მდგომარეობის განმტკიცება. ბოლოს მაინც დაიმედა ელჩი კერზონმა — როცა კი აღიძვრება ახლო აღმოსავლეთის საკითხი, ინგლისს კიდევ შეუძლია დაეხმაროს საქართველოს.

საქართველოს წარმომადგენლობას ლონდონში, პარიზის საელჩოს მეშვეობით, სხვადასხვა დროს უძღვებოდნენ დავით ღამბაშიძე, მიხეილ სუმბათაშვილი და კონსტანტინე გვარჯალაძე, რომელთაც იქ რთული მუშაობის წარმოება მოუხდათ. მართალია, მათ სისტემატური კავშირი ჰქონდათ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, მაგრამ

---

[32] ალ. გ. მარაძე, უცხოეთის მზის ქვეშ (წიგნი პირველი), თბ., 1991, გვ. 78-79.

აქ რაიმე წარმატებას ვერ მიაღწიეს. სამინისტროსთან არსებული საქართველოს და შემდეგ კავკასის განყოფილება გააუქმეს, საქმე გადასცეს აღმოსავლეთის განყოფილებას, მაგრამ მალე ეს საქმე რუსეთის განყოფილებას მიაწერეს. ასე რომ, კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს საკითხი, თითქმის უგულებელყოფილი იქნა ინგლისის მიერ.

გერმანიაში ყველაზე ადრე გაიხსნა საელჩო, მაგრამ, რადგანაც იქ თავის დროზე არ გაუგზავნიათ რწმუნების ბარათი, ამიტომ მას განაგებდა ჯერ კიდევ 1919 წელს მივლინებული საქართველოს წარმომადგენელი ელ. ახმეტელი ფორმალური აკრედიტაციის შესასრულებლად გერმანიის პრეზიდენტის წინაშე. ხოლო იტალიაში ლეგაციის მუშაობას უძღვებოდა გ. მაჩაბელი, რომელიც 1922 წლიდან გერმანიის წარმომადგენლობას შეუერთდა. იმავე წლის ბოლოს წარმომადგენლობის გაუქმების შემდეგ ბერლინში დაარსდა ინტერპარტიული კომიტეტის პოლიტიკური კომისია.

კოსტანტინოპოლის, ისევე როგორც პარიზის, ქართული საელჩო სრული უფლებებით სარგებლობდა. საქართველოს მთავრობამ აქ თავისი წარმომადგენლობა 1921 წლის 31 იანვრიდან დააარსა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: სვიმონ მდივანი — ელჩი; გენერალი ერისთავი — სამხედრო მრჩეველი; არისტო ჭუმბაძე — საქმეთა მწარმოებელი; მელიტონ (ოსმან-ბეი) ქარცივაძე, ზია-ბეი აბაშიძე — ატაშე; ამათ გარდა, ორი ოფიცერი — ემხვარი და შალიკაშვილი [33].

ამავე დროს, 1922 წლიდან სტამბოლში დაარსდა პოლიტიკური კომისია. მას ჯერ ნ. ხომერიკი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ კ. გვარჯალაძე ედგა სათავეში, რომელიც შემდგომში გაუქმებული საელჩოს ფუნქციას ასრულებდა.

შვეიცარიას საქართველოსთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ბერნში საქართველოს წარმომადგენლობა 1919-1920 წლებში არსებობდა. 1921 წლიდან ასევე წარმომადგენლობა დაარსდა ჟენევაში. როგორც შვეიცარიის მთავრობასთან, ისე ერთა ლიგაში, აღნიშნულ მისიას სათავეში ედგა ხარიტონ შავიშვილი.

სხვა ქვეყნებში საქართველოს თავისი წარმომადგენლობანი არ ყოლია. მხოლოდ ვარშავასა და პრაღაში არსებობდა ქართული გამგეობები, რომლის უპირველესი ამოცანა ამ ქვეყნებში მოხვედრილ ქართველ ემიგრანტთა დაცვა იყო პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობების წინაშე.

---

[33] იხ.: გ. მარაძე, დასახ. ნაშრომი (წიგნი მესამე), თბ., 1993, გვ. 35.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა დროს სამუშაოდ მივლინებულნი იყვნენ — ზ. ავალიშვილი — 1922 წელს, შემდეგ — ვ. დუმბაძე. ხოლო 1925 წელს იქ დაარსებულ ქართულ საკონსულოში ვ. დუმბაძის წინადადებით კონსულად დაინიშნა ბარონ კოლიე[34].

საქართველოს საელჩოებისა და წარმომადგენლობების მუშაობას ევროპაში 1921 წლიდან ჰქონდა „განსაკუთრებული მხარე". მათ წილად არ ხვდომიათ თავისუფალი ქვეყნის ინტერესების დაცვა, ნორმალური მუშაობა სხვა ქვეყნებთან დასაახლოებლად. მათ უმთავრესად უხდებოდათ საპროტესტო ნოტების გადაცემა, რომელიც ამხელდა მტრის თავდასხმას სამშობლოზე, იქ მიმდინარე რთულ პროცესებს, იმ აუტანელ პირობებს, რომელთაც ქართველი ხალხი განიცდიდა ბოლშევიკების თარეშის დროს. ისინი ცდილობდნენ არაფერი გამოჰპაროდათ ქართველი ერის განმანთავისუფლებელი ბრძოლიდან და ხელიდან არ უშვებდნენ არც ერთ შემთხვევას, რათა მთელი სიგრძე-სიგანით აღეძრათ ქართული საკითხი მთავრობათა, პარლამენტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ კონფერენციების წინაშე. თუ რა კონკრეტული მაგალითებით, ამაზე — შემდეგ პარაგრაფში.

საქართველოს მთავრობის პარიზში ჩასვლის შემდეგ, ქართულ საკითხზე მსჯელობა უფრო მიზანმიმართული გახდა. იმ პერიოდის ევროპული პრესა მას საკმაოდ გამოეხმაურა. თუმცა იბეჭდებოდა ერთმანეთის საწინააღმდეგო სტატიები და წერილები, როგორც ერთი მხრივ — ბოლშევიკებისა თუ მათ მიერ დაქირავებული აგენტებისაგან, ისე მეორე მხრივ — ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა და საქართველოს საკითხით დაინტერესებულ მხარდამჭერთაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ევროპის სოციალისტური პრესა. მათგან ნაწილი იცავდა და ამართლებდა ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციას, იმ მიზეზით, რომ გაიზარდა საბჭოების არეალი, ხოლო ნაწილი, უფრო დასაბუთებული პოზიციიდან — ქართულ საკითხს. ასეთი პროპაგანდის პირობებში როგორც მთავრობა, ისე პოლიტიკური ემიგრაციის უკლებლივ ყველა წევრი თავს მოვალედ თვლიდა, უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით, გამოეაშკარავებინა ის სიცრუე, რომელიც, უდავოდ, უარყოფით როლს თამაშობდა ქართული საკითხის გაცხოველებაში. ამ მხრივ თავისი დადებითი სიტყვა, უპირველესად, 1921 წლის 15 მაისიდან პარიზში გამოსულმა ქართულმა გაზეთმა თქვა. ეს იყო „თავისუფალი საქართველო"

საქართველოს შესახებ ასევე საინტერესო მასალას გვაწვდიან იმ დროის დასავლეთის ქვეყნების ეურნალ-გაზეთები: „როსტა",

---

[34] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის [illegible] ს. 1077.

„ფორვერდი", „ჩიკაგო ტრიბუნა", „ჰუმანიტე", „მანჩესტერ გარდიენი", „დეილი ჰერალდი", „ნიუ ლიდერი", „ავანტი" და სხვ.

გაზეთ „ფორვერდში" გამოქვეყნებულ სტატიაში ავტორი მიუთითებდა იმაზე, რომ თითქოს საქართველოში გადატრიალება მოხდა ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით, როგორც პეტროგრადში 1917 წლის ოქტომბერში, ასევე საქართველოს, კავშირი ჰქონდა დენიკინთან და რომ საქართველოს მთავრობა საზრდოობდა „ბურჟუაზიული მენტალიტეტით".

წერილს პასუხი გასცა ნოე ჟორდანიამ. მისი თქმით, „საქართველოში იყო არა გადატრიალება, არამედ ოკუპაცია ბოლშევიკების მიერ და რომ კავშირი დენიკინთან არ შეიძლება ჰქონოდა მიზეზთა გამო, ჯერ ერთი ჩვენ მასთან გვქონდა ომი და მეორეც ის ისევე იზიარებდა აზრს საქართველოს შესახებ, როგორც ბოლშევიკები, რომ „ოკუპაცია ეწინააღმდეგება იდეას ერთა თვითგამორკვევის შესახებ"[35].

რაც შეეხება გაზეთ „Чикаго-Трибюне"-ს კორესპონდენტის კითხვას მთავრობის თავმჯდომარისადმი: როგორია ხალხის დამოკიდებულება ბოლშევიკურ გადატრიალებასთან, გაქვთ თუ არა კავშირი თქვენს ქვეყანასთან ან როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ქვეყნის მომავალი და გეყოფათ თუ არა სახსრები დაკარგულის აღსადგენადო, ნოე ჟორდანიამ კვლავ გაიმეორა: „ეს გადატრიალება არ იყო, ეს იყო აგრესია და მას ისევე უყურებს ხალხი, როგორც მთავრობა, რაც შეეხება კავშირს, ჩვენ მტკიცე კავშირი გვაქვს ქვეყანასთან. მომავალი და საფუძველი ბოლშევიკებს საქართველოში არა აქვთ. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს დასავლეთის და მათ შორის ამერიკის კაპიტალის. მართალია, საქართველო ცუდად განვითარებული ქვეყანა, მაგრამ მას აქვს სიმდიდრე და გააჩნია კარგი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რაც, უთუოდ, დაინტერესებს ამერიკას"[36]

ბოლშევიკები, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილებულან ერთი ან ორი დეზინფორმაციული განცხადებით და საპირისპიროდ განაგრძობდნენ ინფორმაციულ ომს ქართული საკითხის საწინააღმდეგოდ. ისინი ცდილობდნენ. ეთქვათ რაიმე, თუნდაც საკვირველი ტყუილიც კი. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ტროცკის წიგნი „იმპერიალიზმის და რევოლუციის შუა", სადაც ავტორი აცხადებდა, ვითომდა ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა არ სურდა და მისი გამოცხადება მხოლოდ რამდენიმე პირის საქმე იყო. საქართველოს დამოუკიდებლობა ლეგენ-

---

[35] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფირები, ს. 1020.

[36] სცსსა, იქვე.

დად მიიჩნია და ამის გამო მენშევიკურ მთავრობას „ფანატიკურს" უწოდებდა.

ტროცკის ამ, მართლაცდა სიყალბეს, ნოე ჟორდანიამ გასცა ვრცელი პასუხი, რომელიც დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთში „სოციალისტური ცხოვრება", სათაურით „იმპერიალიზმი რევოლუციის ნიღბის ქვეშ". მთავრობის თავმჯდომარემ, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, დაარღვია ტროცკის ყველა დებულება და მიუთითა: „გადავცეთ ყველა დოკუმენტი საქართველოს შესახებ ინტერნაციონალური პროლეტარიატის მიუდგომელ ტრიბუნალს. დაე, მან საკითხი შეისწავლოს და გამოიტანოს თავისი განაჩენი, რომლის წინაშე ორივე მოდავე მხარემ თავი უნდა მოიხაროს"[37]. ბოლშევიკებმა, უპასუხოდ დატოვეს ეს წინადადება. მათ ასევე პასუხი არ გაუციათ ნოე ჟორდანიასა და ნ. ჩხეიძის წერილებზე „ვინ ლაპარაკობს საქართველოს სახელით", „Где же правда о Грузии" და მრავალ სხვაზე.

ბოლშევიკური სიყალბის გაფანტვაში ასევე დიდი როლი ითამაშა 1921 წელს ფრანგულ და სხვა ენებზე გამოცემულმა წიგნებმა „ქართველი მუშების გამოსვლა მოსკოვის იმპერიალისტების წინააღმდეგ", და „ბოლშევიკების ახალი ბოროტება საქართველოში". ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე უცხოელ ავტორთა გამოხმაურებანი ქართული საკითხის დაცვის მიზნით.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უშუალოდ გამოხმაურებებსა და წერილებს საქართველოდან, რომლებიც ამხელდნენ მტრის სისასტიკესა და ვერაგობას. ამათგან აღსანიშნავია პატიმართა წერილები იმაზე, თუ რა ხდებოდა „ჩეკას" ჯურღმულებში, ასევე სხვადასხვა პარტიების, ორგანიზაციების, სტუდენტთა და მასწავლებელთა კავშირების, მუშათა კრებებზე გამოტანილი რეზოლუციები და დადგენილებანი. ყველა მათგანი ქვეყნდებოდა როგორც ქართულ ემიგრანტულ, ასევე — ევროპულ პრესაში: ამავე დროს, ის გადაეცემოდა ხოლმე უშუალო ადრესატებს — სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს, პარლამენტარებსა თუ ერთა ლიგის სამდივნოს, მუშათა და სოციალისტურ წრეებს.

ერთი სიტყვით, საქართველოს მთავრობა და პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები რეაგირების გარეშე არ ტოვებდნენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და იგი სახელმიფოთა და საზ. დოებრივ სამსჯავროზე გამოჰქონდათ.

..-გრამ, ასეთი მუშაობის შედეგი თითქოს არ ჩანდა. ევროპა, თავის კანტურითა და წარბშეუხრელად ისმენდა ყოველივეს. თუ ისევ ნ. ჟორდანიას დავუჯერებთ და სიმართლეს თვალებში შევხედავთ, ყველა-

---

[37] ციტ: კ. გურჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, 1991, გვ. 38.

ფერი ცხადზე უცხადესი შეიქნება, რომ — „არც ერთ მთავრობაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს დაპყრობას და მოსპობას შთაბეჭდილება არ მოუხდენია. აშკარა იყო ჩვენთვის, რომ ევროპის საზოგადოება დაღალულია, სხვისი სატკივარი მათ არ სტკივა, არც კი ამჩნევს მას და ცდილობს მხოლოდ ერთს — იყოს თავისთვის წყნარად და უდარდელათ"[38]. ყოველივე ნათქვამი უტყუარი ფაქტია. საქართველოს მთავრობასა და მის პოლიტიკურ წრეებს ვერავინ დაუბრალებს უმოქმედობას ქართული საკითხისათვის ბრძოლაში. მთავრობამ ამ საკითხის მოსაგვარებლად გააკეთა ის, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა. „დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არცერთ ევროპის სახელმწიფოს მთავრობას არ დაუწერია იმ ხანებში სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობების და ხალხთა შორის ლიგის მიმართ იმდენი დიპლომატიური ნოტა და მიმართვები, რაც ჩვენმა ყოფილმა მთავრობამ დაწერა"[39]

ადგენდა რა თავის სამუშაო გეგმას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად თვლიდა ემიგრაციაში მყოფი კავკასიის ქვეყნების ყოფილ მთავრობებთან დამოკიდებულების საკითხს.

პირველ თავში გაკვრით შევეხეთ იმ მდგომარეობას, რომელიც კავკასიის რესპუბლიკებისთვის იყო დამახასიათებელი 1917 წელს რუსეთში მომხდარი გადატრიალების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი ერთიანი ძალებით ცდილობდნენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის, შემდეგ კი სეიმის მეშვეობით, ასეთმა ერთობამ ვერ გაამართლა არა მარტო რელიგიური ან ეთნიკური სიჯრელის გამო, არამედ, უმთავრესად, იმ პოლიტიკური ორიენტაციის გამო, რომელიც თითოეულ მათგანს ჰქონდა აღებული და გუშინდელი მოკავშირეები უკვე მალე ურთიერთსაპირისპირო ბანაკში აღმოჩნდნენ, რომლის დადასტურებაა 1918 წლის სომხეთ-საქართველოსა და სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტები.

ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობამ ისე ღრმად გაიდგა ფესვები, რომ საერთაშორისო მასშტაბითაც მისმა განხილვამ შედეგი ვერ მოიტანა. ამის ნათელი გამოხატულება იყო 1920 წლის სანრემოს კონფერენცია, რომელზეც ჩვენ საკმაოდ შევჩერდით, როცა მათ შორის ისეთი გაურკვევლობა და შეუთანხმებლობა წარმოჩნდა, რომ დღესაც ამ საკითხზე მსჯელობა მწარე ღიმილს მოჰგვრის თუნდაც მასში გაუთ-

---

38 ნ. ორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

39 იხ: კ. სულაკელიძე. რა მოხდა? (ვინ მოაწყო და როგორ ოგვისტის აჯანყება), თბ., 1927, გვ. 27.

ვითცნობიერებელსაც კი. არადა, ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის მიღწეულ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათი სიცოცხლისუნარიანობისათვის, რადგან ინგლის-ამერიკის ინტერესი ამიერკავკასიით განისაზღვრებოდა და-არა ცალკე აღებული ერთი რომელიმე ქვეყნით. და რადგან ვერა და ვერ მოხერხდა ამ სამი მეზობლის მორიგება, საკვირველად არ უნდა მოგვეჩვენოს დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლის ვანსიტტარტის სიტყვები, რომ „მას გულმოდგინება დაეკარგა. იგი ხელს იბანს და შორდება ამ საქმეს" [40]. საქართველოსათვის კი, თავი რომ დავანებოთ სომხეთს ან აზერბაიჯანს, სამწუხარო მარტო ვანსირტარტის „გულმოდგინების დაკარგვა" კი არ იყო მთავარი, არამედ მთელი ინგლისური პოლიტიკისა, რომელმაც ხელი აიღო კავკასიაზე და მალე ბათუმიდანაც გაიყვანა თავისი გარნიზონი. ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ჩვენთვის გასაკვირი აღარ უნდა იყოს ინგლისური პოლიტიკის უყურადღება და დაუინტერესებლობა კავკასიური საკითხის გამო.

ყოველივე ეს კარგად ესმოდათ ამიერკავკასიის ქვეყნების ემიგრანტულ მთავრობებს, განსაკუთრებით — საქართველოს მთავრობას, იმ მიზეზის გამო, რომ გასაბჭოების შემდეგ არცერთი ერი არ ჩავარდნილა ისეთ მძიმე მდგომარეობაში, როგორშიც ქართველი ხალხი. სურვილი ურთიერთდაახლოებისა ნამდვილად იყო, მაგრამ დამოუკიდებლობის წლებში გაფუჭებული საქმის გამოსწორება ძნელი გახდა. ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო.

ემიგრაციაში მყოფი კავკასიის ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლებმა 1921 წლის მაისში საჭიროდ ჩათვალეს ერთიანი ფრონტის შექმნა ბოლშევიკების წინააღმდეგ შესაძლო მოქმედებისთვის. ამ მხრივ, ე. წ. „მოკავშირეები" შეუდგნენ იმ საკითხების მოგვარებას, რომლებიც ომსაც კი იწვევდა ურთიერთ შორის. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საზღვრების საკითხმა, რომლის გადასაჭრელად შედგენილი იქნა კომისია მ. არსენიძის თავმჯდომარეობით.

ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების მოლაპარაკებამ, სამხედრო და პოლიტიკური კავშირის გაბმის თაობაზე კაზაკებთან და ყუბანის დელეგაციასთან, უნაყოფოდ ჩაიარა. რაც შეეხება მთიელ ხალხთა კავშირს, ისინი მომხრე აღმოჩნდნენ კავშირისა და პარიზში 1921 წლის ივნისში დაარსდა კავკასიის ოთხი რესპუბლიკის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მთიელ ხალხთა კავშირი) მუდმივი ორგანო — კავშირის საბჭო. ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, როგორიცაა: 1) სადავო ტერიტორიების საკითხების

---

[40] იხ.: ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

გადაჭრა საკალდებულო არბიტრაჟით. 2) საბაჟო საზღვრების მოსპობა და მთელი კავკასიის ეკონომიკურ ერთეულად ქცევა საერთაშორისო მიმოსვლისათვის. 3) სამხედრო კავშირი. 4) შეთანხმებული გეზი საერთაშორისო პოლიტიკაში[41]

კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა 10 ივნისს ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომლის მთავარ მიმართულებად დაისახა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. დეკლარაციის ტექსტი გადაეცა მოკავშირე სახელმწიფოთა ლეგაციებს და გაეგზავნა უმთავრეს სახელმწიფოთა მთავრობებს.

ლონდონში დეკლარაციის გადაცემისას, კავშირის წარმომადგენლებს ყურადღებით მოუსმინეს, თუმცა რაიმე განცხადება ან ფაქტირება ინგლისის მმართველი წრეებიდან არ ყოფილა. რაც შეეხება საფრანგეთს, კავკასიის რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლებს 11 ივლისს ჰერტიმ (პოლიტიკურ საქმეთა დირექტორი) ბრიანის (პრემიერ მინისტრი) სახელით განუცხადა: „კავკასიის საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და მისი დასმა არ მოხერხდება, ხოლო შემდეგ ის შესაძლებელი გახდება ოსმალეთის გახიშვის საქმეში, სადაც საჭიროა სიფრთხილით მოქმედება რათა, არ მოხდეს ხალხის უდროოდ გამოსვლა, რაც საქმისათვის მავნებელი იქნება[42]

მეორედ შეხვედრის დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში კავკასიის კავშირის წარმომადგენლებმა შემდეგი თხოვნა წარადგინეს:

1) კავკასიის რესპუბლიკების კავშირის საკითხის სასურველად დაბოლოება დამოკიდებულია მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე ანტანტასა და ოსმალეთს შორის.

2) სათათრეთი (ე. ი. ოსმალეთი, გ. ც.) არ მოისურვებს სერიოზულ მუსაიფს მანამ, სანამ ანტანტას აქვს დიდი სურვილი განახორციელოს იდეა კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა.

3) შეთანხმება სათათრეთსა და კავშირს შორის შესაძლებელია მოკავშირეთა დახმარებით, კერძოდ — საფრანგეთის შემწეობით. თვით საფრანგეთი გამონახავს იმ ფორმას, რომელშიც უნდა გამოიხატოს ეს დახმარება[43]

---

[41] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 872.

[42] სცსსა, იქვე.

[43] იქვე.

1921 წლის 3 აგვისტოს კავკასიის რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლები მიიღო არისტიდ ბრიანმა და აღუთქვა მათი საკითხის დასმა ანტანტის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

კავკასიის რესპუბლიკათა კავშირი, შეუდგა რა თავის ორგანიზაციულ მუშაობას, 4 ივლისს შექმნა: 1) კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების თათბირი (სათათბირო გ. ც.). 2) გენერალური სამდივნო და 3) პრესბიურო.

პირველში შევიდნენ პარიზში მყოფი ოთხ რესპუბლიკათა წარმომადგენლობის წარმომადგენლები, მეორეში — წარმომადგენლობის მდივნები,. მესამეში — თითო წარმომადგენელი ყოველი წარმომადგენლობიდან. დანიშნული იქნა, აგრეთვე, კავშირის მდივანი.

კავშირის წარმომადგენლობას დაევალა ანალოგიური თათბირის შექმნა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, რომელსაც არ შეეძოლ დამოუკიდებელი ნაბიჯი გადაედგა ცენტრალური თათბირის დაუკითხავად. თათბირის მოვალეობაში შევიდა ცნობების შეგროვება და მიწოდება ცენტრალური თათბირისადმი.

რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალურ თათბირზე 1921 წლის 9 ნოემბერს არჩეული იქნა სამხედრო კომისია.

კავკასიის რესპუბლიკების კავშირისა და მისი სათათბიროს მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1922 წლიდან, კანისა და გენუის კონფერენციების მიმდინარეობისას, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

როგორც აღნიშნეთ, 1921 წლის 9 ნოემბერს კავკასიის რესპუბლიკების კავშირის მიერ შეიქმნა სამხედრო კომისია, რომლის უმთავრესი დანიშნულება იყო ნიადაგის მომზადება ერთიანი ფრონტისთვის ბრძოლაში. მაგრამ კვლავ თავი იჩინა არა წარსული მარცხის მწარე გაკვეთილმა, არამედ ურთიერთშორის წინააღმდეგობების ახალმა ტალღამ, განსაკუთრებით ადგილებზე. სომხეთის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს აჯანყებაში მონაწილეობაზე. ამ მხრივ საინტერესოა 1924 წლის 18 ივნისის საქართველოს მთავრობის სხდომის ოქმის ჩანაწერი — საქართველოში სომხებთან დმოკიდებულების შესახებ: „საქართველოდან მოსული ცნობების თანახმად სომხობა არა თუ მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ ხელს უშლის კიდევაც ქართველთა ამ მისწრაფებას.

დადგენილება: მიენდოს ნ. რამიშვილს მოელაპარაკოს ხატისოვს იმ მდგომარეობის გამო, რომლის შესახებ გვწერენ საქართველოდან და წინადადება მიეცეს, რომ აჭაურმა წარმომადგენლობამ გავლენა იქონიოს თანამემამულეებზე[44]

---

[44] სცსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1066.

რაც შეეხება აზერბაიჯანისა და მთიელ ხალხთა მხარდაჭერას მომავალი აჯანყებისათვის, თუ რა ტრაგიკული შეიქმნა მათთან კავშირის გაბმა საქართველოს დამკომის წევრებისათვის, ამაზე ქვემოთ.

კავკასიის კავშირის საქმიანობაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა პოლიტიკური ერთიანობის უსუსურობა. კავშირი, მართლაც, „უსულო და უგულო" აღმოჩნდა თვით ბოლშევიკური შეფასებითაც.

საქართველოში 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ემიგრაციაში მოხვედრილ კავკასიის პოლიტიკურ წარმომადგენლებს შორის კავშირის აღდგენის ცდებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ასეთი ცდა დამთავრდა იმით, რომ 1924 წლის ნოემბერში სტამბულში დაარსდა „კავკასიის განმანთავისუფლებელი კომიტეტი" კავკასიის ერების კონფედერაციის ორგანიზაციის საფუძველზე („კავკასიის კონფედერაციის კომიტეტი" — კ. კ. კ.), მაკავშირებელ აქტს ხელი მოაწერეს, ქართველებიდან: მ. წერეთელმა, დ. ვაჩნაძემ და ა. ასათიანმა; აზერბაიჯანიდან — ექ. ხოსროვ სულთან ზადემ, აბდულ ალი ემირჯან, შეიხ-ულისლამ ზადე; ჩრდ. კავკასიიდან: ვასან გირეი, ჯაბაგი (ჩეჩენი), ალიხ კანტემირი (ოსი), ჰაიტეკ ნამიტოვი (ჩერქეზი)[45].

კომიტეტის სახელით იმავე წლის აგვისტოში, თურქეთში პოლონეთის ელჩის — რომან კნოლის ფინანსური დახმარებით ანტისაბჭოური ქმედებისათვის გაიგზავნა სამი წევრი: დ. ვაჩნაძე — არდაგანში; ა. კანტემირი — ყარსში; ექ. ხოსრო სულთანოვი — სპარსეთში.

მალე, 1926 წელს, ეს კომიტეტი დაიშალა. მის ცდას რაიმე პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

ასე რომ, ემიგრაციაში მოხვედრილ კავკასიის მთავრობათა და წარმომადგენელთა საქმიანობა, საერთო ფრონტით ემოქმედათ ბოლშევიკების წინააღმდეგ, უშედეგო აღმოჩნდა.

---

[45] დ. ვაჩნაძე, დაკარგული საქართველოში (მოგონება), ჟურნ. „მოამბე", თბ., 1993, №1, გვ. 16.

§ III. საქართველოს საკითხი ევრობის მთავრობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მუშაობა, როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, განისაზღვრა მთავრობის პირველსავე სხდომებზე.

უმთავრესი მიზანი ამ მუშაობისა იყო ისეთი მოკავშირის მოძებნა, რომელიც სრულ მხარდაჭერას გამოხატავდა საქართველოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, რომლის არ ყოლამაც საქართველო კატასტროფის წინაშე დააყენა 1921 წელს. მაგრამ რისი ან ვისი იმედი უნდა ჰქონოდა სამშობლოდან განდევნილ ერთ მუჭა პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთა მუშაობას მრავალი სირთულე და წინააღმდეგობა ელობებოდა წინ. ამავე დროს, საშუშაო პირობები ევროპაში რთული იყო, კვლავ გრძელდებოდა წინააღმდეგობა არა მარტო გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოთა, არამედ გამარჯვებულთა შორისაც. ასევე წინა „პლანზე" წამოიწია რეპარაციების საკითხმა.

ევროპას აღელვებდა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა და ამ ფონზე, საშუალოდ კავკასიის და მათ შორის საქართველოს საკითხი ადგილს ვერ პოულობდა საერთაშორისო პოლიტიკაში.

პირველმა მსოფლიო ომმა ეკონომიკურად გააჩანაგა ევროპა. საშინაო პრობლემებმა საზოგადოების უდიდესი ნაწილი საგარეო საკითხებისადმი ინდიფერენტულად განაწყო და ესეც ხელს უშლიდა ქართული საკითხის დაყენებას. ამავე დროს, გაცილებით რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა თვით ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყოფნა და მოღვაწეობა საზღვარგარეთ როგორც პოლიტიკურად, ისე მორალურად და ფინანსურად. მიუხედავად ამისა, ემიგრაციის უკლებლივ ყველა წევრი დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში ერთსულოვნებას იჩენდა.

1921 წლის ოკუპაციის შემდეგ გახიზნული საქართველოს მთავრობისა და, საერთოდ, პოლიტიკური ემიგრაციის დიდი ნაკადის თავშესაფარად საფრანგეთი - იქნა არჩეული. სწორედ აქ იგრძნო ქართველმა კაცმა თავისი თავი ყველაზე უშიშრად და საიმედოდ, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხარეს, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ეს ქვეყანა და მისი მმართველი წრეები საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას, რომელმაც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად პარიზი აირჩია, იქ ჩასვლისას პოლიტიკურ მოღვაწეთაგან არავინ დახვედრია. შემდგომში საქართველოს მთავრობასა და მის წარმომადგენლობას კარგი ურთიერთობა

და მუდმივი კავშირი ჰქონდა, ყველა პოლიტიკურ დონეზე, როგორც მთავრობასთან, ასევე საფრანგეთის პრეზიდენტთანაც. საფრანგეთის პოზიცია საქართველოს მიმართ მტკიცედ გამოიხატა 1921 წლის თებერვალ-მარტის ლონდონის კონფერენციაზე, როცა საფრანგეთმა ფაქტიური შუამდგომლობა გასწია ინგლისთან და ოსმალეთთან საქართველოს შესახებ. ინგლისი არ ჩქარობდა საქართველოს საკითხის დაყენებას, რაც შეეხება ოსმალეთს, მან, საფრანგეთის ჩარევით, უარყო თავისი ქვეყნის პრეტენზიები საქართველოსადმი ტერიტორიულ საკითხში (კერძოდ, ბათუმი და ართვინის ოლქი, გ. ც.), საფრანგეთი ამით ცდილობდა ოსმალეთ-საქართველოს დაახლოებას და ხელს უწყობდა საქართველოს ინტერესებს. აღნიშნული აზრი გატარებულია საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ა. ჩხენკელის მოხსენებაში — „მემუარი სრულუფლებიანი ელჩისა დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-22 წწ."[46]

სამთავრობო დონეზე შეხვედრებიდან საინტერესოა ნ. ჟორდანიას საუბარი საფრანგეთის პრეზიდენტ — მილიერანთან, რომელიც 1921 წლის 8 ივნისს გაიმართა. პრეზიდენტის კითხვაზე „არიან თუ არა თქვენს ხალხში ელემენტები, რომლებსაც შეუძლიათ შეებრძოლონ ბოლშევიკებს, და თუ არიან რატომ აჩერებთ მათ?" საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ამაზე უპასუხა: „რა თქმა უნდა, არიან, ეს არის მთელი ხალხი, რომელიც მზადაა შეებრძოლოს მათ, მაგრამ ჩვენ მას ვაჩერებთ, იმიტომ რომ საზღვარი ოსმალეთის მხრიდან ღია არის და გამოსელა ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოიწვევს ოსმალთა შემოსევას და ხალხი ხიფათში ჩავარდება"[47].

აღნიშნული საუბარი საგულისხმოა იმ მხრივ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საქართველოში მომხდარ ამბებზე, და საერთოდ იქ მიმდინარე მოვლენებზე, ანდა შეგნებულად აუბრალოებს საუბრის ტონს, თითქოს საკითხის არ ცოდნის მომიზეზებით. ქვეყნის პრეზიდენტის ასეთი პოზიცია განისაზღვრებოდა მრავალი ფაქტორით და უმთავრესად იმ საერთაშორისო მომენტით, რომლის წინაშე საფრანგეთი თავს ვალდებულად თვლიდა ანგარიში გაეწია მისთვის, ვიდრე — ქართული საკითხისათვის, კერძოდ ისეთი რამ, რასაც თითქოს საქართველოსთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა. აქ საუბარი შეეხება ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების საიდუმლო პუნქტს, რომლის ძალითაც, საფრანგეთი ხელფეხს უხსნიდა ინგლისს რუსეთის საკითხში (ე. წ. carte blanche), სამაგიეროდ მას

---

[46] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 872.

[47] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1020.

შესაძლებლობა ეძლეოდა ვერსალის ხელშეკრულება სისრულეში მოეყვანა, სწორედ ინგლისის ძალისხმევით. საფრანგეთის დამოკიდებულება ქართული საკითხისადმი იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ რას კარნახობდა მას საერთაშორისო მდგომარეობა და, უშუალოდ, თავისი ქვეყნის ინტერესები. ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს 1922 წელი, როცა ქართულმა საკითხმა, საფრანგეთის წყალობით, წინ წამოიწია გენუის, ჰაგის და ლოზანის კონფერენციებზე. გენუის კონფერენციაზე, როცა ინგლისის პრემიერ მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა მოითხოვა რუსეთის დაშვება, საფრანგეთის პრემიერმა არისტიდ ბრიანმა საქართველოს საკითხი დააყენა, მოეწვიათ საქართველოს ემიგრანტული მთავრობაც. მართალია, ეს არ მოხდა, მაგრამ ბრიანს ადრეც არ უთქვამს უარი მთავრობასთან კეთილგანწყობილ ურთიერთობაზე, ამის თვალსაჩინო მაგალითია ნოე ჟორდანიას დარბაზობა საფრაგეთის პრემიერ მინისტრთან 1921 წლის 2 ივნისს. მაშინ ბრიანმა დაამშვიდა ჟორდანია, რომ საქმე გამოსწორდება და საფრანგეთი მომავალში უფრო ადვილად შეძლებს საქართველოს მხარდაჭერასო. მათი საუბარი მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა სირთულეები ახლდა ქართული საკითხის არა თუ სისრულეში მოყვანას, არამედ უბრალოდ დასმასაც კი:

ნ. ჟორდანია — „ჩვენ საქმეს ართულებს ანგორაში შექმნილი მდგომარეობა, სადაც ძალზე იმატა მოსკოვის გავლენამ.

ა. ბრიანი — ჩვენ ვცდილობთ ანგორა ჩამოვაცილოთ მოსკოვს, და გამოვიყენოთ იგი საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების კომბინაციებისათვის, მაგრამ არ გამოდგა გონიერი და ინანებს კიდეც. ჩვენ უკვე ვიღებთ ზომებს...

ნ. ჟორდანია — კავკასიის ოთხი რესპუბლიკის წარმომადგენლები უკვე ვართ მოლაპარაკებაში და გვინდა ერთად გამოვიდეთ. იმედია საფრანგეთი დაგვეხმარება ამ საქმეში.

ა. ბრიანი — დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ გვინდა ბოლშევიკური რუსეთი შევკრათ კავკასიის სახელმწიფოებით (vous serez luiberas)"[48]

1922 წლის დამდეგს არისტიდ ბრიანის კაბინეტი გადადგა, იგი შეცვალა პუანკარეს კაბინეტმა და ასევე მანაც კარგი პოზიცია დაიჭირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან, ისე საქართველოს საკითხებისადმი გენუისა და ლოზანის კონფერენციებზე.

"ეს და სხვა ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ საფრანგეთმა და მისმა მმართველმა წრეებმა აქტიური პოზიცია დაიკავეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და დეოკუპაციის საკითხში 1921-1922 წლებში. არც

---

[48] სკსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1020.

შემდეგში დაუტოვებიათ მათ საქართველოს მთავრობა უყურადღებოდ, თუმცა მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა 1922 წლის ბოლოდან, როცა საფრანგეთმა, მოკავშირების თანხმობის გარეშე, რურის ოლქი დაიკავა.

საფრანგეთი, რურის დაჭერის შემდეგ, აშკარად ერიდებოდა საქართველოს საკითხის დასმას, იმ მოტივით, რომ თავისი ქვეყნის საზიანოდ მდგომარეობა არ გაემწვავებინა. ამავე დროს, თვით საფრანგეთშიც დაიწყო მოსკოვთან დაახლოების კამპანია ახლად არჩეული პრემიერის ერიოს ხელმძღვანელობით და საფრანგეთიც იძულებული შეიქნა დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა საბჭოთა კავშირთან 1924 წელს. ამ ურთიერთობამ თავის ზენიტს მიაღწია 1933 წელს, რომელიც დაგვირგვინდა „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტი"-ით, ამის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენლობამ საფრანგეთში არსებობა შეწყვიტა.

საქართველო-საფრანგეთის კარგი ურთიერთობის მიუხედავად, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და საერთოდ ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა ვერ მოახერხეს საფრანგეთის რეალურ მოკავშირედ გახდომა.

მაშინ ვინ? იქნებ, ინგლისს ახლა მაინც მოუბრუნდებოდა გული საქართველოსკენ მისი დაპყრობისა და ოკუპაციის შემდეგ.

ზოგიერთი ქართველი პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრი, თითქოს ინგლისი — „ჩვენს დამოუკიდებლობაზე ხელს არ აგვაღებინებს"[49] არარეალურად ჩანდა.

პირველ პარაგრაფში ჩვენ ხაზი გავუსვით ინგლისური პოლიტიკის იმ სახეცვლილებას, რომელიც დაიწყო 1920 წლის მეორე ნახევრიდან, გადადგა რა ნაბიჯი საბჭოთა რუსეთთან მოკავშირეობისკენ. მისმა ასეთმა სვლამ, ძირითადში, გადაწყვიტა კავკასიისა და საკუთრივ საქართველოს ბედი. ამ ორ ქვეყანას შორის 1921 წლის 16 მარტს დადებულმა სავაჭრო ხელშეკრულებამ, ნიადაგი მოუმზადა დიდ პოლიტიკურ ხელშეკრულებას და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის. ამით ლონდონი იქცა საბჭოური პოლიტიკის გზამკვლევად დასავლეთში, იურიდიული აღიარების თვალსაზრისით.

ახლა ზოგადად შევჩერდეთ 1921-1925 წლებში ქართულ-ინგლისური ურთიერთობის ზოგიერთ ფაქტთან დაკავშირებით.

წინა პარაგრაფში აღინიშნა, თუ როგორ შეხვდა ინგლისის მმართველი წრეები საქართველოს ელჩს ა. ჩხენკელს 1921 წლის 17 მარტს,

---

[49] სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნების მიკროპირები, ს. 2026

რწმუნების სიგელის გადაცემის ცერემონიალთან დაკავშირებით. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა, მართალია, მწუხარება გამოთქვა საქართველოს დაპყრობის გამო, მაგრამ დამპყრობელზე კრინტიც არ დაუძრავს. მხოლოდ დააიმედა საქართველოს ელჩი, რომ მომავალში კვლავ დაისმებოდა ქართული საკითხი, მაგრამ 1921 წლის ლონდონის კონფერენციამ უნაყოფოდ ჩაიარა, მას ომიც კი მოჰყვა საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის. სწორედ ეს ომი გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ლოიდ ჯორჯის მოლაპარაკების განახლებისა საბჭოთა რუსეთთან, რითაც ინგლისს სურდა მოსკოვის მიმხრობა ოსმალეთის წინააღმდეგ.

ლოიდ ჯორჯის პროსაბჭოურმა პოლიტიკამ განსაკუთრებული ძლიერებით 1922 წლიდან იჩინა თავი. „ეს იყო ხანა" მოსკოვის დიპლომატიური გამოსვლისა საერთაშორისო ასპარეზზე. გენუა, ჰააგა და ბოლოს ლოზანა — სულ „კრემლის დემაგოგთა საჯირითო მოედნად იქცა". ლოიდ ჯორჯი გაიძახოდა: „სანამ რუსეთი გარიყულია ევროპიდან, უკანასკნელს არ ძალუძს მშვიდობიანი ცხოვრება... რომ, რუსეთის ეკონომიური აღდგენა, გაუჩენს ბაზარს ინგლისის მრეწველობას"[50]

ლონდონის მთავრობის ზედა ფენებში ქართულ-კავკასიური საკითხი „ეგზოტიკურად გამოიყურებოდა", მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, ჯერ არ დამდგარა დრო მის გადასაწყვეტადო — ასე აფასებდა ინგლისის და მისი მმართველი წრეების, კერძოდ, პრემიერ მინისტრის ლოიდ ჯორჯის პოლიტიკას საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ა. ჩხენკელი მოსხენებაში — „მემუარი სრულუფლებიანი ელჩისა დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წლებში".

უფრო მეტი, საქართველოდან ჩამოსული ინგლისის წარმომადგენლები იმასაც კი ურჩევდნენ ემიგრანტულ მთავრობას, რომ ეცნოთ საქართველოს კომუნისტური მთავრობა, ამტკიცებდნენ, რომ ხალხი შეურიგდა არსებულ რეჟიმს და საქართველოს მთავრობა მთლიანად ქართულიაო. ხოლო ემიგრანტულ მთავრობას ხშირად „ნაციონალისტებად" მიიჩნევდნენ დამოუკიდებლობის ახირებული მიზეზის გამო.

1924 წლის 2 თებერვალს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დაჭყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. იმავე წელს ამ გზას დაადგა ევროპის მრავალი ქვეყანა: იტალია, ნორვეგია, ავსტრია, საბერძნეთი, დანია, საფრანგეთი და სხვები, ე. ი. ინგლისის ძალისხმევით, საბჭოთა კავშირმა თავის სრულ აღიარებას მიაღწია ევროპაში. გაინაღდა რა თავისი უმთავრესი მიზანი, საბჭოთა კავშირმა ნელ-ნელა შეავიწროვა

---

[50] სცსსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 872.

კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ ის მცირედი დათმობები ეკონომიკურ სფეროში, რომელიც ამ ქვეყნებს და, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის კაპიტალს ასულდგმულებდა. ამის საპასუხოდ, ინგლისმა ნაწილობრივ შეცვალა მოსკოვთან დამოკიდებულების კურსი, განსაკუთრებით კი — 1925 წლიდან, როცა წინ წამოწია ვალებისა და უცხოელ მესაკუთრეთა უფლებების აღდგენამ, მაგრამ არსებით ცვლილებებს ამის გამო საქართველოს მიმართ ბრიტანულ პოლიტიკაში ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს წარმომადგენლის მუშაობა ლონდონში შედარებით გაადვილდა. ახლაღა ხდებოდა ინგლისი თავისი წინანდელი პოლიტიკის ზოგიერთ შეცდომას ბოლშევიკებთან თანამშრომლობის გზაზე. ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ ლონდონში 1926 წლის დეკემბერში საქართველოს წარმომადგენლის კ. გვარჯალაძის საუბარი ინგლისის ფინანსთა მინისტრთან — უინსტონ ჩერჩილთან.

კ. გვარჯალაძის კითხვაზე ჩერჩილისადმი — ლოიდ ჯორჯს რომ დღეს ძალაუფლება ჰქონდეს, დადებდა თუ არა კრასინის მოადგილესთან ხელშეკრულებას (ლაპარაკია 1921 წლის 16 მარტის სავაჭრო ხელშეკრულებაზე, გ. ც.) და რუსეთს კავკასიაში შემოსასვლელად წაახალისებდა?

უ. ჩერჩილმა ამაზე უპასუხა: „ეს ლოიდ ჯორჯის იმ მრავალ სისულელეთაგანი იყო, რაც მას ასე ხშირად ჩაუდენია“[51]

როგორც დავინახთ, ინგლისის მმართველმა წრეებმა საქართველოს საკითხის მიმართ სრული დაუინტერესებლობა გამოიჩინეს 1921-1925 წლებში. არც შეიძლებოდა მომხდარიყო სხვანაირად, რადგან მათ პატარა საქართველოს გამო რუსეთთან წინააღმდეგობას აირჩევ კეთილგანწყობილი პოლიტიკა. ასევე რუსეთში ისინი ხედავდნენ ინგლისური კაპიტალისთვის უშრეტ წყაროს, როცა სახელმწიფო გამოდიოდა ყოველივეს გარანტად.

ასე რომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრატულმა მთავრობამ ვერც დიდი ბრიტანეთის სახით ჰპოვა თავისი მოკავშირე; მაგრამ ქართული-პოლიტიკური ემიგრაციის სვლა ამ კუთხით არ შეწერებულა. ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გერმანიის, იტალიის, ოსმალეთის, და შვეიცარიის მმართველი წრეების დამოკიდებულება ქართული საკითხისადმი.

საქართველოს 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში ერთ-ერთი და უმთავრესი საკითხი, იყო საქართველო-გერმანიის - ურთიერთობა. საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე გერმანიაზე გადიოდა 1918

---

[51] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფილმები, ს. 1286

წლის გაზაფხულზე. მან პირველმა ცნო საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობა და პირველმა გახსნა საელჩო თბილისში. ამ ორ ქვეყანას შორის კარგი დამოკიდებულება არსებობდა და ყველაზე საიმედო პარტნიორად მთელს ევროპაში ის გამოდიოდა. ასევე კარგი დამოკიდებულება გაგრძელდა ემიგრანტულ მთავრობასთან და საქართველოს საელჩო გერმანიაში კარგ პირობებში მუშაობდა. იგი ადვილად ამყარებდა ურთიერთობას ყველა სამთავრობო დონეზე, თვით პრეზიდენტის ჩათვლითაც კი.

მაგრამ გერმანიის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში და მისმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ ის მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია, ამიტომ იძულებული შეიქნა მოკავშირე ეძებნა და ამ გზამ ეს უკანასკნელი საბჭოთა რუსეთთან მიიყვანა, ეს მოხდა გენუის კონფერენციის დროს, რაპალოში, 1922 წლის 16 აპრილს, როცა გერმანია-რუსეთის ხელშეკრულება გაფორმდა. საბჭოთა მთავრობა ამასაც არ დასჯერდა, და რაპალოს ხელშეკრულების გავრცელებასაც მიაღწია „მოკავშირე რესპუბლიკებზე", მათ შორის საქართველოზეც, ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანიას უკან უნდა წაეღო საქართველოს ცნობის საკითხი. მიუხედავად ამისა, მას გერმანიაში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თვით პრეზიდენტის სახითაც, მაგრამ მემარჯვენეთა ცდამ ნაყოფი გამოიღო, რაც დაფიქსირდა 1922 წლის 5 ნოემბრის აქტით, რომელითაც გავრცელდა რაპალოს ხელშეკრულება საქართველოზე. აღნიშნულ ფაქტს ეხება გერმანიაში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის ვლ. ახმეტელის წერილი ნ. ჟორდანიასადმი, დათარიღებული 1922 წლის 7 ნოემბრით, წერილში ნათქვამია: „გერმანიის მთავრობამ გადადგა საშინელი ნაბიჯი. 1922 წლის 5 ნოემბერს რაპალოს ხელშეკრულება გავრცელდა საქართველოზე. ამ აქტით გერმანიის მთავრობამ წაშალა ჩვენი ქვეყნის — საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა და მით მოსპო საქართველოს წარმომადგენლობა ბერლინში"[52] ამ ამბავმა დიდი გულისტკივილი გამოიწვია ქართულ პოლიტიკურ წრეებში.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1922 წლის 13 დეკემბრის მთავრობის სხდომაზეც კი. თუმცა საქართველოს საელჩო გერმანიაში არაოფიციალურად მაინც არსებობდა, რომლის ფუნქციონირება გააგრძელა ინტერპარტიული კომიტეტის პოლიტიკურმა კომისიამ.

მალე ამ კომისიას შეუერთდა იტალიაში გაუქმებული საქართველოს საელჩო, რადგან იტალიაც ინგლისის მოკავშირედ გამოდიოდა და

---

[52] სცსსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1037.

საერთაშორისო საკითხებში მას უპერდა მხარს. შემდეგში იტალიაში მუსოლინის მთავრობამ 1922 წლის ბოლოდან რუსეთის მიმართ ლიბერალიზაციის კურსი აიღო და საქართველოს საკითხმა ვერ ჰპოვა მკვიდრი ადგილი იტალიის სამთავრობო წრეებში.

მუსოლინისა და ნ. ჟორდანიას ძველი „მეგობრობის" მიუხედავად, მუსოლინის მიერ ჟორდანიასთვის ნაშოვნი გემის ბილეთიღა დარჩა მათ შორის „სასიამოვნო" მოგონებად. (საქმე იმაში იყო, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას ნ. ჟორდანია შვეიცარიიდან სასწრაფოდ ბრუნდებოდა სამშობლოში და გემზე ბილეთის შოვნაში მას დაეხმარა მაშინ მილანში იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს — „ავანტი"-ს რედაქტორი, მუსოლინი, გ. ც.).

რაც შეეხება 1918-1921 წლების საქართველო-თურქეთის ურთიერთობას, რამდენჯერმე შეეხეთ და კვლავ გავიმეორებთ, რომ 1921 წლის თებერვლის მოვლენებში დმოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ თურქეთს ლომის წილი ედო. ამ მხრივ, არც 1921 წლიდან შეცვლილა რადიკალურად მდგომარეობა, თუმცა ურთიერთობა საქართველოს ემიგრანტულ მთავრობასთან და ემიგრაციის წარმომადგენლებთან მიმართებაში. სხვაგვარი იყო, რადგან ის უშუალოდ ემეზობლებოდა საქართველოს და აქედან ხდებოდა მოვლენების რეალურად შემოწმება, რაც ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა ყოფილიყო. საქართველოს წარმომადგენლობა სტამბულში იმყოფებოდა, ხოლო მთავრობა თურქეთისა — ანგორაში, რომელთა შორის ნორმალური ურთიერთობა არსებობდა.

თურქეთის მთავრობა თანაგრძნობით ეკიდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, მაგრამ ეს თანაგრძნობა მოჩვენებით ხასიათს ატარებდა იმ მიზეზის გამო, რომ იგი დამარცხებული სახელმწიფო იყო და აქ დიდ საქმიანობას ეწეოდნენ ევროპის სახელმწიფოების მიერ დანიშნული უმაღლესი კომისრები, რომლებიც, ფაქტიურად, განაგებდნენ თურქეთის მთავრობას. ამავე დროს, ქემალისტურ თურქეთს კარგი ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთთან და ამის გამო თავს ვალდებულად თვლიდა, არ ჩარეულიყო კავკასიისა და საქართველოს საქმეებში.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა თავის დროზე განისაზღვრა მოსკოვში 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, რომელიც შემდეგ ყარსშიაც იქნა დადასტურებული. ამ ხელშეკრულების ძალით, რუსეთმა, ფაქტიურად, გაიჩუქა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიათა დიდი ნაწილი, რაც, თავისთავად, ავალდებულებდა თურქეთს ანგარიში გაეწია საბჭოთა რუსეთისათვის. ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც 1922 წლის 16 ნოემბრით თარიღდება. საქართველოს მისიის წარმო-

მადგენელი, კ. გვარჯალაძე, ნ. ეორდანიასადმი გაგზავნილ წერილში ანგარიშს აბარებს მთავრობის თავმჯდომარეს. მისი შეხვედრის შესახებ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელთან — რეფეტ ფაშასთან. დოკუმენტს სრული სახით წარმოვადგენთ, რაც კიდევ უფრო სიცხადეს შეიტანს რუსეთ-თურქეთ-საქართველოს იმდროინდელ ურთიერთობაში:

კ. გვარჯალაძე: — ჩვენ ვეცადეთ, რომ თქვენს მთავრობასთან გაგვება კავშირი, მაგრამ თქვენები ფრთხილობენ, რომ დღეს ომი გვაქვს ანტანტასთან, საბერძნეთთან, რუსეთიდან კი ვიღებთ დახმარებას და ამიტომ საჭიროა სიფრთხილე. ამ ფაქტს მეც ვუწყვედი ანგარიშს.

რეფეტ-ფაშა: — ყოველ შემთხვევაში რუსეთი დღეს კიდევ გვჭირდება. ის ჩვენ ბევრს დაგვეხმარა. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ჯერ კიდევ გაურკვეველია და ამ პირობებში რუსეთს სიფრთხილით უნდა მოპყრობა. ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით, რომ დღევანდელი რუსეთი ძველი რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას განაგრძობს, მაგრამ მე კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, რომ ჩვენთვის მისაღებია დამოუკიდებელი საქართველო (პრინციპიალურად ჩვენ არა ვართ სომხეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი, მაგრამ მათ მაინც ნუ ჩააფრინდებით, რაც შეეხება საქართველოსა და აზერბაიჯანს, ჩვენ მთლად თქვენი მომხრე ვართ).

კ. გვარჯალაძე: — გვექნება თუ არა თქვენთან ოფიციალური კავშირი.

რეფეტ-ფაშა: — ჩვენ გვაქვს ხელშეკრულება რუსეთთან... ჩვენთვის ძნელი იქნება ვიქონიოთ თქვენთან ოფიციალური კავშირი. ამას ბოლშევიკები ყურადღებას მიაქცევენ და დაიწყება მათი პროტესტები. ამ პროტესტებს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ, რაც შეეხება თქვენს კითხვას. გექნებათ თუ არა ჩემთან კავშირი, როგორც კერძო პირს, ეს მისაღებია, და თუ ეს იქნება უფრო უხმაურო, უკეთესია. მე გირჩევდით, თუ რაიმე ორგანიზაციები გაქვთ აქ, ახლავე დაშალეთ, რომ ბოლშევიკებს არ მიეცეთ საბაბი თქვენი გაძევების მოთხოვნისა, უკეთესია, თუ ამას შეუმჩნეველად იზამთ და ჩემი ჩარევა ამ საქმეში არ იქნება საჭირო[53]. (სტილი დაცულია, გ. ც.).

აღნიშნული საუბრის ტონი რბილი ხასიათისაა იმასთან შედარებით, რაც თურქეთის მმართველი ელიტისათვის იყო დამახასიათებელი. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ „საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რადგან მათთან გვაქვს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, ისინი ჩვენთან ტერიტორიულ და ეკონომიურ საკითხებზე მორიგებულნი არიან. რომ, ძველი მთავრობა

---

[53] სსრსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძრწოვის მიკროპირები. ს. 1056.

დაბრუნდეს საქართველოში და მასთან ჩვენ ლაპარაკი დავიწყოთ, არ ვიცით რას იზამს ის. შეიძლება ტერიტორიული საკითხი წამოგვიყენოს, ეგებ სომხებს ჩაებღაუკონ ჩვეულებრივად და ყარსის ხელშეკრულების გადასინჯვაც კი მოითხოვონ. ამიტომ არის, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი ბოლშევიკები არიან"[54].

ასეთი განცხადებების ფონზე თურქეთის მთავრობის მხრიდან გასაკვირი არ უნდა იყოს საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ა. ჩხენკელის განცხადება, რომელიც მან გააკეთა ლოზანაში 1922 წლის 28 ნოემბერს.

გაზთ „People"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ელჩი დაემუქრა ოსმალეთს, რომ დააყენებდა ტერიტორიულ საკითხს და მოითხოვდა ყარსის ხელშეკრულების გადასინჯვას. თუმცა, ეს მკვეხარა გამოსელა საქართველოს არსებით შედეგს ვერ მოუტანდა. მას შეეძლო მხოლოდ შედარებით მოჩვენებითი ნორმალური ურთიერთობის გამწვავება. ამიტომაც საქართველოს წარმომადგენელი კ. გვარჯალაძე სთხოვდა აღნიშნული გამოსვლის გაბათილებას ა. ჩხენკელს: „ჩვენ მათ ისე უნდა ველაპარაკოთ, რათა ჩვენსკენ იბრუნონ პირი და დავარწმუნოთ ჩვენს საიმედოობაში. მე იმ აზრისა ვარ, რომ სომხეთის საკითხს ჩვენ ვერ ჩავებღაუკებით. ეს წარმოუდგენლად აღიზიანებს თურქებს. სომხებს ჩვენ მუდამ ვებღაუკებოდით, ისინი კი ინტრიგანობდნენ და გეღალატობდნენ. დღევანდელ პირობებში ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ „სტატუს-ქო"[55].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ძალთა დიდი ნაწილი კარგად ხედავდა ოსმალეთის როლს, რომელიც მას უახლოეს მომავალში უნდა ეთამაშა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. თუ რა როლი შეასრულა თურქეთის დამოკიდებულებამ საქართველოში 1924 წლის აჯანყების დროს, ამაზე ჩვენ ნაშრომის შემდგომ თავში კვლავ გავამახვილებთ ყურადღებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თავისი წარმომადგენლობა ჰყავდა ასევე შვეიცარიაში, სადაც, ამავე დროს, არსებობდა ერთა ლიგის შტაბბინა, ამიტომ ამ სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება დიდ როლს თამაშობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. სწორედ, შვეიცარია აღმოჩნდა ის პატარა და ურყევი კუნძული, საიდანაც საქართველოს ამბები მთელ მსოფლიოს სწვდებოდა. ამ ქვეყნის პრესა დიდ როლს ასრულებდა ქართული საკითხის წინ წამოწევაში. საზოგადოებრივი

---

[54] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1056.

[55] სცსსა, იქვე.

აზრი კი მთლად საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე იყო. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს აქ მოხვედრილი სახელმწიფოთა დიპლომატების სახეცვლილებაც ქართული საკითხის სასარგებლოდ. ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე 1924 წელს ჟენევაში შექმნილმა საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურმა კომიტეტმა (პრეზიდეტი ჟან მარტენი), რომელმაც ტრადიციად გაიხადა თითქმის ყოველი წლის გაზაფხულზე ერთ-ერთი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის მიწვევა ერთა ლიგის სადგომ ქალაქში.

1927 წლის მაისში ჟენევაში მიწვეული იქნა ევგენი გეგეჭკორი. კომიტეტის მიერ შედგენილი პროგრამით, მას უნდა წაეკითხა სახალხო ლექცია ჟენევის უნივერსიტეტის საალტო დარბაზში 23 მაისს — „საქართველოს მომავალი".

ჟენეველი კორესპონდენტის ცნობით, ევგენი გეგეჭკორის ჩასვლა შვეიცარიაში შეიჭნა პიზეზი აღტაცებული მანიფესტაციისა საქართველოს ხალხისა და ქართული საქმის სასარგებლოდ, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ამ გარემოების გამო, რომ ჟენევაში მაშინ იმყოფებოდა საბჭოების დელეგაცია ეკონომიურ კონფერენციაზე, რომელსაც ჟენევის პოლიცია არაჩვეულებრივი ზომებით იცავდა ხალხის სიძულვილისა და აღშფოთებისაგან. პოლიცია შიშობდა, რომ ევგენი გეგეჭკორის საჯარო გამოსვლა გადაიქცეოდა მრისხანე სახალხო პოლიტიკურ მანიფესტაციად ჟენევაში მყოფი ბოლშევიკების წინააღმდეგ და, ალბათ, პოლიტიკური უხიამოვნებისა და დიპლომატიური გართულების შიშით, უნივერსიტეტში დანიშნული საჯარო ლექცია, აიკრძალა.

ლექციის აკრძალვამ ცხარე კამათი გამოიწვია შვეიცარიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში. საქართველოსადმი სიმპათიაში გაერთიანდა მემარჯვენე და მემარცხენე პრესა, სოციალისტები და კონსერვატორები: „ჩვენ გვრცხვენია როგორც შვეიცარიელებს და როგორც ჟენეველებს", — წერდა ერთი კონსერვატორული გაზეთი... ჟენევის პარლამენტში კი დეპუტატმა შაპიუზამ ლექციის აკრძალვის გამო წარმოთქვა ვრცელი სიტყვა. მან ილაპარაკა ჩვენი ერის ბედზე, საქართველოში გამეფებულ ოკუპაციაზე და დასძინა: „დაუშვებელია ამის შესახებ ლაპარაკის შეზღუდვა; ეს ეწინააღმდეგება მთელს ჩვენს წარსულს, ყველაფერს, რითაც ჩვენ ვამაყობთ"[36]

„მართალია, ევგენი გეგეჭკორის ლექცია აიკრძალა, მაგრამ თვით მოხსენება ცალკე ბროშურად იქნა გამოშვებული ჟენევაში 1927 წელს,

---

[36] იხ.: გ. შარაძე. (წიგნი შესამე). თბ., 1993, გვ. 11-13.

ფრანგულ ენაზე, სპეციალურად „საქართველოს მომავალი" ჟან მარტენის წინასიტყვაობით.

აკრძალული ლექციის ნაცვლად ე. გეგეჭკორთან შესახვედრად ქენეკის უნივერსიტეტის რექტორმა რაპარმა მოიწვია სტუდენტთა კრება, რომელსაც აუარებელი ახალგაზრდობა დაესწრო. ე. გეგეჭკორის სიტყვას აღტაცებით შეხვდა მთელი აუდიტორია. საპასუხო სიტყვაში, რაპარმა, თურმე, ორატორს უთხრა: „თქვენი სახელი მომხიბლავი ყოფილა, არასოდეს ამოდენა სტუდენტობას არ მოუყრია თავი ამ დარბაზში და არასოდეს ახალგაზრდები ასე კმაყოფილი არ ყოფილან ორატორითო"[57].

ასევე დიდი ზეიმით მოეწყო რუსთაველის იუბილე ქენეკის უნივერსიტეტში 1937 წლის 4 დეკემბერს, რომელსაც დაესწრო ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები იმავე. საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტის ინიციატივით, სადაც ხარიტონ შავიშვილმა წაიკითხა მოხსენება „შოთა რუსთაველი, მისი პოემა და ეპოქა", ხოლო რ. პიაშომ — ვეფხისტყაოსნის პროზაულად თარგმნილი ადგილები.

ეს და სხვა ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ საზოგადოებრივი აზრი საქართველოს მიმართ ევროპაში ერთგვაროვანი არ ყოფილა. ქართულ საკითხს პყავდა როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მუშაობა ევროპაში გამოიხატა, ასევე, საპროპაგანდო-სააგიტაციო საქმიანობით. ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა სოციალისტური მიმართულების პარტიებთან და ამავე ტიპის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის წლებში აღნიშნული მიმართულების პარტიები და მათი მთავარი ორგანიზაცია, მეორე ინტერნაციონალი, განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ხოტბას ასხამდნენ მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს და ქართულ სოციალ-დემოკრატიულ „ექსპერიმენტს" დადებით შეფასებას აძლევდნენ.

მეორე მხრივ, როგორც დამოუკიდებლობის დროს, ისე ემიგრაციაში ოპოზიციური პარტიები და მიმდინარეობანი, ასევე ევროპის სახელმწიფოთა მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი მკაცრად აკრიტიკებდა მენშევიკური მთავრობის კურსს მოჭარბებული სოციალიზმის გამო, რომ თითქოს მათ ბრძოლას უფრო მეტად იდეოლოგიური მხარე განსაზღვრავდა, ვიდრე ეროვნული, რომ სოციალ-

---

[57] იხ.: გ. შარაძე, დასახ. ნაშრომი (წიგნი მესამე), გვ. 13.

დემოკრატებისაგან შემდგარმა მთავრობამ ვერა და ვერ მოარგო მენშევიკური სოციალიზმი ეროვნულ ნიადაგს. მართლაც, აქ არის ჭეშმარიტების, რაღაც ლოგიკა, მაგრამ, თუ მოვლენებს სწორად შეავფასებთ, წარმოვიდგენთ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას, უდავოდ, დავინახავთ, რომ სხვა პოლიტიკური ძალები იმ დროის საქართველოში სუსტნი იყვნენ სოციალ-დემოკრატიასთან შედარებით, არა „ეროვნული მრწამსის სიდიადით, არამედ ბრძოლის სიცოცხლისუნარიანობით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთის პოლიტიკურ ძალთა დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ქართველ სოციალ-დემოკრატებს: ნ. ჟორდანია, ნ. ჩხეიძე, ი. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, და სხვები, უდავოდ დიდი გავლენით სარგებლობდნენ როგორც რუსეთში, ისე ევროპაში, განსაკუთრებით მის სოციალისტურ წრეებში. ამის თვალსაჩინოდ გამოდგებოდა თუნდაც ერთი ასეთი მაგალითის მოყვანა. 1918 წლის ოქტომბერში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაეგზავნა სპეციალური მემორანდუმით, ერთი თავისი წევრთაგანი, რომელიც მიმართული იქნებოდა სოციალისტური ინტერნაციონალისა და მისი ყველა სექციისადმი. „გერმანიის შემდეგ მემორანდუმი სკანდინავიის ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტებს გადაეცათ. პირველად დანიელი ამხანაგები მემორანდუმს ინდიფერენტულად შეხვდნენ, რადგან სრულად არ იცნობდნენ საქართველოს და არც საქართველოს სოციალ-დემოკრატია ითვლებოდა ინტერნაციონალის ცალკე სექციად. მაგრამ, როცა დანიის სოციალისტების ლიდერს — შტაუნინგს აუხსნეს, რომ მემორანდუმი მოდიოდა კ. ჩხეიძის სამშობლოდან და ეკუთვნოდა მის პარტიას... შტაუნინგმა მაშინვე მოიწვია ცენტრალური კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის პრეზიდიუმის კრება და გულდასმით მოისმინეს მემორანდუმი. თვით შტაუნინგმა მეორე დღეს პარტიის მთავარ ორგანოში საქართველოს მხარდამჭერი წერილიც კი მოათავსა, რომელშიც მემორანდუმის შინაარსი მოჰყავდა"[38]

დამოუკიდებლობის წლებში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ასეთ ნაბიჯებს, გარკვეულწილად, შედეგი მოჰქონდა, მაგრამ ახლა უარყოფითი მხარეც. თუ სამთავრობო მოლაპარაკებებში და საერთაშორისო კონფერენციებზე თითო-ოროლა წევრი იღვწოდა, იდეოლოგიურ ფრონტზე მთელი დელეგაციები იგზავნებოდა იმ იმედით, რომ ისინი, თანამოაზრეების მეშვეობით, ზეწოლას მოახდენდნენ თავიანთ მთავრობებსა თუ პარლამენტებზე საქართველოს მხარ-

---

[38] იხ.: კ. გვარჯალაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

დასაჭერად. თუმცა ,,იდეოლოგიურ ფრონტზე მებრძოლთ ავიწყდებოდათ ერთი გარემოება, რომელიც ,,აგორებული'' სოციალიზმის შიშით გამოიხატებოდა, ასე რომ აფორიაქებდა დასავლეთის მმართველ წრეებს. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ზოგიერთი მათგანი საქართველოს ბოლშევიკურ ქვეყნადაც კი აღიქვამდა (ამის შესახებ ჩვენ ერთი საგულისხმო არგუმეტი მოვიყვანეთ წინა პარაგრაფში, რომელიც შეეხება პოლკოვნიკ სკოტის გამონათქვამს, გ. ც.), ალბათ, ესეც უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობის წლებში ვერა და ვერ გამონახა რეალური მოკავშირე. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ნ. ჟორდანიასა და მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის მოთხოვნა უწინდელი პოლიტიკის შეცვლის თაობაზე. მაგრამ ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკურ წარმომადგენელთა და, უპირველესად, მთავრობის წევრთა სელა, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც ამ მხრივ მიდიოდა. ამას კარნახობდა მათ მდგომარეობაც და ის სირთულეც, რომელიც იმდროინდელი ევროპული პოლიტიკის არამდგრადობაში გამოიხატებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობაშიც.

საქართველოს მთავრობამ და, საერთოდ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდმა ნაწილმა, რომლის ბირთვს (ყოველ შემთხვევაში 1924 წლამდე, გ. ც.) სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები შეადგენდნენ, ძველი გზით სვლა აირჩია, რომელიც უფრ გაკვალული ჩანდა, ნიადაგი კი შედარებით ნოყიერი იყო. სხვა პოლიტიკური ,,მენტალიტეტის'' მქონე პოლიტიკურ ძალებს ამის არც ძალა და საშუალება, არც გამოცდილება და არც იმდენი ,,მეგობარი'' გააჩნდათ. ამიტომ ქართული სოციალ-დემოკრატიისა და მისგან შემდგარი მთავრობის მუშაობა საერთაშორისო თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალში საცემია 1921-1924 წლებში. ალბათ, იმიტომაც, რომ სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა გაზრდა ემიგრაციაში მხოლოდ 1924 წლის აჯანყების შემდეგ მოხდა. მანამდე კი (ე. ი. 1925 წლამდე, გ. ც.) ძირითადი მუშაობა ერთი პარტიის — სოციალ-დემოკრატიის მხრებზე გადადიოდა ამის დასტურად ის მცირედი მასალაც საკმარისია, რომლებიც ჩვენ მიმოვიხილეთ და განვიხილავთ ქვემოთ.

საქართველოს მთავრობისა და სოციალ-დემოკრატული პარტიის განცხადებები ფარდას ხდიდა იმ სიცრუეს, რომელსაც ბოლშევიკები და მათ მიერ დაქირავებული აგენტები ავრცელებდნენ ევროპაში. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, საჭირო გახდა კონკრეტული მოქმედება. სწორედ ამ მიზანს ისახავდა მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა ვიზიტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სამთავრობო თუ არა სამთავრობო დონეზე 1921 წლიდან.

1921 წლის 3 მაისს ნ. ჟორდანიამ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომელიც შეეხებოდა საკითხს, რა მოხდა საქართველოში? რევოლუცია, აჯანყება, გადატრიალება თუ ომით დაპყრობა? თუ ომი იყო, ვინ ომობდა? მთავრობის თავმჯდომარემ, დოკუმენტებზე დაყრდნობით, გააშუქა ეს საკითხები და დაამტკიცა, რომ ეს იყო ომი საბჭოთა რუსეთის მიერ დაწყებული საქართველოს დაპყრობის მიზნით.

ნ. ჟორდანიას მოხსენების თანახმად, ფრანგი სოციალისტების აღმასრულებელმა ორგანომ თავისი ქვეყნის მუშათა კლასს მიმართა მანიფესტით, რომელიც მოუწოდებდა, პროტესტი განეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის წინააღმდეგ. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა საქართველოს დაცლას ბოლშევიკების ჯარისკაცებისა და მოხელეებისაგან[59]

1921 წლის 13 ივნისს ნ. ჟორდანია ჩავიდა ბრიუსელში, სადაც ბელგიის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ სპეციალური საღამო მოუწყო მუშათა სახლში. ბელგიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ვანდერველდემ თავის სიტყვაში განაცხადა: „ბელგია ვერ მოპკლა მტრის დაპყრობამ, იგი დღეს მკვდრეთით აღმდგარია, არც საქართველო მომკვდარა, იგი ხვალ აღსდგება“-ო[60]

ბელგიაში ყოფნის დროს ნ. ჟორდანიამ ყურადღება მიიპყრო როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური წრეებისა და მრავალი საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან, რომლებმაც თანადგომა გამოხატეს საქართველოსა და მისი მთავრობისადმი. ამავე დროს, პრესაც საკმაოდ გამოეხმაურა, დაიბეჭდა საქართველოსადმი თანაგრძნობით გამსჭვალული მრავალი წერილი.

ინგლისში ყოფნისას მთავრობის თავმჯდომარე შეხვდა მუშათა პარტიისა და ტრედუნიონების ხელმძღვანელ წრეებს და სთხოვა მათ საქართველოს საკითხისადმი მორალური მხარდაჭერა. 22 ივნისს ჭალაქ ბრაიტონში ინგლისის მუშათა პარტიის წლიურმა კონგრესმა, რომელსაც ნ. ჟორდანიაც დაესწრო, გამოიტანა საქართველოსადმი მხარდამჭერი შემდეგი რეზოლუცია: „კონფერენცია, უცხადებს რა ქართველ ხალხს თავის თანაგრძნობას, გამოთქვამს რწმენას, რომ მას უნდა მიეცეს საშუალება, სამხედრო ძალადატანების გარეშე, თავისუფლად აირჩიოს ფორმა მმართველობისა, რომელიც მას სასურველად მიაჩნია. ამიტომ იგი მხარს უჭერს ქართველი სოციალ-დემოკრატების წინადადებას, შეიქმნას საერთაშორისო შერეული კომისია, რომელშიც

---

[59] გაზ. „თავისუფალი საქართველო“ № 2, 1921.

[60] ციტ: კ. გვარჯალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

შეკლენ სოციალისტები და კომუნისტები, და ამ კომისიის ზედამხედველობის ქვეშ ქართველმა ხალხმა რეფერენდუმის საშუალებით გამოთქვას თავისი ნებისყოფა"[61]. ამავე მიზანს ისახავდა კ. ჩხეიძისა და ნ. რამიშვილის მოგზაურობა პოლონეთში, გერმანიასა და დანიაში 1921 წლის ზაფხულში. გერმანიაში ისინი შეხვდნენ კ. კაუცკის, ედ. ბერშტაინს, ასევე გერმანიის პრეზიდენტს ებერტს, რაიხსტაგის პრეზიდეტს ლებესა და სხვებს. აქ ჩატარებულ კრებებსა და მიტინგებზე გერმანიის მუშებმა მოითხოვეს საბჭოთა რუსეთის ჯარებისგან საქართველოს დატოვება და თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენა. ასეთივე მოთხოვნები წამოყენებულ იქნა ჰოლანდიის მუშათა კლასის ორასათასიანი დემონსტრაციის მიერ, ამ ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

იტალიაში ეგ. გეგეჭკორისა და სვ. მდივნის ჩასვლას და მათ გამოსვლებს საპარლამენტო შეხლა-შემოხლაც კი მოჰყვა, ცნობილ აღმოსავლეთმცოდნე ტრევესა (რომელიც ქართულ საკითხს იცავდა) და პარლამენტის წევრ, კომუნისტ ბომბაჩს შორის.

ევროპის საზოგადოებრივი აზრი არ დაკმაყოფილდა მარტო ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ცდილობდნენ უშუალოდ, თვალით ენახათ იქ მიმდინარე მოვლენები და კარგად ჩასწვდომოდნენ მის არსს. სწორედ ამ მიზანს ისახავდა მათი ხშირი სტუმრობა საქართველოში. 1922 წლის მარტში თბილისს ეწვია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს „არბაიტერ ცაიტუნგის" ერთ-ერთი რედაქტორთაგანი — იულიუს ბრაუნტალი, რომელმაც, თავის მხრივ, მედიკამეტებით დახმარებაც კი გაუწია მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქართველ ხალხს. უკან დაბრუნებისას, მან წერილების მთელი სერია მოათავსა თავის გაზეთში, სადაც იგი ფარდას ხდიდა ბოლშევიკების ბოროტმოქმედებებს და ააშკარაებდა მათ ანტიხალხურ ბუნებას. ეს წერილები ცალკე წიგნად გამოვიდა გერმანულ ენაზე.

მართალია ევროპაში საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას და საერთოდ ქართულ-პოლიტიკურ ემიგრაციას მრავალი თანამოაზრე ჰყავდა, მაგრამ იყვნენ მოწინააღმდეგენიც, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაყალბებას, შეცდომაში შეჰყავდათ ევროპის საზოგადოებრივი აზრი. მათი აქტიურობა განსაკუთრებით გამოჩნდა 1922 წლის გაზაფხულზე, კერძოდ, გენუის კონფერენციის მიმდინარეობისას, როცა ერთიმეორის მიყოლებით ანტიქართული და ბოლშევიკების სასარგებლოდ, მაამებლური სტატიებისა

---

[61] გაზ. „თავისუფალი საქართველო", №3, 1921.

თუ წერილების მთელი წყება გამოქვეყნდა გაზეთების „ფორვარდის", „ჰუმანიტეს" და სხვათა ფურცლებზე, თუმცა პასუხებიც საკმარისი და დასაბუთებული იყო. ამავე დროს, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მხრიდან, მიღებულ იქნა ზომები, რათა გენუის კონფერენციაზე მოსკოვს საქართველოს სახელით არ ელაპარაკა.

ანტისაბჭოურ გამოსვლებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში და საერთო სახალხო აჯანყების სახით, ფართო გამოხმაურება მოჰყვა ევროპაში. მართალია, ბოლშევიკებმა იგი მცირერიცხოვანი ბანდის გადატრიალების მცდელობად მონათლეს, მაგრამ თითქმის არავის სჯეროდა ეს სიყალბე. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ევროპის მოწინავე ნაწილის აღშფოთება იმ რეპრესიებისა და ანტიხალხური ქმედების გამო, რომელსაც ბოლშევიკები მიმართავდნენ აჯანყებულთა თუ მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ. თავიანთ რეზოლუციებსა თუ გამოსვლებში ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაცია პროტესტს აცხადებდა მომხდარის გამო, ამიტომ ბოლშევიკებმა ყალბი ცნობების გავრცელებას სასურველი ფორმით ვერ მიაღწიეს და სხვა საშუალებებით შეეცადნენ დასავლეთის მოტყუებას. ამ მიზნით მათ საქართველოში, 1924 წელს, შემოდგომაზე, ჩამოიყვანეს ჯერ ინგლისის ტრედუნიონების, ხოლო 1925 წლის აგვისტოში გერმანელ მუშათა პროკომუნისტური დელეგაციები. თუმცა იმ პერიოდის ქართულ საბჭოურ პრესას თუ გადავხედავთ, ადვილად მივხვდებით, თუ ვის მიერ და რა მიზნით მოქმედებდნენ ისინი. გაზეთების — „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" — თანამშრომლებს, ჯერ კიდევ გზად მომავალთ მატარებელში განუცხადეს, რომ „ევროპის ბურჟუაზიულ და სოციალისტურ პრესაში საქართველოს შესახებ ბევრი ისეთი რამეები იწერება, რაც გვაიძულებს ყველაფერი თვითონ თავისი თვალით ვნახოთ და მუშათა წრეებში გავრცელებული ტყუილები გავფანტოთ და ისინი ამ ტყუილების გაკლენიდან გავანთავისუფლოთ... ჩვენ გვინდა, უხთრათ ქართველ მუშებსა და გლეხებს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას აქვს უფლება მიიღოს ყოველნაირი ზომები იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც წესრიგს არღვევენ და ცხოვრებაში დეზორგანიზაცია შეაქვთ"[62]

ეს დელეგატები წინდაწინვე გამზადებული სიყალბით დაბრუნდნენ ევროპაში, მაგრამ ამ სიყალბეს დასაბუთებული პასუხი გასცეს ნ. ჟორდანიამ, კ. ჩხეიძემ და ნ. რამიშვილმა. ეს პასუხი დაიბეჭდა ინგლისურ, გერმანულ, ფრაგულ ენებზე და გამოიცა ბროშურის სახით

---

[62] იხ.: კ. გვარჯალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

„ინგლისელი ტრედუნიონების დელეგაცია საქართველოში ქართული ბოლშევიკური გაზეთების გადმოცემით", ხოლო გერმანელ მუშათა დელეგაციის საპასუხოდ, გამოვიდა ბროშურა „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დოკუმენტები".

ამავე დროს, ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები ხშირად გამოდიოდნენ, ე. წ., შემრიგებლის როლში საქართველოსა და მოსკოვის მთავრობებს შორის. ამ მხრივ აღსანიშნავია რამზეი მაკდონალდისა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერთა აქტიურობა, მარამ ყოველივე ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან მოსკოვის ბოლშევიკურ მთავრობას სასაცილოდ არ ყოფნიდა მათი გულუბრყვილო ქმედება და უკუადრესატად ხან თბილისის რევკომი, ხან საქართველოს ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტი გამოჰყავდა.

მართალია, ქართულმა ემიგრანტულმა მთავრობამ და, საერთოდ, პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილმა, საკმაო სამუშაო გასწიეს ევროპაში ქართული საკითხის გაცხოველებისათვის სამთავრობო თუ არასამთავრობო წრეებში, მაგრამ მას რაიმე, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია და საქართველო რეალური მოკავშირის გარეშე, მარტოდმარტო, თავისი ძალების ანაბარა დარჩა ბოლშევიკების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში.

თავი II

საერთაშორისო კონფერენციები და ერთა ლიგა საქართველოს შესახებ

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წ. -წ.) შემდგომი პერიოდი, დიპლომატიური აქტიურობის თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა. ესაა დრო, როცა მსოფლიო პოლიტიკაში თავს იჩენს ახალი აზროვნება, ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ერთა ლიგის შექმნა (1919 წ.). ასევე მთელი რიგი კონფერენციებისა და მშვიდობიანი შეხვედრებისა, განსაკუთრებით კი — 1919-1924 წწ., როცა მსოფლიოს დიდ და მცირე ქვეყანათა გვერდით, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამაც (1918-1921 წწ.) თქვა თავისი სიტყვა, მართალია მოკრძალებული, მაგრამ მისი არსებობისთვის მეტად საჭირო და დროული.

ქართული სახელმწიფოს, მისი დიპლომატიის გააქტიურების შედეგია მონაწილება ისეთ დიდ ფორუმში, როგორიც პარიზის კონფერენცია (1919 წ.) იყო. სწორედ მაშინ გაეხსნა გზა ქვეყნის ფაქტიურ ცნობას, ხოლო ლონდონისა და სან-რემოს (1920 წ.) კონფერენციებზე, ერთა ლიგის პირველ სესიაზე (1920 წ. დეკემბერი) საქართველოს საკითხის განხილვას მისი იურიდიული აღიარება მოჰყვა ევროპის უპირველესი სახელმწიფოების მხრიდან. ყოველივე ამის მიღწევა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ასე იყო დამოუკიდებლობის დროს, და უფრო რთული და მძაფრი — მთავრობის ემიგრაციაში ყოფნისას, როცა მშვიდობიანი ფორმებით კვლავ მიმდინარეობდა ბრძოლა დაკარგული უფლებების აღსადგენად.

ქართული პოლიტიკის განხორციელებისათვის 1918-1921 წლებში პირობები, მართალია რთული იყო, მაგრამ მაშინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ასე თუ ისე, მაინც ახერხებდა წინააღმდეგობების დაძლევას, რადგან ის თვითონ იყო ქვეყნის ბატონ-პატრონი და ამ ფონზე წარმატება შედარებით საგრძნობი ჩანდა. მაგრამ, რა იმედი უნდა ჰქონოდა იმავე მთავრობას 1921 წლიდან, უკვე ემიგრაციაში მყოფს, როცა კვლავ სვამდა ქართულ საკითხს, საერთაშორისო თვალსაზრისით, ისეთ დიდ ფორუმებზე როგორც ჟენუის, ჰაგისა და ლოზანის კონფერენციებზე (1922 წ.) და ერთა ლიგის სესიებსა თუ ანსამბლეაზე 1921-1925 წლებში.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ვერ შევხვდებით მასალებს, რომელთაც ამ მხრივ სიმართლის ან უბრალოდ ობიექტურობის პრეტენზია ჰქონდეთ. მისი ოფიციალური გამოცემები, იდეოლოგიური ჩარჩოებიდან

გამომდინარე, ტენდენციური ან დუმილის მომცველია. არადა, გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციას იმდენი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა მარტო ქართულ კითხვასთან, რომ მეისტორიე გვერდს ვერ აუვლის.

გენუის საერთაშორისო კონფერენცია მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე. იგი გახდა ერთი რგოლი იმ გრძელი ჯაჭვისა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისთვის რომაა დამახასიათებელი ევროპისა და საერთოდ, მსოფლოს ახლებურად მოწყობის გზაზე — ვერსალის, ლონდონის, სანრემოს, ვაშინგტონის კონფერენციების შემდგომ.

მიუხედავად კონფერენციის ეკონომიკური ხასიათისა, იმდროინდელი საერთაშორისო მდგომარეობის გამო პოლიტიკური ბატალიების თვალსაზრისით, საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა.

კონფერენციის პოლიტიკურ სიმწვავეს განაპირობებდა ისიც, რომ პირველად საერთაშორისო არენაზე გამოვიდა საბჭოთა რუსეთის დელეგაცია, რომლის მიმართაც არაერთი პრეტენზია ჰქონდათ არა მარტო ევროპის ქვეყნებს, არამედ იმ ემიგრანტულ მთავრობებს, რომლებიც დასავლეთში აღმოჩნდნენ საბჭოთა რუსეთის აგრესიული, ძალისმიერი პოლიტიკის წყალობით. მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც იყო. იგი დიპლომატიური ხერხებით ცდილობდა რაიმე ფორმით მაინც დასმულიყო ქართული კითხვა გენუაში.

კონფერენციაზე, ევროპის სახელმწიფოების გარდა, მიწვეული იყვნენ აშშ-ი და იაპონია (პირველმა კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა). სულ 29 ქვეყანა, რომელთა მიწვევის საკითხი კანის კონფერენციაზე გადაწყდა 1922 წლის იანვარში.

სწორედ კანის კონფერენციას უნდა განეხილა საქართველოს მიწვევის საკითხიც. მაგრამ რომელი მთავრობის — ფაქტიურის, რომელიც გარეშე ძალის დასმარებით მართავდა ქვეყანას, თუ ფიქტიურის — ემიგრაციაში რომ იმყოფებოდა და კანონიერებისა და მორალური თვალსაზრისით იმსახურებდა ამას. ამავე დროს მოსალოდნელი იყო მოპასუხის როლში უშუალოდ აგრესორი, საბჭოთა რუსეთი გამოსულიყო. ამათგან ყველას ჰქონდა პრეტენზია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობა, თქვა არ უნდა, ასეთი მოვლენის მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა და მისი დიპლომატიური კორპუსი უმალვე შეუდგა მუშაობას, რათა მიეღწია კანონიერი მთავრობის დაშვებისათვის კონფერენციაზე. საამისოდ მისთვის დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს მეგობარი ქვეყნების — საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის მთავრობები, ამავე დროს, ქართული დელეგაცია, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდ.

კავკასიის — ემიგრანტულ მთავრობებთან ერთად გამოვიდა, რომელთაც 1922 წლის 5 იანვარს ერთობლივი ნოტა გადასცა კანის კონფერენციას:

1) „შეიტანონ კავკასიის რესპუბლიკები — სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასია და საქართველო ევროპის ეკონომიკური აღდგენის სისტემაში, როგორც ერთიანი ეკონომიკური ერთეული, რომელიც განსხვავდება რუსეთისგან.

2) დაადგინონ, რომ კავკასიის რესპუბლიკების დაშვების პირობების გახილვის დროს და მის მონაწილეობაზე ევროპის ეკონომიური აღდგენის საკითხში ჩვენც მოგვიწვიონ და მოგვისმინონ, როგორც კანონიერი წარმომადგენლები რესპუბლიკებისა“ [63] (დოკუმენტს ხელს აწერენ: აგარონიანი, თოფჩიბაშევი, ჩემოევი, ჩხენკელი).

წინადადება კონფერენციაზე, საქართველოს კანონიერი მთავრობის გენუაში დაშვების სასარგებლოდ, შეიტანა ანტანტის უმაღლესი საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ არისტიდ ბრიანმა. მას მხარი დაუჭირეს იტალიისა და ბელგიის პრემიერებმა — ბონომიმ და ტენიუხმა, მაგრამ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა იმ მოსაზრებით, რომ საქართველო აზიაშია, ჩვენ კი ევროპის სახელმწიფოებს ვიწვევთ გენუაშიო, დასუმლ კითხვას წინ აღუდგა. ამ მხრივ საინტერესოა ერთი დოკუმენტი, კერძოდ წერილი (საიდუმლო), რომელიც მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას გაეგზავნა პარიზის საქართველოს საელჩოს მიერ 1922 წლის 16 იანვარს. მასში ნათქვამია:

„გაუწყებთ დამატებით — გარეშე მინისტრის ე. გეგეჭკორის მიერ გადმოცემული კანიდან დაბრუნებისას. უმაღლესი საბჭოს ოქმი არ იყო შედგენილი და რაც გეწერებათ, ემყარება იქ დამსწრე დელეგატების ინფორმაციას.

წინადადება საქართველოს გენუის ეკონომიურ კონფერენციაზე დაშვების შესახებ მიუცია ბრიანს უმაღლესი საბჭოსადმი და მას მაშინვე მომხრობიან ბონომი და ტენიუხი. ლორდ კერზონი შებრძოლებია წინადადებას (ლ. ჯორჯი სხდომას არ დასწრებია), რომელსაც უთქვამს: საქართველო დაკავებულია ამჟამად. მისი მთავრობა, რომელიც უცხოეთშია ვერაფერს შესძენს კონფერენციას. ეთქვათ კონფერენციამ დაადგინა, ამდენი და ამდენი ასი ათასი სტერლინგის სესხი მიეცეს საქართველოს. თქვენ ხომ ვერ შეძლებთ ეს ფული გადასცეთ იმ მთავრობას, რომელიც თავის ტერიტორიაზე არაა. ამ სიტყვებზე ბრიანს უნდა ეთქვა მწარე ღიმილით. მკაცრ სიტყვებს ამბობთ ლორდო, უნდა ვიფიქროთ უარს არ გვეტყოდით კონფერენციაში დაშვებაზე. კერზონს

---

[63] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1052-1053.

უპასუხნია ბრიანისათვის, თქვენ თვითონ გნებაედათ ეკონომიკური ხასიათი მიგეცათ გენუის კონფერენციისათვის, თვით შესწორება „ფინანსური" თქვენ დაუმატეთ და ახლა კი გნებავთ საქართველოს მოწვევით პოლიტიკური ხასიათი მისცეთ მას. ამ დროს ბონომის შემოუტანია წინადადება: მოვიწვიოთ ორივე მთავრობის დელეგაციები, როგორც ლეგალურის, ისე ფაქტიურის, მაგრამ იგი მაშინვე უარყვიათ. მაშინ განუცხადებია ერთ ვინმეს (ალბათ კერზონს) ჩვენ ხომ ევროპის სახელმწიფოებს ვიწვევთ, საქართველო აზიას ეკუთვნის. ამ საბაბს გაუჭრია და დაუდგენიათ, საქართველო არ მოეწვიათ (ამერიკას და იაპონიას კი იწვევენ).

ე. გეგეჭკორის შეხედულებით, ბრიანი და სხვები არ ყოფილან მტკიცე, ვერ დაუცავთ ენერგიულად პოზიცია. იყო თუ არა ლაპარაკი კაუკასიის სხვა რესპუბლიკებზე დანამდვილებით არ ვიცით, ამბობენ სომხეთის მიმართაც ასე მოქცეულან, ხოლო აზერბაიჯანი, როგორც რუსეთის პროვინცია ევროპისათვის მიუწერიათ"[64] (სტილი დაცულია, გ. ც.).

ამ საკითხს ესმიანება საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ა. ჩხენკელის შეხვედრა საფრანგეთის პრემიერ-პუანკრესთან და მათი საუბარი 1922 წლის თებერვალ-მატრში (ზუსტი თარიღი ჩვენ მიერ მოძიებულ დოკუმენტში არ გვხვდება, გ. ც.). რომელიც შეეხება კანის კონფერენციას და ლაპარაკია გენუის კონფერენციაზე, სადაც პუანკარემ განაცხადა: „ჩვენ დავაყენეთ თქვენი საკითხი, გენუაში თქვენი დელეგაციის დასწრების შესახებ, მაგრამ არ გავიდა. ინგლისმა ხელი შეუშალა იმ მიზეზით, რომ საქართველო აზიაშია"[65] ხოლო ჩხენკელის კითხვაზე, ვინ ილაპარაკებს საქართველოს სახელით, ხომ შეიძლება ბოლშევიკებს ეყოლოთ წარმომადგენელი საქართველოდან და რუსეთი ეცდება მან ილაპარაკოს, მაგრამ პრემიერი არწმუნებს ელჩს, რომ ეს არ მოხდება. მართლაც, პუანკარემ შეასრულა თავისი სიტყვა საქართველოს ელჩისადმი.

კანში მიღებულმა რეზოლუციამ, რომელმაც იმედი გადაუწურა საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას მიეწვიათ გენუაში, საშუალება მისცა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს გ. ჩიჩერინს გადაედგა შესაბამისი ნაბიჯი თავის: ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. მან ოფიციალური ნოტით მიმართა იტალიის მაშინდელ პრემიერს, სადაც ის, სხვათა შორის ამბობდა: „რუსეთის დელეგაციასთან ერთად მო-

---

[64] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფირები, ს. 1021.

[65] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფირები, ს. 1021.

კავშირე რესპუბლიკების დელეგაციები ჩავლენ გენუაში" [66] -ო. მათ შორის საქართველოს ბოლშევიკური მთავრობაც იყო ნახსენები. ასეც მოხდა. გენუაში რუსეთის დელეგაციას თან ახლდნენ — საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის „პრემიერები" და ისინი რუსეთის დელეგაციასთან ერთად შეყვანილი იქნენ, როგორც დამატებითი დელეგატები.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა ამ სამ პირს არავითარი მანდატი არ წარუდგენიათ კონფერენციისთვის, არც რუსეთისგან ჰქონდათ რწმუნება და საბოლოოდ ამოშალეს სიიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია არ იქნა მიწვეული გენუაში, მისი სრულუფლებიანი ელჩი პარიზში ა. ჩხენკელი რამდენიმე ქართველ მოღვაწესთან ერთად (ირ. წერეთელი, სვ. მდივანი, გრ. ვეშაპელი, ზ. ავალიშვილი) მაინც ჩავიდა იტალიაში, რათა საჭირო საბუთები მიეწოდებინა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მზად იყვნენ საქართველოს საკითხის მხარდასაჭერად.

კონფერენციის დაწყებისთანავე ა. ჩხენკელმა წერილით მიმართა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს, იტალიის პრემიერ-მინისტრს ლუიჯი ფაქტას საბჭოთა რუსეთის ძალმომრეობისგან საქართველოს დაცვის თხოვნით, რათა:

1) Принять во внимание, когда будеть устанавливастся проэкт пакта непопадения, необходимость прекратить режим, последовавший после непопадения, которому подвергалась Грузия в 1921 году.

2) Поставить официальное признание советского правительства о допущену его подписанию вишеозначенного пакта в зависимость от разрешения грузинской проблеми и

3) В жешаться с целью предоставления Грузии специального и обеспеченного плана примкнуть в последствии к означенному пакту [67]

გენუის კონფერენციის მომწვევ, ანუ მოკავშირე სახელმწიფოთა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ბელგია) დელეგატებს ჰქონდათ სამომწესრიგებლო სხდომა, სადაც განიხილული იქნა იმ სახელმწიფოთა განცხადებანი, რომლებიც არ იყვნენ მიწვეულნი კონფერენციაზე. სხდომაზე, გარდა ზემოთ მოყვანილი საქართველოს დელეგაციის განცხადებისა, წაკითხული იქნა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა მემორანდუმი და კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის

---

[66] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 712.

[67] იხ: ლ. თოთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 299-300.

მიმართვა გენუის კონფერენციისადმი. ამ უკანასკნელმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპის პოლიტიკურ წრეებში. იგი გამოქვეყნდა იტალიურ გაზეთ „კაფარაში" 25 მაისს.

პატრიარქი ახასიათებდა რა საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას საბჭოთა რუსეთის ანექსიის შემდეგ მატერიალური და სულიერი თვალსაზრისით, სთხოვდა კონფერენციას:

1) „დაუყოვნებლივ გაყვანილი იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მიწაწყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება"[68].

კონფერენციის სამომწესრიგებლო სხდომამ დაადასტურა კანის საზავო კონფერენციის დადგენილება და დასძინა, რომ გენუის კონფერენციაზე არ შეიძლება დაისვას იმ ქვეყნების საკითხი, რომლებიც არ არიან მოწვეული კონფერენციაზე. ხოლო კითხვას, აქვს თუ არა უფლება რუსეთის დელეგაციას საქართველოსა და ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკოს (იგი კელავ დააყენა რუსეთის დელეგაციამ), განსახილველად გადაეცა სამანდატო კომისიას.

სამანდატო კომისიამ დიდი დრო მოანდომა ამ საკითხის განხილვას. ბოლოს კი გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი: პოლიტიკური და იურიდიულ-ფორმალური.

პირველი — „რუსეთის დელეგაციას უფლება არა აქვს ილაპარაკოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელით, განსაკუთრებით არ შეიძლება მისი დაშვება საქართველოს სახელით, რომლის კანონიერი მთავრობა ჩვენ ვიცანით იურიდიულად და რომელიც იძულებულია უცხოეთში იცხოვროს რუსეთის მიერ საქართველოს ძალით დაკავების მეოხებით".

მეორე — „სამანდატო კომისიას არ შეუძლია შეეხოს პოლიტიკურ კითხვებს; ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ საქართველო და სხვა რესპუბლიკები არ იყვნენ გენუაში მოწვეულნი, მაშასადამე არ შეიძლება მათი სახელით რომელიმე დელეგაცია იქნეს საზოგადოდ დაშვებული კონფერენციაზე"[69]/.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებული იქნა მეორე თვალსაზრისი და იგი საფუძველად დაედო სამანდატო კომისიის ექსპერტების მოხსენე-

---

[68] ციტ: ე. ბენიძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. თბ., 1991, გვ. 13.

[69] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1053.

ბას საერთო სხდომისათვის, რომლის რეზოლუცია საქართველოს მიმართ ასე გამოიკვეთა:

ა) უმაღლესმა საბჭომ კანში არ მოიწვია აზიაში მდებარე საქართველო, ამიტომ არ შეიძლება ლაპარაკი არ მოწვეულ სახელმწიფოს დელეგაციაზე.

ბ) საქართველო რომ მოეწვიათ, იმ შემთხვევაში მას წარმომადგენლობის უფლება უნდა ჰქონოდა და იგი აქვს იმ მთავრობას, რომელიც ჩვენ ვიცანით იურიდიულად და ემყარება ხალხის ნებას.

გ) მოსკოვის მთავრობას, რომლის ჯარებს ძალადობით უკავიათ საქართველო და მის მიერ დაყენებულ თბილისის მმართველობასაც არავითარი უფლება არა აქვს ილაპარაკონ საქართველოს სახელით. მათი მანდატი, როგორც უკანონო უკუგდებული უნდა იქნას[70].

სამანდატო კომისიის სხდომის დროს საყურადღებოა ერთ მოვენტზე ყურადღების გამახვილება. საქმე იმაში იყო, რომ კამაოის დროს კომისიის ერთმა წევრმა, კერძოდ ინგლისელმა სესილ ჰარსტმა განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს არ უცვნია საქართველო, მაგრამ მას შეედავენ ფრანგი ბარერი, ბელგიელი ჟასპარი და იტალიელი ჩელეზია (სხდომის თავმჯდომარე), რომლებმაც დაადასტურეს საქართველოს ცნობა მათი ქვეყნების მიერ და ამავე საკითხზე ლოიდ ჯორჯის თავგამოდება — საბჭოთა რუსეთს ელეპარაკა საქართველოს სახელით — უარყოფილი იქნა. (თუმცა ცხადია, რომ ინგლისმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტოდ 1920 წლის 12 იანვარს, ხოლო დე იურედ — 1921 წ. 27 იანვარს).

აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ კონფერენციის სხდომების მიღმა კულისებში, ხშირად დილეგირებდა ხოლმე ქართული საკითხი, ერთ-ერთი ასე საუბრის დროს ლოიდ ჯორჯის მეუღლეს ასე განუცხადებია საქართველოთი დაინტერესებული პირისათვის გენუაში: „თქმა არ უნდა საქართველოს საქმე სიმპათიურია, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი უნდა შეეწიროს ჩემი ქმრის უმთავრეს და დიდ საკაცობრიო მიზნებს"-[71]

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გენუის კონფერენცია, ძირითადად, ეკონომიკური ხასიათისა იყო. მიუხედავად ამისა, მასზე ბევრჯერ დაისვა პოლიტიკური კითხვები. კერძოდ, ასეთი იყო მონაწილე სახელმწიფოთა შორის მიღწეული, ე. წ. „შეუვალობის" შეთანხმება, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ კონფერენციაში მონაწილე

---

[70] სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები ს. 1052-1053.

[71] სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 872.

სახელმწიფოები შეთანხმდნენ,. თავი შეეკავებინათ თავდასხმისა და მტრული პროპაგანდისაგან, უცხო სახელმწიფოების წინააღმდეგ ოთხი თვის განმავლობაში, ვიდრე არ დამთავრდებოდა ექსპერტთა კომისიის მუშაობა ჰაგაში. საკითხი იხილებოდა კონფერენციის ბოლო დღეებში, როცა ფრანგები და ბელგიელები არ იღებდნენ მონაწილეობას არც პირველ პოლიტიკურ და არც მისგან გამოყოფილ (რუსეთის საქმეებისათვის) მცირე კომისიაში.

მცირე კომისიაში ჩიჩერინმა მოითხოვა, რომ შეუვალობის შეთანხმება გაერცელებულიყო საბჭოთა რუსეთის „მოკავშირე" ქვეყნებზე (აქ საქართველოცაა ნაგულისხმევი). მას შეედავა იაპონიის დელეგატი იში (იშმა თავი იმიტომ გამოიდო, რომ ლაპარაკი იყო შერეული აღმოსავლეთის რესპუბლიკაზეც), რომ ეს რესპუბლიკები აქ მოწვეულნი არ არიანო. იშის ეს მოთხოვნა კანონზომიერი იყო, რადგან კონფერენციის რეზოლუციით არ შეიძლებოდა ლაპარაკი იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ მიწვეულნი გენუაში. მაგრამ ლოიდ ჯორჯმა მხარი დაუჭირა ჩიჩერინს. ბოლოს მასვე მიემხრო მცირე კომისიის თავმჯდომარე შანცერი (თუმცა მან აღნიშნა, რომ ამით ჩვენ სრულებითაც არ ვცნობთ ხსენებული რესპუბლიკების ადგილობრივ მთავრობებსო) და რეზოლუციაში ჩაიწერა — შეთანხმება ერცელდება იმ რესპუბლიკების მთავრობებზე, რომლებიც ამჟამად არიან რუსეთის მთავრობის მოკავშირეები.

გენუის კონფერენციაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც საქართველოს შეეხო და რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო კონფერენციის მონაწილეთა შორის, არამედ ფართო რეზონანსი გამოიწვია ევროპაში — იყო აჯანყება სვანეთში, როცა აჯანყებულებმა განდევნეს ბოლშევიკური ხელისუფლება.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ აღნიშნული ფაქტის თაობაზე დეპეშით აცნობა კონფერენციას, ასევე მან საქმის კურსში ჩააყენა მეორე და ვენის ინტერნაციონალის მდივნები ადლერი და მაკდონალდი, რათა მათ მოეხდინათ ზეწოლა ბოლშევიკებზე, დაეწყოთ მოლაპარაკება აჯანყებულებთან. ნ. ჟორდანია კონფერენციას კი შემდეგს ატყობინებდა: „მე მივიღე დეპეშა, რომელიც მაცნობებს, რომ საბჭოთა მთავრობის ჯარები აწარმოებენ სამხედრო მოქმედებას საქართველოს პროვინციებში: სვანეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში, ამავე დროს მეცხრე არმია იგზავნება ქუთაისიდან იმ მხარეში, რომლებმაც 1921 წლის მიწურულში გარეკა ბოლშევიკი მოხელეები და აღადგინა დემოკრატიული წეს-წყობილება. დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში სისხლი იღვრება, ქვეყნის სხვა ნაწილებში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება. მოსალოდნელია უსაშინლესი კატასტროფა.

ქართველი ხალხის სახელით გთხოვთ დასვათ კონფერენციაზე ეს საკითხი. კონფერენციას შეუძლია ბოლო მოუღოს სისხლისღვრას, მოსთხოვოს რუსეთის დელეგაციას დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამხედრო მოქმედება და განახორციელოს საქართველოს შესახებ კანში შემუშავებული პუნქტები და დადგენილებანი"[72]

დეპეშის საფუძველზე კონფერენციამ ყურადღება მიაქცია აღნიშნულ ფაქტს და, რახან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას თავისი დელეგატი არ ჰყავდა გენუაში, შვეიცის მთავრობის თავმჯდომარის ბრანტინგისა და შვეიცარიის დელეგატ მოტას საშუალებით საკითხი დააყენა იმ კომისიაში, რომელშიც რუსეთის საკითხი იხილებოდა, რათა ბოლშევიკებს დამსჯელი ოპერაცია შეეჩერებინათ.

წინადადებას მხარი დაუჭირეს საფრანგეთის წარმომადგენელმა ბარტუმ, ინგლისის მხრიდან — ლოიდ ჯორჯმა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის, მცირე კომისიის თავმჯდომარის — შანცერის წინადადებით, მიღებული იქნა მიმართვა ჩიჩერინის სახელზე. თავის მხრივ, შანცერმა დაამატა, რომ „მოსკოვი გაითვალისწინებს გენუის კონფერენციაზე მოწვეულ სახელმწიფოთა დელეგატების სურვილს და გააკეთებს რაც შესაძლებელია ზავის აღდგენისათვის იმ ტერიტორიაზე, რომელიც უკვე ძლიერ დატანჯულია ბოლო ხნის ბრძოლებით"[73]

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ჩიჩერინის პასუხი ამ კითხვაზე ასეთი იყო:

„საქართველოში არავითარი ომი არ მიმდინარეობს და რუსეთს არავითარი მე-9 არმია არა ჰყავს და ეს მხოლოდ კერძო პირის ნ. ჟორდანიას მონაგონია და თუ სიმართლე გსურთ, ამის შესახებ აქ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი (ლაპარაკი ბ. მდივანზე. გ. ც.) ალაპარაკეთ"[74]

ამავე დროს მან მიუთითა იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს საქართველოს, სხვა უფრო მნიშვნელოვანი მოვლენებისთვის მიექციათ ყურადღება, რომლებიც მათ სახელმწიფოებში მიმდინარეობსო, კერძოდ, საფრანგეთის მიერ რურის საწინააღმდეგო ავანტურა, პოლონეთის მიერ ვილნის დაჭერა, იაპონიის მიერ შორეულ აღმოსავლეთში სისხლისღვრა და მრავალ სხვას.

ნ. ჟორდანიამ ჩიჩერინის ამ სიყალბეს პასუხი გასცა ევროპული პრესის საშუალებით. ამავე დროს ჩიჩერინის გამოსვლაზე 1922 წლის 3

---

[72] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1053.

[73] სცსსა, იქვე.

[74] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1052

მაისს სრულუფლებიანმა ელჩმა პარიზში და საქართველოს დესპანმა გენუაში ა. ჩხენკელმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს ლ. ფაქტას და ამავე დროს მემორანდუმი გადასცა გენუის კონფერენციას, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ: „თუ გენუის კონფერენციას, რომელსაც უნდა აღადგინოს კეთილგანწყობილება ხალხთა შორის და სურს ერთგული იყოს მის მიერ საზეიმოდ გაცხადებული პროგრამის (მხედველობაშია, „შეეუალობის შეთანხმება") მისი მოვალეობაა მოითხოვოს დაუყოვნებლივ ჯარის გაყვანა საქართველოდან, ოკუპაციის რეჟიმის მოსპობა და საქართველოს ხალხის თავისუფლების აღდგენა"[75].

ჩიჩერინს ამავე დროს დაწერილებით უპასუხა საქართველოს დელეგაციამ, მცირე კომისიის თავმჯდომარის, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის შანცერის მეშვეობით, სადაც მოყვანილი იქნა საბუთები სევანეთის აჯანყების შესახებ (ყველაფერი ეს მოთავსდა პრესაში), მაგრამ ვინაიდან ჩიჩერინი აცხადებდა თანხმობას, გარკვეულიყო ჩაგრული ხალხების და მათ შორის საქართველოს საკითხში, ქართულმა დელეგაციამ კონფერენციას მოსთხოვა საერთაშორისო ორგანოს შექმნა საქართველოში ვითარების შესასწავლად და ამისთვის შესაფერის პირობებში პლებისციტი, თუ რამდენად შეეფერებოდა ქართული ხალხის სურვილს ყოფნა საბჭოთა რუსეთის ჯარისა, რომელმაც დაარღვია რამოდენიმე წლის წინ დადებული ხელშეკრულება და ძალით დაიკავა საქართველო.

მოსალოდნელი იყო, შანცერი მოახსენებდა ქართული დელეგაციის მიწერ-მოწერას მასთან მცირე კომისიას, მაგრამ ეს არ მოხდა. როგორც ქართული დელეგაციისთვის გახდა ცნობილი, ამის შესახებ შანცერს ერჩია თათბირები ჰქონია სხვადასხვა მთავრობის წარმომადგენლებთან და მათ შორის ლოიდ ჯორჯთან. ქართული დელეგაციის ეშველით, აქ მას (ლ. ჯორჯს) უნდა ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა.

საქართველოს დელეგაციის ცდას, გარკვეული შედეგისაკენ მიეყვანა გენუაში, წარმატება არ მოჰყოლია. მას მრავალმა ფაქტორმა შეუშალა ხელი. მათ შორის მთავარი მაინც ისაა, რომ უშუალოდ ვერ მიიღო მონაწილეობა კონფერენციაში. მეორე — თვით საბჭოთა რუსეთის ფაქტორი იყო, რომელმაც სწორად წარმართა დიპლომატიური ლავირება მილებული თუ მიუღებელი ხერხებითა და საშუალებებით. მაგრამ მთავარი, ალბათ, რუსულ დიპლომატიაში იყო ერთი „მოწამლული იარაღი", რომლითაც ხშირად იმარჯებდნენ და; უთუოდ, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ევროპაში. ისინი

---

[75] სტატია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფილმები, ს. 1053

ამტკიცებდნენ, იმას, თითქოს საქართველო სრულიად დამოუკიდებელია და ამის სადემონსტრაციოდ მის სათავეში ნომინალურად ქართველი კომისრების ყოფნას იშველიებდნენ. რუსეთის დელეგაციას ერთხელაც არ განუცხადებია, გენუაში, რომ საქართველო შედის რუსეთის ფედერაციაში, პირიქით, ის მას ეძახდა „მოკავშირე რესპუბლიკას".

მესამეც, რომლითაც შეიძლება აიხსნას წარუმატებლობის ლოგიკური შედეგი, იყო ინგლისის ფაქტორი, როცა ლოიდ ჯორჯისა და მისი გუნდის წევრთა მხარდაჭერას საბჭოთა რუსეთის მიმართ, მარტო გენუაში არ გამოუწვევია გაკვირვება. მოყოლებული კანის კონფერენციიდან, გენუის კონფერენციის ჩათვლით და შემდგომაც ყველა სხდომაზე და შეკრებაზე როცა კი წამოიჭრებოდა საქართველოზე საუბარი, ის „ნოკაუტით" აბოლოებდა მას. და მაინც რა იყო მიზეზი იმისა, რომ რუსეთმა სრული მხარდაჭერა მიიღო ინგლისისაგან გენუის კონფერენციაზე?

კონფერენციის მასალებში ასეთი მხარდაჭერა ნაკლებად ჩანს. სამაგიეროდ გენუაში ოფიციალური კონფერენციის ზურგს უკან, კულუარებში, გაჩაღებული იყო ნამდვილი საჯარო ვაჭრობა რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრეზე, რომლისკენ მიილტვოდნენ ყველა ქვეყნის მრეწველნი, ბანკირები და უბრალო სპეკულანტებიც კი. ცხადია, ინგლისის ინტერესიც აქეთკენ იყო მიპყრობილი. ის „პრიორიტეტს" იღებდა რუსეთის ბაზარზე (ამას ხელს უწყობდა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საფრანგეთმა „პრიორიტეტი" მისცა ინგლისს რუსეთის საკითხში და, ცხადია, ბაქოს ნავთობზეც („კომპანია შელი"). საბჭოთა რუსეთს კი მხოლოდ მაშინ შეეძლო წართმეული ქონებით ვაჭრობა უცხოეთში, თუ ის იურიდიულად ცნობილი იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისს სურდა დაპატრონებოდა კავკასიის ნავთს, მოსკოვის მთავრობის ცნობაც მის ინტერესში შედიოდა, რათა წინ სხვა უცხოელი მესაკუთრენი არ გადაღობებოდნენ. ამას ემატებოდა რუსეთ-ინგლისის 1921 წლის 16 მარტის სავაჭრო ხელშეკრულებაც, რომლის ძალითაც, ინგლისი პოლიტიკური თვალსაზრისით, არადაინტერესებულად აცხადებდა თავს კავკასიის საქმეებში. აი, მიზეზი დიდი ბრიტანეთის პოზიციისა კონფერენციაზე.

მიუხედავად გენუაში განცდილი მარცხისა, ემიგრანტული მთავრობის ბრძოლა ქვეყნის გამოხსნისათვის ამით არ დამთავრებულა. მსგავსი ნაბიჯები გადაიდგა იმავე წელს ლოზანის კონფერენციაზე.

ლოზანის კონფერენციაზე (1922 წლის ნოემბერი-დეკემბერი 1923 წლის გაზაფხული) დღის წესრიგში კვლავ დადგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანია ლოზანაში მყოფ ქართული დელეგაციის მეთაურს ა. ჩხენკელს წერდა: „ჩვენი მთავარი მიზანია კონფერენციაზე

მოწვევა გადამჭრელი ხმით. თუ ეს არ მოხდება ასარჩევი ხმითა და თუ ესეც არ მოხერხდება, მოგვისმინონ მაინც, როცა ლაპარაკი იქნება ოსმალეთსა და კავკასიის საკითხებზე"[76]

საქართველოს ელჩის თხოვნის თანახმად, საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — პუანკარემ ფორმალურად მიმართა ინგლისისა და იტალიის მთავრობებს, კონფერენციაზე მოეწვიათ საქართველოს მთავრობა. მართალია, ინგლისისა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრებს — კერზონსა და შარის — უარი არ უთქვამთ ამის შესახებ, მაგრამ თავის მხრივ, მოითხოვეს საქართველოს „ფაქტიური", ე. ი. მოსკოვის მიერ დანიშნული მთავრობის მოწვევაც. ამავე დროს ლოიდ ჯორჯმა დააყენა საკითხი, რომ მოპასუხის როლში უშუალოდ ჩიჩერინი გამოსულიყო, მაგრამ ამაზე საფრანგეთის წარმომადგენელმა უარი განაცხადა. ერთი სიტყვით, დასმულ საკითხს შედეგი არ მოჰყოლია.

ისევე როგორც გენუაში, ლოზანაშიც დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო უარყოფითად შეხვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევას, ამავე დროს, საბჭოთა რუსეთი უკვე საკმაოდ წელგამართულად გამოიყურებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დელეგაცია ოფიციალურად არ იქნა მიწვეული ლოზანაში, საკმაო აქტიურობას იჩენდა იმ შესაძლებლობის ფონზე, რომელიც ოფიციალურ სხდომებს მიღმა მყოფ დელეგაციას შეეფერებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ა. ჩხენკელის გამოსვლები როგორც პრესაში, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხვედრებზე. ამის შესახებ ზემოთ მის ერთ გამოსვლას შევეხეთ. სამწუხაროდ სხვა მხრივ, თუ რა დონეზე და რა ფორმით მოხდა საქართველოს საკითხის განხილვა ლოზანაში მასალების უქონლობის გამო, ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ, იმის გამოც, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის ე. წ. ჰარვარდის ფონდის ფოტოასლები არ იძლევიან წაკითხვის საშუალებას. იგი მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს.

საქართველოზე საუბარი იყო ასევე ლონდონის კონფერენციაზე (1924 წლის 16 იგლისი 16 აგვისტო). აქ ერთ-ერთი სხდომის დროს მოხსენებული იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მემორანდუმი, რომელშიც, ფაქტებზე დაყრდნობით, მოთხრობილ იქნა იმ საშინელებებზე, რომელთაც ბოლშევიკური რეჟიმი მიმართავდა საქართველოში, განსაკუთრებით პოლიტიკურ პატიმართა მიმართ. მემორანდუმი თხოვდა ლონდონის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს, რათა ეძულებინათ საბჭოთა რუსეთი ჯარები გაეყვანა საქართ-

---

[76] სც�ა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფილები. ს. 1054.

ველოდან და აღდგენილიყო საქართველოს უფლება, დადასტურებული ანტანტის სახელმწიფოების მიერ 1921 წლის 27 იანვარს[77]

საერთაშორისო კონფერენციების პარალელურად ქართული საკითხი დაისვა ერთა ლიგის სესიებზე. აქ მიღებული რეზოლუციები დადებით გამოძახილს ჰპოვებდა ხოლმე ევროპაში, როგორც მთავრობათა, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით. იგი, მართალია საქართველოსთან მიმართებაში მხოლოდ მორალურ თანადგომას არ გასცილებია, მაგრამ, რეალური პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, უდავოდ, დიდშინაშენელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენ თემის პირველ პარაგრაფში გაკვრით შეეხეთ საქართველოს საკითხის განხილვას ერთა ლიგის სესიაზე 1920 წლის დეკემბერში.

1920 წლის 15 ნოემბერს ჟენევაში დაიწყო ერთა ლიგის სესიის მუშაობა, რომელზეც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განხილულიყო საქართველოს რესპუბლიკის მიღება ერთა ლიგაში. წარმატების შემთხვევაში, საქართველოს ეძლეოდა კარგი შესაძლებლობა, გამხდარიყო საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა და, ვინ იცის, იქნებ საქართველოს გასაბჭოება უფრო შორს, ბალტიის ქვეყნების მაგალითისამებრ მოეხდარიყო (მართალია ლიტვა, ლატვია, ესტონეთი ერთა ლიგაში მიიღეს არა 1920 წლის პირველ სესიაზე, არამედ 1921 წლის სექტემბერში, რადგან საბჭოთა რუსეთმა ვერ მოასწრო მათი გასაბჭოება), თუმცა ამ შემთხვევაშიც საეჭვოდ მიგვაჩნია რუსეთის თავშეკავება საქართველოსთან მიმართებაში.

საქართველოს საკითხის განსახილველად ერთა ლიგის სამდივნომ მოამზადა მასალები და დაბეჭდა შუამდგომლობის ტექსტი რამდენიმე ენაზე. ახალი წევრების მისაღებად სესიამ შექმნა მეხუთე, განსაკუთრებული კომისია — სხვადასხვა ქვეკომისიად დაყოფილი. საქართველოს საკითხი უნდა განეხილა მე-3 ქვეკომისიას, რომელშიც შედიოდნენ: ნორვეგიის, ავსტრიის, ესპანეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, სერბიისა და ჩინეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მათი გადაწყვეტილება კეთილგანწყობილი გამოდგა საქართველოს კანდიდატურისადმი იმ მხრივ, რომ იგი აკმაყოფილებდა ერთა ლიგაში შემავალი ქვეყნისათვის წაყენებულ ყველა საჭირო მოხოვნას, რომ მას ჰყავდა მტკიცე მთავრობა, ჯარი, რომელსაც შეეძლო ქვეყნის საზღვრების დაცვა და ჰქონდა დემოკრატიულ საწყისებზე აგებული მართვა-გამგეობა და სხვა. არსებული მასალებისა და დელეგატთა გამოსვლებიდან გამომდინარე, მე-5 განსაკუთრებულმა კომისიამ ასეთი დადგენილება მიიღო:

---

[77] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1066.

„კომისია რეკომენდაციას აძლევს ერთა ლიგის ანსამბლეას შეატყობინოს საქართველოს მთავრობას, რომ:

ა) მისი შუამდგომლობა განხილულ იქნა თანაგრძნობით, მაგრამ მდგომარეობა კრებას არ აძლევს გამოიტანოს საბოლოო დადგენილება;

ბ) რომ, ერთა ლიგის მომდევნო სესიამდე ამ სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის საერთო ტექნიკურ ორგანიზაციებში"[78]

საქართველოს მიღების საკითხი ერთა ლიგის პირველ სესიაზე გარჩეულ იქნა 16 დეკემბრის საღამოს სხდომაზე, ბალტიის ქვეყნებთან ერთად (დილის სხდომაზე სომხეთის საკითხი უარყოფითად გადაწყდა იმ მიზეზების გამოც, რომ იგი უკვე გასაბჭოებული იყო, გ. ც.), საქართველოს საკითხისადმი მიმდინარე კამათში გამოიხატა დელეგატების — ნანსენის (ნორვეგია), შანცერის (იტალია), ზოკა — ედ-დოულეს (სპარსეთი), შაგასის (პორტუგალია) კეთილგანწყობა, ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უარყოფითი პოზიცია დაიკავეს, რომელიც გადამდები აღმოჩნდა მათი ხელდებული ქვეყნებისთვისაც.

პოლონეთის დელეგატის — პოდერევსკის თითქოსდა მგზნებარე სიტყვას ბალტიის ქვეყნების, უკრაინის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მხარდასაჭერად, აქარწყლებდა გამოსვლის უმთავრესი დედააზრი, რომ — „მადლიერი პოლონეთის გული ეკუთვნის აგრეთვე და, პირველ ყოვლისა, იმათ, ვინც ასე დიდსულოვნად აღმოუჩინა მას დახმარება და შემწეობა. პოლონეთს კარგად ესმის, თუ ვის უნდა უმადლოდეს ის თავის დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობას. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ დაუკარაეს ამ ერების ხალხთა ლიგაში მიღების ქამს"[79].

პოლონეთის დელეგატის მსგავსი პოზიცია გამოხატეს რუმინეთის, ბელგიის, შვეიცის წარმომადგენლებმა. საფრანგეთისა და შვეიცის დელეგატების ვივიანისა და ბრანტინგის თქმით, ანგარიში უნდა გაეწიოს ლიგის წესდების მეათე მუხლს, რითაც გაამართლეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება განსახილველი საკითხისადმი, რომ — „ლიგის წევრები თავის თავს მოვალედ თვლიან პატივით მოეპყრონ და ყოველივე გარეშე თავდასხმისაგან დაიცვან ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ლიგის ყველა წევრისა, თუ ადგილი ექნება თავდასხმას, მუქარის ან თავდასხმის საშიშროებას"[80]

---

[78] ციტ: ს. კილაძე, საქართველო და ერთა ლიგა, ჟურნ. „საისტორიო ფურცლები", 1991, 1, გვ. 40.

[79] ციტ: ს. კილაძე, საქართველო და ერთა ლიგა, ჟურნ. „საისტორიო ფურცლები", 1991, 1, გვ. 40.

[80] ციტ: ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

საბოლოოდ კი კენჭისყრაზე საქართველომ ვერ მიიღო არჩევისათვის საჭირო ხმების ორი მესამედი, ე. ი. 24-დან 16 ხმა. ასე რომ, საქართველოს უარი ეთქვა ამ ორგანიზაციაში მიღებაზე. მოულოდნელი აქ არაფერი იყო იმ უარყოფითი პოზიციიდან გამომდინარე, ინგლისსაფრანგეთის, განსაკუთრებით კი ინგლისის, წარმომადგენლებმა რომ დაიკავეს იმ პოლიტიკური შემობრუნების შემდეგ, რაც მოხდა 1920 წლის აპრილში სან-რემოს კონფერენციაზე კავკასიის საკითხის ჩავარდნისა და ინგლისურ პოლიტიკაში ლოიდ-ჯორჯის კერზონზე გამარჯვებით, რომელსაც ჩვენ ზემოთ გავუსვით ხაზი.

საკითხის განხილვისას მეტროპოლიებს მხარი დაუჭირეს დომინიონმა ქვეყნებმა, რომლებმაც, ფაქტიურად, გადაწყვიტეს კენჭისყრის ბედი. ამის საილუსტრაციოდ, შეიძლება დავიმოწმოთ ზ. ავალიშვილის ნათქვამი: „როგორც აგვიხსნა მე და სუმბათაშვილს კუბის დელეგატმა იგუერომ, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ყოველგვარი კენჭისყრის მომზადებაში, — შუა და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ თავისი ხმების რაოდენობით ლიგაში მიეღოთ საქართველო და ბალტიის მხარის სახელმწიფოები, რასაც მოითხოვდა სამართლიანობა. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ასეთ საქმეებს წყვეტს არა სამართლიანობა! ამერიკის რესპუბლიკებისათვის უხერხულია, წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ კითხვაში, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნიერების სწორედ ამ ნაწილისათვის! ინგლისმა და საფრანგეთმა, მარტო ინგლისმა მოგცეთ ხმა, ჩვენ, როგორც ერთი კაცი შევუერდებით მას“[81]

ერთა ლიგის 1922 წლის გენერალური ასამბლეისადმი წარდგენილ მემორანდუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობა, მიმოიხილავდა რა საქართველოში არსებულ მდგომარეობას, სთხოვდა ასამბლეას, აღემაღლებინა ხმა საბჭოების წითელი რაზმების მიერ საქართველოს დაპყრობისა და ოკუპაციის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ეს თხოვნა უპასუხოდ დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგის ასოციაციათა კავშირის კონგრესმა, რომელიც ჩატარდა ცოტა ხნით ადრე, მიიღო გადაწყვეტილება და მოსთხოვა ერთა ლიგის ასამბლეას და საბჭოს, მიეღოთ ზომები, რათა ხალხთა უფლების პრინციპი — „თვითონ გადაწყვიტონ თავისი ბედი“ განხორციელებული ყოფილიყო საქართველოს მიმართ.

ლიგის მესამე სესიაზე, 1922 წლის სექტემბერში, საქართველოს მთავრობამ ერთა ლიგის ასამბლეაში წარადგინა საკმაოდ ვრცელი მემორანდუმი რესპუბლიკის იმჟამინდელი ვითარების შესახებ, სადაც,

---

[81] იხ. ზ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

ფაქტებზე დაყრდნობით, გაანალიზა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ის აებედითი მდგომარეობა, რომელიც საბჭოურმა რეჟიმმა გამოიწვია სულიერი და მატერიალური კულტურის ნგრევით ბოლო ორი წლის განმავლობაში.

მემორანდუმის საფუძველზე, ბელგიელმა დელეგატმა, სოციალისტმა დე ბრიუკერმა წამოაყენა წინადადება, რათა განეხილათ საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს ოკუპაციის საკითხი. რომ „ქართული საკითხი არ ეკუთვნის იმ თეორიულ პრობლემათა რიცხვს, რომელიც შეიძლება გვერდზე გადადო. მართალია, გენუამ ყური არ ათხოვა მას, მაგრამ ეს საკითხი დღესაც დგას და ყოველთვის დაისმება"[82] მანვე ლიგის წევრებს შესთავაზა რეზოლუციის პროექტი, რომელიც განიხილეს ანსამბლეის მე-6 კომისიაში, რომელიც შედგებოდა ბელგიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებისაგან. მწვავე კამათის შემდეგ რეზოლუცია მიღებული იქნა 22 სექტემბერს, შემდეგი სახით:

„ლიგის საბჭო ეალდებულია თვალი ადევნოს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, რათა, დაეხმაროს ქართველ ხალხს ტანჯვის შემსუბუქებაში, აღადგინოს ქვეყანაში ნორმალური ვითარება მშვიდობიანი საშუალებებით და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად"[83]

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, 1923 წ. მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა მიმართვა გაუგზავნა ერთა ლიგას, რომელიც წარედგინა ლიგის ანსამბლეას იმავე წლის შემოდგომაზე. მასში ნათქვამია: „ცივილიზებული კაცობრიობის წარმომადგენლებო! ყური მიუგდეთ უძველესი ცივილიზაციის ხალხის გამწარებულ ხმას, რომელსაც სურს დამოუკიდებელი იყოს. ამ ერს სრული განადგურება ემუქრება... საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რათა ერთა ლიგა, სამართლიანობის უზენაესი ორგანო თავის ავტორიტეტულ ხმას აიმაღლებს, რათა საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი საშინელებები აღიკვეთოს"[84]

1924 წლის სექტემბერში ერთა ლიგის მე-5 სესიას ასევე წარედგინა დამკომის მემორანდუმი, თბილისში იმავე წლის 5 აგვისტოს შედგენილი, რომელშიც სრული მხარდაჭერაა გამოთქმული საქართველოს ეროვნული მთავრობის დიპლომატიური დემარშებისადმი ერის

---

[82] ციტ. რემონ დიუგე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

[83] იხ.: ს. ქილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[84] ციტ: რემონ დიუგე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1994, გვ. 146.

კანონიერი უფლებების დასაცავად და გამოსატა თხოვნა ლიგის ანსამ-ბლეასადმი, დახმარების ხელი გუწოდონ ქართველ ხალხს, რომელიც, ფაქტიურად, საომარ მდგომარეობაში იმყოფება.

ერთა ლიგის აღნიშნულ სესიაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ნ. ჟორდანია და ირ. წერეთელი, მოისმინეს კანადის წარმომადგენლის მაკ დონალდის (არა რაზმეი მაკდონალდის, რომელსაც ვხვდებით ზოგიერთ ლიტერატურაში, გ. ც.) მოხსენება საქართველოს მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა, იურიდიულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, გაანალიზა ის უფლება და მდგომარეობა, რომელიც საქართველოსა და მის ეროვნულ მთავრობას შეეხებოდა. ფაქტებით დახატა ქვეყნის ნამდვილი სურათი და მიუთითა, რომ ანსამბლეის წევრები გულისტ-კივილით გაიზიარებენ საქართველოს ბედს.

საქართველოსადმი მხარდამჭერ რეზოლუციას დადებითად გამოეხ-მაურნენ: ჟილბერ მიურე (ან მერეი, გ. ც.) (დიდი ბრიტანეთი), ბონენ ლონგარი (იტალია), დე ბრიუკერი (ბელგია), ხოლო საფრანგეთის დელეგაციის სახელით ჟიულ ბონეს განცხადებაში სრული მხადრაჭერაა გამოთქმული საქართველოსადმი განსახილველი პროექტის გამო, ამავე დროს ჩანს ფრთხილი ტონი, რათა გრძნობები მჭიდროდ იქნას და-კავშირებული სამართალთან.

მწვავე კამათის შემდეგ, ერთა ლიგამ მიიღო საქართველოსადმი მხარდამჭერი რეზოლუცია, რომელმაც, ფაქტიურად, გაიმეორა 1922 წელს მიღებული რეზოლუცია. ავალდებულებდა რა საბჭოთა მხარეს ანგარიში გაეწია ლიგის გადაწყვეტილებისათვის. (1922 წ. რეზოლუციიდან გამომდინარე და ლიგის წესდების თანახმად, საბჭოთა რუსეთი უნდა მოექციათ საერთაშორისო ბლოკადაში; თუმცა ეს არ მომხდარა, გ. ც.).

საკითხის ასეთმა რადიკალურმა განხილვამ ცხადია, დიდი გაღიზია-ნება გამოიწვია საბჭოთა მთავრობის მხრიდან, რომელმაც მას „პროვოკაციული" უწოდა და საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს ჯეიმს დრუმონდს.

მიუხედავად ამისა, ერთა ლიგის მხარდამჭერ რეზოლუციებს საქართველოსადმი პრაქტიკული ხორცშესხმა არასოდეს მოჰყოლია. იგი მხოლოდ მორალური თანადგომით გამოიხატებოდა, რადგან ლიგა აშ-კარად ერიდებოდა მდგომარეობის გართულებას მომძლავრებული საბ-ჭოთა იმპერიის წინააღმდეგ.

თავი III. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტისათვის საქართველოში

§ 1. ბოლიტიკური პარტიები ინტერპარტიულ კავშირში

ევროპაში დიპლომატიური და პროპაგანდისტული მუშაობის პარალელურად, საქართველოს მთავრობა და საერთოდ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ცდილობდა კავშირის გაბმას სამშობლოსთან, ერის მებრძოლი სულისკვეთების შენარჩუნებას და ხელშეწყობას, იქაურ არალეგალურ ორგანიზაციებთან დაკავშირებასა და მათი საშუალებით მუდმივი კონტაქტის დამყარებას ანტიბოლშევიკურ ძალებთან. „ეს იყო მთავარი, თუ ერი არ გატყდება, საერთაშორისო მდგომარეობა ოდესმე მის სასარგებლოდ შეიძლება შემობრუნდეს და ამით ისარგებლოს. მეორე მხრით, დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი პოლიტიკური ემიგრაციის მთლიანობის შენახვას, მებრძოლი აპარატების შექმნას და მათ წინამძღვრობას"[85]

სწორედ, ამ მიზანს ისახავდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, წინააღმდეგობის მიუხედავად, დაადგა რა ურთიერთშორის მტკიცე კავშირის გზას, რომელიც საშუალებას აძლევდა მთელ ერს ეწარმოებინა მიზანმიმართული ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტისათვის საქართველოში.

თავისი მოღვაწეობის გრძელ ჯაჭვში, რომელსაც ქართული პოლიტიკური ემიგრაცია აწარმოებდა, ერთ-ერთი მთავარი რგოლი საზღვარგარეთ გახიზნული პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების ინტერპარტიული კონფერენცია იყო, რომელიც პარიზში მიმდინარეობდა 1922 წლის 21 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით. ინტერპარტიული კონფერენციის მიზანი იყო — პარტიათა შეთანხმება ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისათვის, დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისათვის ბრძოლაში. „ამ შეთანხმების მონაწილე (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა) პარტიები ვალდებულებას კისრულობენ მთელი თავისი ძალ-ღონით იბრძოლონ ოკუპაციის წინააღმდეგ, ემზადონ გამოსვლისათვის საოკუპაციო მმართ-

---

[85] ნ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

ველობის გასაუქმებლად და საჭირო ჟამს მთელი თავისი ძალა გავლენით ამ გამოსვლაში მონაწილეობა' მიიღონ"[86].

ამავე მიზნით იყო განპირობებული ის ბრძოლა, რომელიც არ შეუწყვეტიათ საქართველოში დარჩენილ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს. ასე რომ, ორივე ეს ძალა, როგორც ემიგრანტული, ისე საქართველოში მებრძოლი პარტიებისა ამიერიდან საერთო ფრონტით უნდა გამოსულიყო.

თუმცა, როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფიქრი და მოქმედება უფრო ადრე დაიწყო. ამის საილუსტრაციოდ აუცილებლად უნდა შევეხოთ ინტერპარტიულ თათბირს ინტერპარტიული შეთანხმების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1921 წლის 18 დეკემბერს შედგა პარიზში, ქართული ლეგაციის ბინაზე, ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. თათბირს დაესწრნენ სამი წამყვანი (სოც. დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოც. ფედ.) პარტიის წარმომადგენლები: ექ. თაყაიშვილი, ირ. წერეთელი, შ. ქარუმიძე, სვ. მდივანი, ევგ. გეგეჭკორი, კ. საბახტრიშვილი.

თათბირზე განხილული იქნა წინასწარ შედგენილი შეთანხმების პროექტი, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ინტერპარტიულ შეთანხმებას.

ერთიანი ფრონტის განმტკიცებისა და ქვეყნის მომავალი მოწყობის მიზნით, შ. ქარუმიძის (ეროვნულ-დემოკ.) აზრით, შეთანხმების პროექტში უნდა შესულიყო ორი დამატება, პირველი ეხებოდა ეკონომიკურ პოლიტიკას, ხოლო მეორე — ჯარის მოწყობის საკითხს. მისი თქმით: „ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა არ უნდა იყოს ისეთი, როგორსაც ვაწარმოებდით, არამედ ისეთი, როგორიც ევროპის სახელმწიფოებშია... აგრალურ საკითხში კი უნდა დაუშვათ მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა... ,რაც შეეხება მომავალი ჯარის საკითხს — გვარდია უნდა გაუქმდეს, რაც გამორიცხავს ჩვენი საბჭოდრო ძალების ორ ბანაკად გაყოფას"[87]

მომავალი ჯარის საკითხზე იგივე აზრის იყო სვ. მდივანი (სოც. ფედ. პარტია), რომ „გვარდიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ჩვენ უნდა გამოვხატოთ ჩვენ მიერ მიღებული ტექსტის დეკლარაციაში"[88]

ნ. ჟორდანიას თქმით: „აქ არანაირ ეკონომიურ პოლიტიკაზე ლაპარაკი არ შეიძლება გადაჭრილად. ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი

---

[86] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1047.

[87] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1045.

[88] სცსსა, იქვე.

აზრი. რაც შეეხება ეკონომიკის გაევროპულებას, ის თავისთავად მოხდება ევროპის ქვეყნებთან ჩვენი ეკონომიკური ხელშეკრულებების დადების შემდეგ. რაც შეეხება აგრარულ პროექტს, მიწის ყიდვა-გაყიდვის პრინციპი დაცული იქნება, ხოლო გვარდიის საკითხი უნდა მოიხსნას, იმდენად, რამდენადაც მას გვარდიელები არ აყენებენ და ეს მომავალი არჩევნებისა და ახალი მთავრობის საქმეა"[89]

ინტერპარტიულ თათბირზე პარტიათა წარმომადგენლებს შორის წარმოებული ასეთი პოლემიკა სასურველ ნიადაგს არ უქმნიდა მომავალ კონფერენციას, რომელზეც პარტიათა შორის შეთანხმების საკითხების განხილვა იყო გათვალისწინებული, ამავე დროს ერთიანი ფრონტის შექმნის სურვილს ჩრდილავდა მეორე — მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს მმართველობაში პორთფელების განაწილების სურვილი. ასეთი პოლემიკის წინააღმდეგ გამოვიდა ირ. წერეთელი. მან აღნიშნა: „აქ მომავალ დადებით პოლიტიკაზე ლაპარაკი შეუძლებელია, თუ ლაპარაკი იქნა პორთფელების განაწილებაზეც, ეს საკითხი უნდა მოიხსნას და შეთანხმება უნდა ეხებოდეს მხოლოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო ბრძოლას"[90]

ინტერპარტიულმა თათბირმა შეიმუშავა დღის წესრიგი, რომლის მიხედვითაც მუშაობა დაიწყო ინტერპარტიულმა კონფერენციამ 1922 წლის 21 თებერვალს, რომელიც საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა:

1. ნ. ჟორდანიას მოხსენება ევროპაში წარმოებულ მუშაობაზე;
2. ნ. რამიშვილის მოხსენება შეთანხმების პროექტის შესახებ;
3. მსჯელობა ორივე ზემოთ ნახსენებ მოხსენებათა შესახებ;
4. შეთანხმების პროექტის განხილვა;
5. მოწოდებანი ევროპასა და საქართველოსადმი;
6. კონფერენციაზე აღძრული მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის საორგანიზაციო ბიუროს სახელით სხდომა გახსნა ნიკოლოზ ჩხეიძემ, რომელმაც სიტყვა გადასცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს ბ. ჩხიკვიშვილს, მან წამოაყენა წინადადება კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეული ყოფილიყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ხოლო მის ამხანაგებად ორი დანარჩენი (ეროვნულ-დემოკრატიული და სოც. ფედერალისტთა პარტიის დელეგატთაგანი), მეოცნებად სამივე პარტიისგან — თითო-თითო წარმომადგენელი. ეს წინადადება მიღებულ იქნა და პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ნ. ჩხეიძე (თავმჯდომარე), ამხანაგებად ნ. ნიკოლაძე

---

[89] სესსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპარები. ს. 1045

[90] სესსა. იქვე.

და სვ. მდივანი, ხოლო მდივნებად — ბ. ჩხიკვიშვილი, რ. გაბაშვილი და. კ. კობახიძე.

საერთოდ კი პარტიათა წარმომადგენლობა კონფერენციაზე ასეთი იყო:

სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან: ნ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, ბ. ჩხიკვიშვილი; გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან: ნ. ნიკოლაძე, გრ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, ლ. ჯაფარიძე; სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან: სვ. მდივანი, კ. კობახიძე, ა. პაპავა (რომელიც გვიან შეუერთდა კონფერენციას).

სათათბირო ხმით კონფერენციას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წინადადებით, ესწრებოდნენ ქართული არასოციალისტურ ორგანიზაციათა საზღვარგარეთელი კომიტეტის წარმომადგენლები: გრ. ალშიბაია, ნიკო (იოსებ) ჯუღელი, სვ. ციციშვილი. კონფერენციას ასევე დაესწრნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები: ნ. ჟორდანია, ევგ. გეგეჭკორი, ექვ. თაყაიშვილი, კ. საბახტრიშვილი და სხვები.

კონფერენციის წარმომადგენლობათა ვინაობის გაცნობა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც კონფერენციის პრეზიდიუმის შემადგენლობა მთლიანად შეეიდა ინტერპარტიულ ან იგივე განმათავისუფლებელ კომიტეტში, რომელიც გახდა საზღვარგარეთ ეროვნული ბრძოლის მაკოორდინირებელი ორგანო (მართალია მისმა შემადგენლობამ დროდადრო ცვლილებები განიცადა, მაგრამ ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა).

დღის წესრიგის პირველ საკითხზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, იგი შეეხო იმ მუშაობას, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტიისგან შემდგარი მთავრობა აწარმოებდა დამოუკიდებლობის წლებში და გააანალიზა მისი მუშაობა ემიგრაციაში, რომ „ოკუპაციის ქვეშ სახელმწიფოს იურიდიულ წარმომადგენელს, მის კანონიერ მთავრობას დარჩენა არ შეეძლო. გარდა ამისა ევროპაში მუშაობის საწარმოებლადაც ეს აუცილებელი იყო. ევროპისათვის სინამდვილე უნდა გვეცნო. მიზნად ვისახავდით ევროპის თანაგრძნობის მოპოვებას და მის ჩვენ სასარგებლოდ ამოქმედებას"[91]

ევროპაში გაწეული მუშაობა მთავრობის თავმჯდომარემ დამაკმაყოფილებლად შეაფასა და ამ საქმეში მან საიმედო პარტნიორად საფრანგეთის მთავრობა და მისი მმართველი წრეები მიიჩნია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებიდან — მეორე ინტერნა-

---

[91] სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1045.

ციონალი, ხოლო ინგლისისა და ოსმალეთის მთავრობათა კურსი მტრულად მიიჩნია და ახლაც ვერ ხედავს მათი კურსის ცვალებადობას ქართული საკითხის სასარგებლოდ და მათ ქმედებას აიგივებს 1921 წელთან, „როცა მათ გაგვიმეტეს ბოლშევიკების შესაჭმელად“ [92] და საზოგადოდ — ევროპაში საქმეები იმდენად არეულ-დარეულია, რომ ყველანი თავის საქმეზე ფიქრობენ ქვეყნის შიგნით და ურთიერთშორის დამოკიდებულების დამყარებაზე.

რა თქმა უნდა, მთავრობის თავმჯდომარის მკაცრი ტონი ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მისამართით საგულისხმო იყო მაშინაც, ოკუპაციის დროს და ოკუპაციის შემდეგაც, თუმცა ბოლშევიკებთან წაგებული ბრძოლის გასასამართლებლად ეს საბუთი არ გამოდგება. საქართველოს მთავრობაში დამკვიდრებული აზრი იმაზე, რომ „საქართველო დაეცა საერთაშორისო კომბინაციებით და მანვე უნდა გაგვიადვილოს ფეხზე წამოდგომა“ [93] ორი უკიდეურესობაა ქვეყნის დაცემისა და აღდგენის საქმეში.

6. რამიშვილის თქმით, „მთავრობის თავმჯდომარე მართალია, რომ სამი წლის განმავლობაში იძულებული იყო (ე. ი. მთავრობა) იმპროვიზებულად ეშენებინა ქვეყანა. სხვა პარტიები მას ოპოზიციაში უდგნენ და დღესაც ამას განაგრძობენ“. მან მოუწოდა ყველა პარტიას ოკუპაციის მოსპობისაკენ და „ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ერთიანი ძალით, ყველა ძალის ჩასაბმელად მიღწეული იქნება კოალიცია, ე. ი. შეთანხმება არა ძალდატანებითი, არამედ ბუნებრივი და თავისუფალი, რომელსაც საფუძვლად უნდა დაედოს, როგორც ემიგრაციის, ისე საქართველოში მოქმედი ძალების გაერთიანებული მუშაობა“ [94] (იხ. დანართი, 6-1).

მსჯელობამ მოხსენებათა გამო ფართო გამოხმაურება პპოვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან. მათ, ფაქტიურად, ბრალი დასდეს მთავრობას იმაში, რომ მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან შემდგარი მთავრობა, ე. წ., სოციალისტური კურსით საზრდოობდა და საზრდოობს დღესაც. მათ მოითხოვეს აღნიშნული კურსის შეცვლა და უშუალოდ მისი შეტანა პარტიათა შეთანხმებაში. ასევე წინ წამოიწია ყოფილი გვარდიის საკითხმა, რომლის ყველავ აღდგენის საქმეში ოპოზიციური პარტიები შიშს გამოთქვამდნენ.

---

[92] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1045.

[93] სცსსა, იქვე.

[94] იქვე.

ყოველივე ამის გამოხატულება იყო საქართველოს დემოკრატიული (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალურ-დემოკრატიული და უპარტიოთა ჯგუფი) პარტიის დელეგაციის დეკლარაცია, რომელიც გრ. ფეშაპელმა წაიკითხა კონფერენციის მე-3 სხდომაზე (სრულად იხ. დანართი — 6—2) 23 თებერვალს.

მისი თქმით: „მიზანი დღევანდელი ინტერპარტიული კონფერენციისა პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებაა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. ეს პრინციპი ყოველთვის შეადგენდა ჩვენს ლოზუნგს... ამიტომ, ჩვენი მიზანია არ დაირღვეს იგი, როგორც ეს მოხდა ეროვნული ყრილობის შემდეგ, როცა არჩეული იქნა დამფუძნებელი კრება და თუ ეს პრინციპი დამარცხდება დღეს, საშიშია იმის გამო, რომ თან არ გადიტანოს სამუდამოდ საქართველოს რესპუბლიკა"[95] რა სჭირდება შინ დამოუკიდებელ საქართველოს? სვამს კითხვას მომხსენებელი და თვითონვე იძლევა პასუხს — ჯარი და აყენებს მოთხოვნას უცხოელთა დახმარებით რეგულარული ჯარის შექმნისა, იგი მთავრობას ადანაშაულებს მის ორად გახლეჩვაში და რომ ასევე მთავრობამ აქამდე ვერ მოძებნა მოკავშირე სახელმწიფო, რომელიც რეალურად დაეხმარებოდა ქვეყანას.

ქვეყნის დაცემის მთავარი ფაქტორი, მისივე აზრით, იყო ის, რომ „ბრძოლის ველზე მოქმედ კოალიციას ვერ დაემატა პოლიტიკური კოალიცია მთავრობაში და ფაქტიურად ბრძოლის წაგება გადაწყვიტა მთავრობის იზოლაციონიზმმა. იმედია, რომ ქვეყნის ოკუპაციის დასრულების შემდეგ, საქართველოში კვლავ აღდგება ყველა კლასისა და პარტიის კოალიცია"[96]

მთავრობის პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ კონფერენციის მეორე სხდომაზე გამოვიდა კ. კობახიძე, (სრულად იხ. დანართი 6-3). მან სოციალ-ფედერალისტთა პარტიის პოზიცია გამოხატა: „დღეს უფლების მქონე მთავრობამ ვერ შეძლო საქართველოს ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია"[97], მთავრობა როგორც დამოუკიდებლობის დროს, ისე დღესაც, — აღნიშნა გამომსველელმა, — „დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს სოციალისტურ წრეებთან მუშაობას, რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს და დიპლომატიას, მას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, რომ საჭიროა ისეთი მოკავშირის მონახვა, რომლის ინ-

---

[95] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპარები, ს. 1045.

[96] სცსსა, იქვე.

[97] იქვე.

ტერესები ერთდროულად ეწინააღმდეგებიან რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესებს"[98]

კონფერენციაზე გრ. ვეშაპელის საპასუხოდ ნ. ჟორდანიამ გვარდიისა და ჯარის შესახებ განაცხადა: „ჩვენ გვარდიას შინაგანი წესრიგის დამყარება დავაკისრეთ, მაგრამ არსებულმა შინაგამოსვლებმა ის თანდათან გააფართოვა, მან რესპუბლიკის დაცვის მთავარი მისია იკისრა და მისი გაფართოება განსაკუთრებული პირობების გამო სტიქიურად ხდებოდა. რაც შეეხება მოკავშირეს, — აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ, — ეს ჩვენ ვერ შევძელით და იგი ჩვენი ბრალი არ იყო. ჯერ გერმანიას შევუკავშირდით, მაგრამ ის მალე დამარცხდა. შემდეგ ინგლისი. ჩვენ არა ერთხელ შეეცადეთ მასთან კონკრეტული მოლაპარაკების დაწყებას, მაგრამ უშედეგოდ, ინგლისს თვითონ არ ჰქონდა გარკვეული თავისი პოლიტიკა, ამავე დროს ის თავისი შინაური საქმეებით იყო გართული და ყურადღებას ვერ გვაქცევდა, ამიტომ მოგახსენებთ, — დაასკვნიდა ნ. ჟორდანია, — რომ „ჩვენ მთავრობას შეუძლია ისტორიის წინაშე არა მარტო წარსდგომა, არამედ სრული დამშვიდებით ყოფნა გასამართლებელი მსჯავრის მოლოდინში"[99]

25 თებერვლის სხდომაზე ბ. ჩხიკვიშვილმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გააკეთა განცხადება: „ეროვნულ-დემოკრატებმა სცადეს კონფერენციის მიზნით კომპეტენციის გაფართოება. მათ კონფერენცია მიიჩნიეს მათთვის ხელსაყრელ შემთხვევად, რომ ჩვენს მიმართ გამოსულიყვნენ ბრალდებებით და ჩვენს წარსულ მუშაობას ამა თუ იმ სახით ბრალი დასდებოდა. ეს მხარე მათი გამოსვლისა ჩვენ მიგვაჩნია სრულიად უადგილოდ და მიზანშეუწონლად. ყოველ ასეთ გამოსვლას მომავალში ჩვენ შევხვდებით როგორც ცდას, რომ კონფერენციამ უნაყოფოდ ჩაიაროს"[100]

მთავრობის თავმჯდომარისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის განცხადების შემდეგ, პოლემიკა თითქოს უნდა შერბილებულიყო. მაგრამ, პარტიათა შეთანხმების პროექტის განხილვისას, კვლავ თავი იჩინა აზრთა რადიკალურმა სახესხვაობამ.

კერძოდ, 26 თებერვალს, კონფერენციის მეოთხე სხდომაზე, პარტიათა შეთანხმების V თავის განხილვის დროს, წინ წამოიწია გვარდიის საკითხმა იმდენად მწვავედ, რომ კონფერენციას ჩაშლის საფრთხე დაემუქრა, მიუხედავად იმისა, V თავის გ. პუნქტი ასე ჩამოყ-

---

[98] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1045.

[99] სცსსა, იქვე.

[100] იქვე.

ალიბდა — „უცხოელი ინსტრუქტორების დახმარებით სამხედრო ძალის მოწყობა ერთისისტემიანი რეგულარული ჯარის სახით". მაგრამ გრ. ვეშაპელმა (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) ექვი შეიტანა იმაში, რომ გვარდია კვლავ აღდგენილი იქნება, მან განაცხადა: „მოვითხოვთ აქ დაფიქსირდეს, რომ გვარდია აღდგენილი არ იქნება, რადგან ჩვენ ექვი გვაქვს, რომ გვარდია თავს აღიდგენს". მასვე დაეთანხმა ექვ. თაყაიშვილი და აზრი გამოთქვა, რომ აღნიშნულ პუნქტში შეტანილი უნდა იქნეს, რომ „გვარდია სამუდამოდ გაუქმებულია".

იგივე, გრ. ვეშაპელის თქმით: „ჯარის საკითხი დიდი საკითხია და მეტადრე ამას კარგად გრძნობენ თბილისელი ამხანაგები, რადგან იქ ერთმანეთის ამბები პარტიებმა კარგად იციან და თელიან ვის რისი იმედი აქვს. ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ... ხალხმა დამარცხების საკითხი გვარდიას გადააბრალა, სხვაფრივ არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამაევ აზრისაა ოფიცრობაც. გვარდია კისრულობდა პოლიტიკური საკითხების გადაჭრასაც და ამის გვეშინიან ჩვენც"[101]

რეაქცია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან კვლავ საპირისპირო და თითქოს დასაბუთებული ჩანდა, კერძოდ, მოყვანილი იქნა მრავალი მაგალითი გვარდიის გმირობის შესახებ. გვარდიამ, მართლაც პირნათლად შეასრულა თავისი მისია, კერძოდ, რუსული ეშელონების გაყვანა, არსენალის თითქმის უსისხლოდ ხელში აღება. დუშეთის, ე. წ. ოსეთის, სამეგრელოს, სამურზაყანოაფხაზეთის პრობოლშევიკური ძალების განიარაღება. ასევე დენიკინთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან მიღწეული გამარჯვებები. გამოდიოდა რა ყოველივე აქედან, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ განაცხადა: „ჩვენი გვარდია იყო ხალხის პირმშო შვილი. თუ ჩვენმა ხალხმა რაიმეში შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინა, ეს თავდაპირველად სახალხო გვარდიის შექმნით"[102]

მიუხედავად კონფერენციის ასეთი სიმწვავისა, ხანდახან კი არაორდინალურად მძიმე წინააღმდეგობებისა და აზრთა სხვადასხვაობისა. ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები ძირითად საკითხში მაინც შეთანხმდნენ და 3 მარტის სხდომაზე მიღებული იქნა სამი მთავარი პარტიის — სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-ფედერალისტთა — ინტერპარტიული შეთანხმება, შედგენილი ცხრა მუხლად, რომელსაც უცვლელად წარმოვადგენთ:

„1. საქართველოს პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს უთანხმდებიან რუსეთის ოკუპაციის მოსასპობად და დამოუკიდებელი დემოკრატიული

---

101 სცსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს1045.

102 სცსა, იქვე.

რესპუბლიკის აღსადგენად ამ მიზნით, შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ მთელი თავისი ძალღონით იბრძოლონ ოკუპანტების წინააღმდეგ, ემზადონ გამოსვლისათვის საოკუპაციო მმართველობის გასაუქმებლად და საჭირო დამს მთელი თავისი ძალა გავლენით ამ გამოსვლაში მონაწილეობა მიიღონ.

II. საქართველოს კანონიერ მთავრობად — შეთანხმების მონაწილე პარტიები კელავინდებურად უცხოეთში მყოფ ნ. ჟორდანიას მთავრობას თელიან, რომელიც შეთანხმების ფრაქციათა წარმომადგენლებით შევსებულ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან ერთად ხელმძღვანელობს პოლიტიკურ მუშაობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენად.

III. საქართველოს ხალხის დარაზმვა, განმანთავისუფლებელი ლაშქრის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა ოკუპაციის გასაუქმებლად საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს აქვს მინდობილი. ამავე კომიტეტს ევალება ოკუპაციის გაუქმების შემდეგ უცხოეთიდან კანონიერი მთავრობის დაბრუნებამდე სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვა.

IV. მთავრობასთან ერთად უცხოეთიდან ბრუნდება დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, რომელიც დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს ერთი კვირისა) იწვევს დამფუძნებელი კრების სხდომას. დამფუძნებელი კრება მოისმენს მთავრობისა და განმანთავისუფლებელი კომიტეტის ანგარიშებს, აღადგენს კოალიციურ მთავრობას, უხსნის მათ სათანადო კრედიტებს, გამოსცემს საარჩევნო კანონს და ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს არა უგვიანეს სამი თვისა.

შეთანხმების მონაწილე პარტიებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ დამფუძნებელმა კრებამ გადასინჯოს კოალიციის ზოგიერთი მუხლი.

შენიშვნა: სხვა საკითხების განხილვა და პარლამენტის არჩევნების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს ყველა მონაწილე პარტიათა დასტურით.

V. დამფუძნებელი კრების მიერ შედგენილი კოალიციური მთავრობა განაგებს ქვეყანას პარლამენტის შეკრებამდის და მის უმთავრეს საზრუნავს შეადგენს:

ა) ოკუპაციის მიერ ნაანდერძევი ანარქიის მოსპობა და სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცება.

ბ) ევროპის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ მოკავშირეთა მოძებნა, მოწინავე ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარება და საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება.

გ) უცხოელი ინსტრუქტორების დახმარებით სამხედრო ძალის მოწყობა ერთისისტემიანი რეგულარული ჯარის სახით.

VI. პარლამენტის არჩევნებს ხელმძღვანელობს დამფუძნებელი კრების მიერ დანიშნული კოალიციური ცენტრალური საარჩევნო კომისია. ადგილობრივი არჩევნების ხელმძღვანელობა ეკუთვნის ადგილობრივ თვითმართველობას, რომელიც თავიდანვე ადგენს ყველა საარჩევნო კომისიას კოალიციურად, ადგილობრივ არსებულ პარტიათა წარმომადგენლებისაგან.

არჩევნების თავისუფლების უზრუნველსაყოფად ადმინისტრაცია და მილიცია საარჩევნო სფეროში ემორჩილებიან საარჩევნო კომისიებს.

VII. შეთანხმების მონაწილე პარტიები თავს მოვალედ სთვლიან ახალ არჩევნებამდე ქალაქთა და ერობათა საბჭომ კოალიციური გამგეობები აირჩიონ.

VIII. შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ რუსეთის ოკუპაციის დამთავრებამდე ერთი — მეორის საწინააღმდეგო, საჯარო გამოსვლები არ მოახდინონ.

IX. ამ შეთანხმებას შეუძლია შეუერთდეს არა უგვიანეს ერთი თვისა, დღიდან შეთანხმების ტექსტის დამტკიცებისა, საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური პარტიებიც იმ აუცილებელი პირობით, რომ:

ა) უცვლელად მიიღებს ამ შეთანხმებას და შეურიგდება სამი პარტიის მიერ გამოცემულ მიმართვებს.

ბ) საჯაროდ განაცხადებს, რომ ის უარყოფს რუსეთის ოკუპაციას და მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას.

პარიზი. 3 მარტი 1922 წ.

დედანს ხელს აწერენ:

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით — ნ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, ბ. ჩხიკვიშვილი; გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით — გრ. ვეშაპელი, ნ. ჯაფარიძე, რ. გაბაშვილი, გ. ალშიბაია (იგი ზოგიერთ წყაროში არ არის, გ. ც.), ექ. თაყაიშვილი, ნ. ჯაყელი, ნ. ნიკოლაძე; სოციალ-ფედერალისტთა პარტიის სახელით — სვ. მდივანი, კ. კობახიძე.

დედანთან სწორია: გრ. ვეშაპელი[103]

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის მიერ მიღებული დოკუმენტი ზოგადი ხასიათის არაა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ზოგიერთ მუხლში რაიმე გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობენ კიდევ უფრო დააკონკრეტონ საკითხები. ამ მიზნით მათ

---

[103] „ს.ესსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფირები, ს. 1047.

იმავე სხდომაზე მიიღეს ასევე ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება იმავე პრატიებისა, იგივე ხელმოწერით.

აღნიშნულ დოკუმენტს ასევე უცვლელად წარმოვადგენთ, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, და იგი შევიდა ძირითადი ხელშეკრულების შეთანხმებაში, შედგენილი ექვს მუხლად.

I. ძირითადი ხელშეკრულების მესამე მუხლში ნაგულისხმევი საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი შედგება 4 კაცისაგან. ორი სოც. დემოკრატი (მათ შორის თავმჯდომარე არჩეული იქნება მთელი კომიტეტის მიერ), ერთი ეროვნულ-დემოკრატი და ერთი სოციალისტ-ფედერალისტი.

იმ მოსალოდნელი შემთხვევისათვის, თუ რომელიმე პარტია ისურვებს შემოსვლას, ამ შემთხვევაში მისი წარმომადგენლის კომიტეტში მიღება შეადგენს უფლებას თვით კომიტეტისა, რომელიც მხოლოდ სამი მეოთხედით სწყვეტს ამ საკითხს. სხვა პარტიათა წარმომადგენლობის ან წარმომადგენლის შემოსვლის შემდეგ უნდა მოხდეს განმანთავისუფლებელი კომიტეტის შემადგენლობის გაფართოება იმ სახით, რომ ნახევარი, მათ შორის თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდეს, ხოლო მერე ნახევარი დანარჩენ პარტიებს, რომელთა შორის ხმათა განაწილება არსებული განმანთავისუფლებელი კომიტეტის უფლებას შეადგენს. ისე კი, გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიებს თანაბარი ხმები ექნებათ.

II. კოალიციური მთავრობის ნახევარი, მათ შორის თავმჯდომარე, უნდა ეკუთვნოდეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ხოლო მეორე ნახევარი მათ შორის თავმჯომარის მოადგილე — დანარჩენ პარტიებს, იმ პირობით, რომ საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა მიიღოს ერთი პორტფელით მეტი, ვიდრე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული თავმჯდომარე იწვევს კაბინეტის წევრებს პარტიებთან შეთანხმებით.

III. ყველა სხვა, საზღვარგარეთ არსებული და მომავალი ორგანიზაციებისათვის (პოლიტიკური კომისიები, საინფორმაციო ბიუროები, გაზეთი „თავისუფალი საქართველოს" რედაქცია და სხვა) შემოღებული უნდა იყოს დაახლოებითი პროპორცია, რომელიც დამტკიცებულია განმანთავისუფლებელი კომიტეტისა და კოალიციური მთავრობისათვის.

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, შევსებული ფრაქციათა წარმომადგენლობით, ყოველ კერძო შემთხვევაში აწესებს პროპორციასა და პერსონალურ შემადგენლობას ასეთი არგუმენტებისას.

IV. შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ, რომ დამფუძნებელი კრების მიერ არსებული ცენტრალური საარჩევნო

კომისიის ნახევარი, მათ შორის თავმჯდომარე, წარმოდგენილი იქნენ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ, ხოლო მეორე ნახევარი — ფრაქციათა მიერ.

V. განმანთავისუფლებელ კომიტეტში, კოალიციურ მთავრობაში ან სხვა კოალიციურ ორგანოებში ხმების თანაწორობის დროს თავმჯდომარის ხმა წყვეტს საკითხს.

VI. სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციას აწესებს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, შევსებულ ფრაქციათა წარმომადგენლობით [104]

პარტიათა შორის დადებულ არც ძირითად და არც დამატებით ხელშეკრულებას რაიმე კონკრეტული ცვლილებები არ განუცდია. ცვლილებები შეტანილი იქნა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამოკიდებლობის კომიტეტის მიერ დაარსებულ საზღვარგარეთის დელეგაციის თანამშრომლობის წესდებაში (სრულიად იხილეთ დანართი 6-4), რომელიც კონფერენციის შემდეგ, 1924 წლის 4 ოქტომბრის მთავრობის სხდომაზე იქნა დამტკიცებული. ამ ცვლილებებით, ნაწილობრივ, გაიზარდა მთავრობის კომპეტენცია. კერძოდ, განმანთავისუფლებელი კომიტეტის საზღვარგარეთელ ბიუროსთან ერთად მთავარი საკითხების გადასაწყვეტად უკვე მთავრობაც აქტიურად ჩაება. ასევე შეერთებული სხდომების მოწვევაც მთავრობის თავმჯდომარის ფუნქციებში შევიდა.

უმთავრესი ნაყოფი ინტერპარტიული კონფერენციის მუშაობისა იყო — ინტერპარტიული კომიტეტის შექმნა, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთის ორგანიზაციების საკოორდინაციო ცენტრს, ისევე, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი — ამაკე პარტიების ორგანიზაციულ გაერთიანებას თვით საქართველოში".

ამავე დროს, ინტერპარტიული კომიტეტი წარმოადგენდა საქართველოს მთავრობისა და დამოუკიდებლობის კომიტეტის ერთგვარ მაკავშირებელ რგოლს. ასევე, იგი აღჭურვილი იყო საკანონმდებლო უფლებებით და, ერთგვარად, პარლამენტის უფლებების მქონე ორგანიზაციასაც კი უტოლდებოდა, მოწყობილს პარიტეტის საფუძველზე.

ინტერპარტიული კომიტეტის არსში, მის დანიშნულებასა და ფუნქციებში რომ უფრო კარგად გავერკვეთ, აუცილებლად მიგვაჩნია მოვიყვანოთ მისი ყველა დებულება, რადგან ეს დებულებანი, ასევე პარ-

---

[104] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1045-1047.

ტიათა შეთანხმების მუხლები, საფუძვლად დაედო საქართველოში შექმნილ დამოუკიდებლობის კომიტეტის წესდებას.

ინტერპარტიული კომიტეტის დებულებანი შედგენილია თითხმეტ მუხლად, აღნიშნულ პარტიათა და მთავრობის წევრთა დამოწმებით.

I. საზღვარგარეთ საქართველოს პოლიტიკური ინტერესების მოსაგელად და საერთო მთლიანობის და შემოქმედების შესატანად ამ მიზნით წარმოებულ მუშაობაში პოლიტიკური პარტიები ქმნიან საერთო ორგანულ ცენტრს — ინტერპარტიული კომიტეტის სახელწოდებით.

II. ინტერპარტიული კომიტეტი წარმოადგენს საქართველოში აქტიურად მებრძოლი პარტიების საზღვარგარეთის ორგანიზაციულ გაერთიანებას, სწორედ ისე, როგორც საქართველოს დამკომი წარმოადგენს იმავე პარტიების ორგანიზაციულ გაერთიანებას თვით საქართველოში.

საქართველოს ინტერპარტიული კომიტეტი განუწყვეტელ ურთიერთობაშია იმ პარტიებთან და მათ ცენტრებთან, დამოუკიდებლობის კომიტეტთან და აქ, უცხოეთში, გამოსახავს დღევანდელი მებრძოლი საქართველოს სულისკვეთებას და პოლიტიკურ ხასიათს.

III. მთავრობა — ეს საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელია საზღვარგარეთ და მოქმედი მისი სახელით, ვინაიდან იგი მოწყვეტილია პოლიტიკური მოქმედების ნორმალურ წყაროს — ხალხს და პარლამენტს — უშუალოდ ურთიერთობაში შედის ცოცხალ ინტერპარტიულ ცენტრთან, რომელიც აქ წარმოადგენს დღევანდელი მებრძოლი საქართველოს მოქმედ პარლამენტს.

IV. მთავრობა მისგან ღებულობს საერთო პოლიტიკის, ფინანსური საკითხების და ეკონომიური კონცენსიების დირექტივებს. ამ დირექტივების ფარგლებში მთავრობა დამოუკიდებლივ მოქმედებს. მთავრობა პასუხს აგებს თავის მოქმედებაში ინტერპარტიული კომიტეტის წინაშე და მას უდგენს თავის მოქმედების ანგარიშს ორ კვირაში ერთხელ.

V. ამ დირექტივების გაცემას წინ უძღვის მთავრობის, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და ინტერპარტიული კომიტეტის საერთო სხდომები ინტერპარტიული კომიტეტის მიერ მოწვეული. ამ სხდომებზე ხდება დამსწრეთა პირების სრული დემონსტრაცია, რის შემდეგაც ინტერპარტიული კომიტეტი ცალკე თავის წრეში წყვეტს უბრალო ხმის უმეტესობით საერთო პოლიტიკურ მიმართულებასა თუ ფინანსურ-ეკონომიურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

VI. ინტერპარტიული საქმე ირჩევა ინტერპარტიული კომიტეტის პრეზიდიუმის, მთავრობის თავმჯდომარის ან მოადგილის საერთო სხდომაზე და ამ წრეში საკითხები წყდება აგრეთვე ხმის უმეტესობით.

საერთო სხდომებს თავმჯდომარეობს ინტერპარტიული კომიტეტის თავმჯდომარე ან, როცა არ არის, მისი მოადგილე.

VII. ინტერპარტიული კომიტეტი ეწყობა პარიტეტის საფუძველზე. სახელმწიფო თანხიდან მას აქვს თავისი ბიუჯეტი ტექნიკური მუშაობის საწარმოებლად. თავის დადგენილებებს იგი გადასცემს მთავრობას სისრულეში მოსაყვანად.

VIII. მთავრობას შეუძლია, როცა საჭირო იქნება, თვითონ აიღოს ინიციატივა საერთო სხდომებზე ზემოთ აღნიშნული ხასიათის საკითხების დაყენებისას. ამ მიზნით მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს ინტერპარტიული კომიტეტის პრეზიდიუმში.

IX. ინტერპარტიულ კომიტეტს აქვს საკუთარი ურთიერთობის აპარატი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან, როგორც ყველა პოლიტიკური პარტიის კოალიციურ ცენტრებთან და უგზავნის მას ბიუჯეტით გადადებულ თანხას.

X. მის ხელშია მთელი ინფორმაციის საქმე. იგი რედაქტორობს, როგორც ევროპაში გასავრცელებელს, ისე საქართველოში გასაგზავნ ცნობებს.

XI. იგი გადახედავს და ამტკიცებს შტატს და ბიუჯეტს — საზღვარგარეთ პოლიტიკური მუშაობისათვის. სალაროდან ფულის გამოსატანად საჭიროა ინტერპარტიული კომიტეტის მდივნის გრიფი.

XII. ბიუჯეტის გარეშე ხარჯის გაღებას ესაჭიროება კომიტეტის დასტური.

XIII. ინტერპარტიული კომიტეტი იძიებს საქართველოდან წამოღებული ფულის და ქონების რაოდენობას და რევიზიას ახდენს დღემდე გაწეული ხარჯებისას.

XIV. ინტერპარტიული კომიტეტი აარსებს სტამბოლში თავის წარმომადგენლობას, ხოლო ევროპის სხვა ქვეყნებში საჭიროების მიხედვით გზავნის თავის წარმომადგენელს[105]

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე ა. ჩხენკელისა და ირ. წერეთლის ინფორმაციები საერთაშორისო მდგომარეობისა და ევროპის ხალხებისადმი მიმართვასთან დაკავშირებით. პოლიტიკურ პარტიათა დეკლარაციაში, რომელიც მიღებულ იქნა 6 მარტის სხდომაზე, ნათქვამი იყო: „1922 წლის თებერვალში, რუსეთის შემოსევის წლისთავზე, მთელი საქართველო ფეხზე დადგა. მუშათა კლასმა, გლეხკაცობამ და მოსწავლე ახალგაზრდობამ დემონსტრაციები და გაფიცვები მოაწყვეს, ერთსულოვნად მოთხოვეს საოკუპაციო ჯარის გაყვანა და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. ქართველი ერი და საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია რუსეთის სამხედრო ოკუ-

---

105 სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1049.

პაციას ებრძვის და ამ ბრძოლაში საჭიროა მთელი ძალების გაერთიანება"[106]

ასევე დეკლარაციიდან გამომდინარე, მოწოდება აცნობებდა მსოფლიო ხალხებს და მთავრობებს, რათა მხედველობაში მიეღოთ დამფუძნებელი კრების წევრთა 93 პროცენტის ნება-სურვილი, რომ:

1. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება, ხელშეკრულებათა დადება და კონცენსიათა გაცემა შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ ნ. ჟორდანიას მთავრობას.

2. ყოველგვარი კონცენსია და ხელშეკრულება დადებული ზემოთ ნაჩვენები წესის დარღვევით რუსეთის საოკუპაციო მმართველობის მიერ ქართველი ხალხისათვის სავალდებულო არ არის და ყოველივე მნიშვნელობას მოკლებულია.

3. საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და თავისი საოკუპაციო რეჟიმი დააწესა, რომელიც დღემდის გრძელდება. ასეთი აქტი რუსეთისა სრულიად ეწინააღმდეგება კანის რეზოლუციის მეექვსე მუხლს, რომელიც სავალდებულოა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მთელი ქართველი ხალხის სახელით მოვითხოვთ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას და ოკუპაციის გაუქმებას, რასაც მოჰყვება რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ დაწესებული კანონიერი რეჟიმის აღდგენა.

4. თუ ეს სამართლიანი მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებული საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა თანახმად, ქართველი ხალხი იძულებული გახდება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშუალებებს კანონიერ სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენად[107]

დეკლარაციაში გამოთქმული მოთხოვნებიდან, უდავოდ, მნიშვნელოვანია ორი: პირველი ეხება „კონცენსიათა" საკითხს, რომელსაც კარგად იყენებდა საოკუპაციო რეჟიმი, გამოეყენებინათ საქართველო „კაპიტალისტურ დასავლეთთან კონცენსიებისა და საქონელგაცვლის პოლიტიკაში"[108]

პარტიათა დეკლარაციაში გამოთქმული მიმართვის დედააზრი კი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ დასავლეთის მთავრობებს არ

---

[106] ციტ: რ. გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 10-11.

[107] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1045.

[108] იხ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 7, თბ., 1976, გვ. 59-60.

გადაედგათ მსგავსი ნაბიჯი ბოლშევიკებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გზაზე.

ასევე საინტერესოა მეორე საკითხი, იგი შეეხება დეკლარაციის მე-4 პუნქტს, რომელშიც პოლიტიკურმა პარტიებმა, განაცხადეს რა ქართველი ხალხის ნება, ამცნეს კაცობრიობას, რომ საქართველოს მშვიდობიანი დეოკუპაციის პირობების შეუსრულებლობა სამართლიანი ბრძოლის გზაზე დააყენებდა მთელ ერს.

დაბოლოს, კონფერენციაზე გაკეთებულ მიმართვათა შორის, უაღრესად მნიშვნელოვანია ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების მიმართვა ქართველი ხალხისადმი, მათდამი, ვისაც რეალურად უნდა ეტვირთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე. მიმართვას ხელს აწერენ: ნ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, გრ. ვეშაპელი, ლ. ჯაფარიძე, ექვ. თაყაიშვილი, რ. გაბაშვილი, სვ. მდივანი, კ. კობახიძე. მასში ნათქვამია:

„ერის განთავისუფლება, პირველ ყოველისა, თვით ერის საქმეა. მხოლოდ ის ერი, რომელიც თავისუფლების დროშით ხან ფარული, ხან აშკარა ბრძოლას განაგრძობს, ღირსია დამოუკიდებლობისა... ჩვენ, სამი მთავარი პარტიის წარმომადგენლები, გაერთიანდით რა საქართველოს განთავისუფლების დროშის ქვეშ, კარგად ვიცით, რომ ეს არის დროშა მთელი საქართველოსი და მთელი ხალხი დაირაზმება ამ დროშით“ [109]

ინტერპარტიულ კონფერენციაზე შექმნილ ინტერპარტიულ კომიტეტში შევიდნენ: ნ. ჩხეიძე (თავმჯდომარე), ამხანაგებად: გრ. ვეშაპელი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), სვ. მდივანი. შემდეგში ს. ფირცხალავა (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია). მდივნებად — რ. გაბაშვილი (ეროვნულ-დემოკრატი), კ. კობახიძე (სოც. ფედ.), ბ. ჩხიკვიშვილი (სოც. დემოკრატი).

1924 წლის დაარსებულ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაციის შემადგენლობაში შევიდნენ: ნ. ჩხეიძე (თავმჯდომარე), ამხანაგებად: სპ. კედია (ეროვნულ-დემოკრატი), ს. ფირცხალავა (სოციალ-ფედერალისტი) და ი. გობეჩია (სოც.-რევოლუციონერი), ხოლო ინტერპარტიული კომიტეტისა და საზღვარგარეთის დელეგაციიდან მთავრობასთან კონსპირაციული საქმიანობისათვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან სხვადასხვა დროს არჩეული იყვნენ 1922 წელს გრ. ვეშაპელი, 1924 წელს სპ. კედია, 1925 წლიდან კი — გ. გვაზავა.

ინტერპარტიული კომიტეტის დებულების თანახმად ევროპის ქვეყნებში დაარსდა პოლიტიკური კომისიები.

---

[109] სცსსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1951.

1922 წლის მარტში ბერლინში ინტერპარტიული კომიტეტის დაარსებულ პოლიტიკურ კომისიაში შეეიდნენ: ი. სალაყაია (თავმჯდომარე), შემდეგში ვლ. ახმეტელი და ა. ყორყოლიანი (სოციალ-დემოკრატიული პარტია), ა. პაპაეა და დ. იოსელიანი (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია), ტ. მარგველაშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია) და უპარტიონი — გ. კერესელიძე და მიხ. წერეთელი[110]

კონსტანტინოპოლში შექმნილ პოლიტიკურ კომისიას სათავეში ჩაუდგა ნ. ხომერიკი (თავმჯდომარე), ხოლო შემდგომში კ. გვარჯალაძე (სოც. დემოკრატი), ასევე სხვადასხვა დროს მასში შედიოდნენ პ. სურგულაძე, ლ. ჯაფარიძე (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), ვ. წულაძე, ს. გოგოლაშვილი (სოციალ-დემოკრატიული პარტია), სვ. მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია)[111]

ინტერპარტიულ კონფერენციაზე ინტერპარტიული კომიტეტის შექმნამ დაიჩქარა საქართველოში მოქმედი პარტიებისა და ძალების საბოლოო გაერთიანება. ეს კონფერენციის, უდავოდ, ყველაზე დიდი შედეგი იყო.

კონფერენციის გადაწყვეტილებებისა და ინტერპარტიული კომიტეტის დებულებათა საფუძველზე, 1922 წლის აპრილში, საქართველოში უკვე ოფიციალურად გაფორმდა დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელზეც მიღებულ იქნა საგანგებო ხელშეკრულება იმ პოლიტიკური პარტიების მიერ, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი ბრძოლაში საოკუპაციო რეჟიმთან. შეთანხმების ტექსტი „დამკვიდრების" თავმჯდომარემ გ. ფალავამ 1922 წლის 5 მაისს, პარიზში გაუგზავნა ნ. ყორდანიას.

ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ საქართველოს გადთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატიული; გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული; სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელი სოც-დემოკრატიული ვდებთ შემდეგ ხელშეკრულებას:

— დაარსდეს — „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" აღნიშნულ პარტიათა თითო წარმომადგენლისგან. კომიტეტს დაეკისრა გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს გასათავისუფლებლად მიმართული მთელი მუშაობისა.

---

110 სცსსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფილმები, ს 954

111 სცსსა. იქვე.

— დამოუკიდებლობის კომიტეტი მზარს უჭერს მთავრობის მუშაობას. მთავრობა კი არ დგამს რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლად.

— მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ნიეთიერი საშუალებანი ეხლოლ დამკომს[112]

აღნიშნულ ხელშეკრულებაში არის აგრეთვე სხვა პუნქტები, რომლებიც გარდამავალ ხანაში დროებით მმართველობას შეეხება და იგი, ძირითადად, ეთანხმება ინტერპარტიული კომიტეტის დებულებებსა და კონფერენციაზე პარტიათა შეთანხმების პირობებს (სრულიად იხ. დანართი ნ-5).

საინტერესოა, ასევე, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის გ. ფალავასა და მდივნის ი. ჯანელიძის წერილი მთავრობის თავმჯდომარისადმი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„ქართველ ხალხს აქვს რწმენა, რომ არსებული რეჟიმის განმტკიცება შეუძლებელია. მათ სწამთ, რომ შველა დასავლეთიდან მოდის და ამ ნიადაგზე ხშირად ლეგენდებსაც თხზავს... ამიტომ, დამოუკიდებლობის კომიტეტს ესაჭიროება სწორი და უშუალო ცნობები თქვენგან იმის შესახებ, თუ რას მიაღწიეთ თქვენი მოქმედებით ამ მხრივ საერთაშორისო ასპარეზზე და როგორ გაქვთ განზრახული თქვენი მოქმედების განვითარება შემდეგისათვის"[113]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წერილში დასმული კითხვა მთავრობის თავმჯდომარისადმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს მოგვიანებით, როცა საქმე შეეხება 1924 წლის აჯანყებას. ამაზე შემდეგ პარაგრაფში.

ახლა შევჩერდეთ საკითხზე, რომელიც ხშირად ორაზროვნებას იწვევდა და იწვევს დღესაც, კერძოდ, „პარიტეტულ კომიტეტზე"[114].

როგორ შემოდის ეს ტერმინი ხმარებაში. რომელი უფრო უპრიანია: დამოუკიდებლობის კომიტეტი, დამოუკიდებლობის პარიტეტული კომიტეტი, ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტი თუ პარიტეტული კომისია.

საბჭოურ წყაროებში ხშირად ვხვდებით ასეთ ტერმინს — დამოუკიდებლობის პარიტეტული კომიტეტი, ან უბრალოდ — პარიტეტული კომიტეტი, ასევეა იგი ნახმარი ლიტერატურაში. მსგავსი შეხედულებანი არის აგრეთვე ზოგიერთ ენციკლოპედიურ გამოცემაში, თუმცა

---

112 სცსსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1048.

113 სცსსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1048.

114 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1976, ტ. VII, გვ. 182-209.

ჩვენ მიერ მოძიებულ წყაროებში ასეთი გამოთქმა არ გვხვდება. მაგრამ, მაინც საინტერესოა, რომელია სწორი და სად რომელი გამოთქმის ხმარება იქნებოდა უფრო მისაღები.

ინტერპარტიულ დებულებათა I მუხლში აღინიშნა, რომ პოლიტიკური პარტიები ქმნიან საერთო ორგანულ ცენტრს პარიტეტის საფუძველზე. VII მუხლით კი თვით ინტერპარტიული კომიტეტი იწყობა პარიტეტის საფუძველზე, ხოლო მერვე მუხლით — ინტერპარტიულ კომიტეტს აქვს საკუთარი ურთიერთობის აპარატი დამოუკიდებლობის კომიტეტთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსად არ არის ნახმარი, არც ინტერპარტიულ კომიტეტთან და არც დამოუკიდებლობის კომიტეტთან მიმართებაში „პარიტეტული კომიტეტი", გარდა ერთისა, რომ ო

. როგორც ინტერპარტიული კომიტეტი, ასევე „დამკომი" იწყობა პარიტეტის საფუძველზე. „დამკომის" ხელშეკრულების მე-5 პუნქტში ნახსენებია კოალიცია, ხოლო მე-10 პუნქტში მოდის როგორც პარიტეტული კომისია, ისე პარიტეტული კომიტეტი (იხ. დანართი ნ-5). მაგრამ სხვა შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როცა დამოუკიდებლობის კომიტეტი ასრულებს თავის ფუნქციას (ქვეყნის დოკუპაციის შემდეგ. გ. ც.), და იგი ძალაუფლებას გადასცემს დამფუძნებელ კრებას, ე. ი. როცა შესრულებული იქნება მე-10 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება: „დამფუძნებელი კრება უხსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო საგამომძიებლო პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზების გამოსარკვევად, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშლება"[115] აქედან გამომდინარე. პარიტეტული კომისიის ან პარიტეტული კომიტეტის შექმნა უნდა მომხდარიყო საქართველოს განთავისუფლების შემდეგ, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების თანახმად.

1924 წლის აჯანყების მონაწილე პირთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მათ, ამავე დროს, ბრალი ედებათ „პარიტეტული კომიტეტის" წევრობაში. ი. ჯაველიშვილი კი ამბობს: „რომ ეიყავი დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი მისი არსებობიდან უკანასკნელ დღემდე" ასევე ყველა მიმართვა და მათ შორის უკანასკნელიც „დამკომის" სახელითაა მოხსენიებული და არსად არ გვხვდება „პარიტეტული კომიტეტი".

აღნიშნული საკითხის გასარკვევად, ასევე საინტერესო უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები (ყველა მათგანი დათარიღებულია 1924 წლის მაისის თვით). პირველი შეეხება „დამკომის" თავმჯდომარის კ. ან-

---

115 სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1048.

ლრონიკაშვილის წერილს მთავრობისადმი. მასში ნათქვამია: „თქვენგან გამოგზავნილი პარტიათა და მთავრობის შეთანხმების შესახებ დამკომმა არ დაადასტურა და ძალაში დატოვა „სტატუს ქვო" ე. ი. აქ დადებული ხელშეკრულება. მხოლოდ გაუქმა მაქაური პარტიათა წარმომადგენლობა და დააარსა პარიტეტული კოლეგია. დაგპირდით ამ კოლეგიაში წარმომადგენლების დანიშვნას, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან კარლო ჩხეიძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან სპ. კედია. კოლეგიას ევალება, აწოდოს დამკომს ინფორმაცია მთავრობასთან ერთად"[116]

ამ წერილიდან გამომდინარე, არანაკლებ საინტერესოა მეორე, ნ. რამიშვილის 1925 წლის 8 მაისის წერილი ნ. ჟორდანიასადმი, სადაც ავტორი, ყოველივე ზემოთქმულის შესახებ, აზრს უზიარებს მთავრობის თავმჯდომარეს:

„27 მარტს დამკომმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც —

1) უქმდება დამფუძნებელი კრების, როგორც გაფართოებული, ისე ვიწრო პრეზიდიუმი. შემდეგ — დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე შედის პარიტეტულ კოლეგიაში, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი.

2) პარიტეტული კოლეგია არსდება, როგორც განსაკუთრებული ორგანიზაცია. მას უფლება ეძლევა მთავრობასთან ერთად მიაწოდოს დამკომს ინფორმაცია, გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საქართველოში მოხსენების გასაკეთებლად, მოისმინოს მთავრობის მოხსენება პოლიტიკური მუშაობის შესახებ და აწარმოოს ხაზინის კონტროლი"[117]

ამის გაკეთება არ შეიძლება, მიუთითებს ნ. რამიშვილი, რადგან ეს არღვევს 1922 წლის აპრილის ხელშეკრულებებს და ამავე დროს საკითხავია, რამდენად მოხერხებული იქნება ეს დიპლომატიური და კონსპირაციული მოქმედებით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნ. რამიშვილის რჩევის საწინააღმდეგოდ, 1924 წლის 18 მაისის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების დადგენილებით „დამკომის" მოწერილობა —პარიტეტული კომიტეტის დაარსების შესახებ მიღებული იქნა შესასრულებლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ უფრო უპრიანი იქნება „პარიტეტული კომიტეტის" გაიგივება ინტერპარტიულ კომიტეტსა და დამკომის შუალედურ ორგანოსთან მიმართებაში. რაც შეეხება დამოუკიდებლობის პარიტეტულ კომიტეტს ჩვენ მიერ მოძიე-

---

[116] სცსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს, 1319.

[117] სცსა. იქვე.

ბულ მასალებში იგი არ გვხვდება. თუმცა ასეთი გამოთქმის ხმარება არ უნდა იწვევდეს რაიმე გაუგებრობას.

და ბოლოს, დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში რა როლი ითამაშა პარტიათა შეთანხმებამ, ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ არსებული რეჟიმის წინააღმეგ და კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმა მოუხდათ, ამაზე შემდეგ პარაგრაფში.

3. საქართველოს ეროვნული გამოსვლები და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ფაქტი, რომ ქართველობა ოდესმე შეგუებოდა მისდამი თავს მოხვეული რეჟიმს. ასე მოხდა 1921 წლის თებერვალ-მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგაც, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ქართველ პოლიტიკური მოღვაწეთა დიდი ნაწილი ემიგრაციაში აღმოჩნდა, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ „პერმანენტული" ბრძოლა, რომლის უმთავრესი მიზანი დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, გაგრძელდა.

დაიპყრო რა წითელმა არმიამ საქართველო, საბჭოთა მთავრობამ ხელის ერთი დაკვრით მოინდომა ქვეყნის „ბოლშევიკურ რელსებზე" გადაყვანა. თუმცა, თქმა იმისა, რომ კრემლმა, ე. წ. „ლოიალობის" პოლიტიკა აირჩია გამომდინარე ვ. ი. ლენინის 1921 წლის 2 მარტისა და 14 აპრილის წერილებიდან, ასევე 9 აპრილის დეპეშიდან ს. ორჯონიკიძისადმი „დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა"[118] განხორციელებულიყო ქართული ინტელიგენციისა და ყველა წერილბურჟუაზიული ელემენტებისადმი, არ გამართლდა, თვით დამპყრობლის რეპრესიული ბუნებიდან გამომდინარე. ამიტომ წინააღმდეგობამ, ბოლშევიკების რეპრესიების საპირისპიროდ, საზოგადოების ყველა ფენა და კლასი მოიცვა.

ჩვენთვის გასაკვირი და საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ ანტისაბჭოური გამოსვლები, როგორც ძალისმიერი, ისე მშვიდობიანი, საზოგადოების ურყევ ნებად იქცა. მართალია, ძალები არათანაბარი იყო, მაგრამ, როგორც მთავრობა, რომელმაც იძულებით დატოვა ქვეყანა, ისე ერის მებრძოლი ნაწილი, რომელიც პირისპირ აღმოჩნდა დამპყრობელთან, დარწმუნდა იმაში, რომ ქვეყნის ხსნისათვის სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. ეს დაადასტურა ევროპის ქვეყნების უარყოფითმა დამოკიდებულებამაც ქართული საკითხისადმი.

დამოუკიდებლობის დაკარგვის, ერის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის განდევნის გარდა, ბოლშევიკებთან წინააღმდეგობას სხვა მრავალი ფაქტორიც განაპირობებდა. დაიპყრეს რა ქვეყანა, ბოლშევიკებმა დაიწყეს მისი ახლებური მოწყობა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ 1921 წლის 21 მარტის საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკლარაცია,

---

[118] იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 59-60.

რომელიც 1921 წლის დეკემბერში საბჭოთა ხელისუფლებამ შეცვალა (სტატუსით საქართველოს ფარგლებში, ხოლო 1931 წლის 20 თებერვლის დადგენილებით, აფხაზეთი გარდაიქმნა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად), ასევე, რევკომის 1921 წ. 16 ივლისის დეკრეტით მიღებულ „ლაზეთის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა"; ხოლო 1921 წლის 31 ოქტომბრის რკკ (ბ) კავბიუროს დადგენილებით გამოცხადდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, რომელიც პრაქტიკულად 1922 წელს ვანბორციელდა. ასეთი ნაბიჯის გადადგმით კომუნისტური პარტია მიზნად ისახავდა: 1) „მენშევიკური ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის მავნე შედეგების აღმოფხვრას საქართველოში. 2) რესპუბლიკის, ისტორიულად დაბეჩავებულ ცალკეულ მხარეთა კულტურული და ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას 3) დამარცხებული კლასების და ანტისაბჭოთა პარტიების იდეურ განიარაღებას და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას მიელ საქართველოში 4) განაპირა მხარეთა მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში 5) საქართველოს მშრომელთა ეკონომიური და კულტურული ცხოვრების აღმავლობას, ქართველი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციას ახალ, სოციალისტურ საფუძველზე".[119]

სინამდვილეში კი, ყოველივე ეს იყო უკუპროცესი, რომლის ნეგატიურმა შედეგებმა აფხაზი და ოსი ხალხების ცნობიერებაში იჩინა თავი, რომლის გამოხატულება დღეს ჩვენში მიმდინარე უარყოფითი პოლიტიკური შედეგებია.

ასევე, 1922 წელს, ამიერკავკასიის ფედერაციაში შეყვანის შემდეგ, საქართველომ საბოლოოდ დაკარგა ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ხოლო იმავე წლის სსრ კავშირში გაერთიანების შედეგად, საქართველოს წაართვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ის უკანასკნელი იმედი, რომელიც მას გასაბჭოების შემდეგ შერჩა. ამ ფაქტით აიხსნება სწორედ, ე. წ. „ნაციონალ უკლონიზმი"-ს წარმოშობა, რომელმაც თვით საქართველოს კომპარტიის უმაღლეს ეშელონებშიც კი იჩინა თავი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, თითქოს, ე. წ. „ლოიალობის" პოლიტიკა აირჩიეს, სინამდვილეში ისინი ხან ფარულად, ხან აშკარად მოქმედებდნენ. ადგენდნენ სიებს იმ პირებისას, რომლებიც, ასე თუ ისე, მხარს უჭერდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას ან 1921 წლის თებერვალ-მარტში იბრძოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ხდებოდა ერის

---

[119] იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 59-60.

ებრძოლი ნაწილის გეგმაზომიერი გაცხრილვა, ზოგის დაპატიმრებით და გადასახლებით, ზოგის კი დახვრეტით.

ამ მხრივ, განსაკუთრებული გააქტიურება დაიწყო 1921 წლის ივლისიდან, სტალინის თბილისის მუშებთან შეხვედრის შემდეგ, როცა მათ არ აპატიეს „ბელადს" სიმართლის ფეხქვეშ გათელვა. ყოველივე ამის შემდეგ თითქოს სტალინს ეთქვას — „თბილისს ოქტომბრის რევოლუციის უთო უნდა გადაესვასო"[120]-ო.

„უთოს გადასმა", უპირველესად, გამოიხატა თბილისის მუშათა კლასის ყველაზე აქტიურ, განსაკუთრებით ძველ გვარდიაზე შეტევით.

შეუძლებელია, ამ მოვლენებს უკურეაქცია არ მოჰყოლოდა საზოგადოების მხრიდან. იმატა როგორც მშვიდობიანმა ანტიბოლშევიკურმა გამოსვლებმა, ისე საპროტესტო აქციებმა და მანიფესტაციებმა.

საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპრყრობის ერთი წლისთავზე, 1922 წლის თებერვალში, მთელ საქართველოში გაიმართა სამგლოვიარო და საპროტესტო დემონსტრაციები, რომელსაც პოლიტიკური რეპრესიები მოჰყვა. თბილისსა და შორაპანში დემონსტრანტებს ტყვია დაუშინეს, ხოლო იმავე წლის მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, გურიაში, სოფელ ფიჩხის — ჯვარში დანიშნულ მიტინგს კომუნისტებმა ყუმბარა ესროლეს. რის შედეგადაც რამდენიმე კაცი დაიღუპა, 40-ზე მეტი კი დაიჭრა. ციხეებსა და გადასახლებაში მოხვდა ასობით, ხოლო უდანაშაულოდ დაიხვრიტა ათობით ადამიანი.

ქართველი საზოგადოება ყოველივე მომხდარის გამო აცნობებდა ევროპის როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთელ კაცობრიობას. იგი მრავალ წერილსა თუ მიმართვაში გამოხატავდა იმ ურყევ რწმენას, რომ „განათლებული კაცობრიობა" ხმას აიმაღლებდა საქართველოში მომხდარი მოვლენებისადმი.

1922 წლის 30 მარტის, უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის სახელით (სულ 500 ხელმოწერა) ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდობისადმი მიმართვაში ვკითხულობთ: „უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ ეროვნული თავისუფლებისათვის იმ იდეითა და რწმენით, რომ ქართველი ერი კვლავ დააღწევს თავს რუსეთის მონობას, აღადგენს თავის დამოუკიდებლობას და კვლავ მოგვეცემა საშუალება განვაგრძოთ ოკუპანტების ტერორისაგან ჩახშობილი სამეცნიერო მუშაობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში მთელი თქვენი თანაგრძნობა

---

[120] იხ: ვ. მგელაძე. რუსეთის მობრუნება საქართველოში. თბ., 1991 გვ. 24.

ჩვენს მხარეზე იქნება და ყოველგვარი სამუშაოებით ხელს შეუწყობთ ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს".[121]

ასევე საგულისხმოა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის მთავარი კომიტეტის მიმართვა ევროპის ერებისადმი ქართველი ინტელიგენციის სახელით: 1) აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა 2) დაუყოვნებლივ გაყვანა საოკუპაციო ჯარებისა 3) სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიულ საფუძველზე აღდგენა 4) საქართველოში ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ყოველმხრივ განვითარებას.[122]

აღნიშნული ხასიათის წერილები, მიმართვები იგზავნებოდა მუშათა ორგანიზაციების, პარტიათა, საზოგადოების თუ პატიმართა მხრიდან, რომელთაც, ძირითადად, კოლექტიური ხასიათი ჰქონდა.

ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, საქართველოში მომწიფდა პოლიტიკური პირობები არსებული რეჟიმის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო გამოსელისათვის, ეროვნული სახელმწიფოებრიობის კვლავ აღდგენისათვის. შედეგმაც არ დააყოვნა.

1921 წლის შემოდგომაზე დაიწყო და რამდენიმე თვე მიმდინარეობდა სვანეთის აჯანყება. იგი მალე რაჭა-ლეჩხუმსაც მოედო. აჯანყებულებმა დაამხეს რევკომების ხელისუფლება და ხელში აიღეს ძალაუფლება. მათ საოკუპაციო ჯარების ორი პოლკი დაამარცხეს და 2 ოქტომბერს დაატყვევეს 500 წითელარმიელი. ნომებმერში აჯანყებულებმა დელეგაცია გაგზავნეს თბილისში, რომელმაც საქართველოს რევკომს მოსთხოვა ჯარების გაყვანა, ოკუპაციის მოხსნა და ხალხისთვის თავისუფალი არჩევნების უფლების მინიჭება.

ხელისუფლება ყოყმანობდა და შესაფერ დროს ეძებდა გასწორებოდა აჯანყებულებს. 1922 წლის მარტში ცაგერის მხრიდან სვანეთს შეუტია წითელმა არმიამ, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. სვანებმა ტყვედ იდგეს თითქმის სამი ასეული ჯარისკაცი.

ბოლშევიკები ეტაპობრივად განაგრძობდნენ ბრძოლას. აჯანყებულები, ფაქტიურად, დახმარების გარეშე დარჩნენ, მცირე გამონაკლისის გარდა. ერთი ასეთი დახმარება გაუწევია „წარმოკავშირის" თავმჯდომარეს ივანე ციციშვილს, რომელმაც 10 მილიონი მანეთი

---

[121] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფირები, ს. 858.

[122] სცსსა, იქვე.

გადასცა დავით ვაჩნაძის ხელით მის მეთაურებს ნ. გარდაფხაძესა და მ. დევდარიანს.[123]

სვანეთის აჯანყებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში და აჯანყების საკითხი გენუის კონფერენციაზე დაისვა, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ.

სვანეთ-რაჭა-ლეჩხუმში დატრიალებული ამბები ნ. ჟორდანიამ დეპეშით ამცნო მეორე და ვენის ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის მდივნებს — რ. მაკდონალდსა და ვ. ადლერს და სთხოვა მათ, მიეღოთ ზომები, რათა მოსკოვს შეეჩერებინა სამხედრო მოქმედება საქართველოში, ჩამოეგდო დროებითი ზავი და მიეღო ინტერნაციონალის შუამდგომლობა კონფლიქტის სალიკვიდაციოდ. ნ. ჟორდანია მოითხოვდა, აგრეთვე, საქართველოს საკითხი დაეყენებინათ სამივე ინტერნაციონალის ერთობლივ, 9 კაცისაგან („ცხრათა კომისია") შემდგარ კომისიაში.[124]

1922 წლის 23 მაისს ბერლინში შედგა „ცხრათა კომისიის" სხდომა, რომელზეც რ. მაკდონალდმა მეორე ინტერნაციონალის სახელით გააკეთა ვრცელი მოხსენება და ილაპარაკა იმ საშინელ მდგომარეობაზე, რომელსაც საქართველოში ჰქონდა ადგილი.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ ასევე საინტერესოა მაკდონალდის წერილი კრასინისადმი (I. VII. 1992 წ.), სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ „მეორე ინტერნაციონალის მთავარი კომიტეტი იხილავს საკითხს საქართველოს შესახებ და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისცეს წინადადება ბოლშევიკურ მთავრობას რეფერენდუმის გზით ქართველმა ხალხმა აირჩიოს მისთვის სასურველი მთავრობა".[125] საინტერესოა აღნიშნული წერილის ტონი — მაკდონალდი, ასე ვთქვათ, „მოფერებით" ატყობინებს ამას კრასინს და სთხოვს შეატყობინოს ყოველივე საბჭოთა მთავრობას, თუ რა აზრისა იქნებიან ისინი. მართალია, ბოლშევიკებმა აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ სვანეთის სრული დამორჩილება 1924 წლის ბოლომდე მათ ვერ მოახერხეს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმ მუშაობის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა საზღვარგარეთ ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. ინტერპარტიულმა და დამოუკიდებლობის კომიტეტმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას-

---

123 იხ: დავით ვაჩნაძე, დაპყრობილ საქართველოში (მოგონება) ეურნ. „მოამბე" №1, თბ., 1993 გვ. 15

124 იხ: რ. გრძელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7-8.

125 სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1020.

თან ერთად, ამ მხრივ, აქტიური მუშაობა გასწიეს. დღის წესრიგში დადგა საკითხი საყოველთაო სახალხო აჯანყების მოსამზადებლად და მოსაწყობად. ამიერიდან საქართველოში მოქმედ ძალებთან ერთად, უნდა გამოსულიყო მთელი პოლიტიკური ემიგრაცია, რომლის ნაყოფიერ მუშაობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ადგილობრივი ძალები.

სწორედ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობა გახდა ის ძალა, რომელმაც საყოველთაო გამოსვლის ორგანიზაციის უღელი იტვირთა. გარდა პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერისა, საქართველოს მთავრობა გარკვეულ ფინანსურ დახმარებასაც იღებდა. მაგალითად, 1921 წლისთვის მთავრობის ხარჯთაღრიცხვა შეადგენდა 800,000 ფრანკს, რომლის დიდი ნაწილი, 200,000 ფრანკი, განკუთვნილი იყო საქართველოში პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, იმავე წლის ივნისიდან, 1922 წლის სექტემბრამდე, საქართველოში დამკომის სახელზე გაიგზავნა 61344 ლირა, ხოლო 1922 წლის ნომბერიდან 1924 წლის 15 მაისამდე — 47875 ლირა, 1924 წლის გაზაფხულზე — 60,000 ფრანკი, ამავე წელს ჯერ — 500, ხოლო შემდეგ — 1579 გირვანქა სტერლინგი. ამავე დროს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზნით, მთავრობის 1922 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სტამბოლის პოლიტიკური კომისიისათვის გადაეცათ 10,000 ფრანკი, ე. წ. „პუნქტების" მოსაწყობად. უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრისპირა რაიონებში შექმნილი „პუნქტების" მეშვეობით, სტამბოლის პოლიტიკური კომისია კავშირს არ წყვეტდა საქართველოსთან, აქ იყვნენ სპეციალურად გამოყოფილი პირები, რომლებსაც არალეგალურად გადაჰყავდათ ადამიანები, გადაჰქონდათ ფოსტა და ლიტერატურა. „უნდა გულახდილად გამოგიტყდეთ, რომ არც ერთი საქმე საზღვარგარეთ ყოფნის დროს ისე წარმატებით არ შეგვისრულებია, როგორც ეს დავალება".[126]

1922 წლის 29 ივნისს მთავრობის სხდომაზე მიღებული იქნა დადგენილება, რომლის ძალითაც:

1) „საქართველოს განმანთავისუფლებელი ბრძოლის დღის წესრიგში დგას საერთო აჯანყება და ამისათვის საჭიროა გამოინახოს ყოველგვარი საშუალებანი.

---

126 იხ: ე. სულაქველიძე. რა მოხდა? (ვინ მოაწყო და როგორ აგვისტოს აჯანყება) თბ., 1927., გვ. 21.

2) წარმოებული უნდა იქნეს სისტემატიურად კერძო გამოსვლები წინააღმდეგ ევროპის მიერ ეაკრობის წარმოების, განსაკუთრებით ნავთის გატანისა".[127]

გარდა ამისა, 1924 წლის 6 აპრილს პარიზში სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია საქართველოში აჯანყების მხარდასაჭერად. მანამდე 1924 წლის 23 თებერვალს მსგავსი საკითხი დაისვა მთავრობის სხდომაზე, სადაც უკვე გადაჭრილადაა ლაპარაკი აჯანყების შესახებ საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში. ამ სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებებიდან ირკვევა, რომ მთავრობის წევრები არაერთგვაროვნად უდგებიან არა იმდენად აჯანყებას, არამედ იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს შედეგის მიღწევა.

ნ. რამიშვილის თქმით, — „დღემდე დამკომში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები უფრო თავდაჭერილნი იყვნენ, როცა ნაციონალ-დემოკრატები უფრო მეტად ემხრობოდნენ გამოსვლას. დღეს ყველანი იმ აზრისა არიან, რომ შესაძლებელია საერთო გამოსვლები კავკასიის მასშტაბით. არ არის იმედი სომხების, რაც შეეხება მთას, ის მზადაა, როგორც იარაღით ისე ცოცხალი ძალით და თანახმაა საერთო მოქმედებისათვის. ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი საკითხი ევროპაში თავდება, ერთი წლის განმავლობაში ჩვენი სტატუსი სულ მოისპობა, ჩვენი მუშაობა არსად ჩანს. ასე ფიქრობენ, რომ ხალხი მდგომარეობას შეურიგდა კიდეც. რუსეთში რა მოხდება, გადაჭრით ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. არის შესაძლებლობა ბონაპარტიზმისაც, მაგრამ დემოკრატიული რეჟიმიც რომ დამყარდეს იქ, ჩვენი საკითხისათვის იგი რეაქციული იქნება."

ე. გეგეჭკორის აზრით: — „ჩვენი საკითხი ახლა ისეთ კრიზისს განიცდის, თუკი შესაძლებელია საკითხის გაცხოველება, ჩვენ ვერ ვიქნებით წინააღმდეგი გამოსვლისა. ჩვენები ირწმუნებიან, რომ ყველაფერი ამისათვის მზად არისო, მაგრამ მე ვიქნებოდი გამოსვლის მომხრე, თუნდაც ამას არა მარტო საქართველოს მასშტაბით ჰქონდეს ადგილი, თუ ასეთ გამოსვლას მართლა ხალხოსნური ხასიათი ექნება და არა უბრალო აჯანყების, „პუტჩის" ხასიათი"

კ. კანდელაკის განცხადებით: — „ცნობა იმის შესახებ, რომ გამოსვლისათვის მზად არა მარტო საქართველოა, არამედ მთელი კავკასია — პირდაპირ საზღაპროდ მიმაჩნია და უფრო გასაკვირია ისიც, რომ ისინი მზად არიან გამოვიდნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქედან დახმარება არ იქნება. მე მეშინია, რომ ისინი ადგილობრივ შეცდომაში არ

---

[127] სცსსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1075.

იყენენ შეყვანილნი. აქედან წასულმა კაცმა, მათ ნათლად უნდა აუხსნას, უნდა დაუბატოს ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ თითქმის უსახსროდ ვართ".[128]

მართალია, დოკუმენტში არ ჩანს ნ. ჟორდანიას დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი, მაგრამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან თუ ვიმსჯელებთ, ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ უდგებოდა აჯანყების საკითხს მთავრობის თავმჯდომარე.

1) „თუ მდგომარეობა მართლა საკმარისად მომზადებულია და არა მხოლოდ შემთქმულთათვის, არამედ ნამდვილი სახალხო გამოსვლისათვის კავკასიის მასშტაბით (საქართველო, აზერბაიჯანი, მთა), გამოსვლა უნდა მრბდეს.

2) ამ ცნობების წინასწარ შეფასება და ამის საფუძვლიანობაში გამორკვევა ენდობა იმ კაცს, რომელიც აქედან მიდის და რომელიც ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა საფუძვლიანი შეფასების მიხედვით, ადგილობრივ ხელმძღვანელებთან შეთანხმებით დგამს შესაფერის ნაბიჯებს.

3) საერთაშორისო მდგომარეობა ყველა შემთხვევაში ხელს არ უშლის გამოსვლას, მაგრამ ჩვენში წინასწარ რაიმე გადაწყვეტილებისას სისწორით უნდა იცოდნენ ის, რომ ახლა არავითარი დახმარების მიწოდება აქედან არ შეგვიძლია. აგრეთვე საზოგადოდ ჩვენი შესაძლებლობა".[129]

თუ მთავრობა აჯანყების საკითხში შედარებით სიფრთხილეს იჩენს. უფრო ერთსულოვნება იყო ინტერპარტიულ კომიტეტში. მაგრამ პარტიათა, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატთა და ეროვნულ-დემოკრატთა შორის უთანხმება ხშირად ჩრდილს აყენებდა უმთავრეს მიზანს. 1924 წლის 3 ივლისის დადგენილებას ფინანსების განაწილების საქმეში ერთგვარი წინააღმდეგობა მოჰყვა. ასევე წინააღმდეგობრივი გახდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის, ინტერპარტიული კომიტეტის წევრის გრ. ვეშაპელის ინტერვიუ პრესაში, რომელსაც დამკომის გაღიზიანებაც კი გამოუწვევია. ამას მოწმობს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარის კ. ანდრონიკაშვილის წერილი ნ. ჟორდანიასადმი (1924 წლის 3 მაისი), რომელშიც აღნიშნულია: „დამკომი გაეცნო გრ. ვეშაპელის ინტერვიუს ალჭინსკის გაზეთში და დაადგინა: — ვეშაპელის ინტერვიუს დამკომი სთვლის საზ-

---

[128] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1075.

[129] სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1075. აქ ლაპარაკია იმ თანხის განაწილებაზე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ გამოყო დახმარების სახით.

იანოდ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის და დაუშვებლად მიიჩნია ასეთი უპასუხისმგებლო ნაბიჯის გაღადგმა პარტიის ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან. ამიტომ ვუშაპელს გამოეცხადოს საყვედური".[130]

აქვე უნდა აღინიშნოს 1924 წლის აგვისტოს თვით დათარიღებული სპ. კედიას წერილები, რომელიც ეხება ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებულ წერილს გაზეთ „კომუნისტში" ჟორდანიას სახელით. სპ. კედია ამ წერილებით ბრალს დებს ნ. ჟორდანიას ბოლშევიკებთან თანამშრომლობაში. და აღნიშნულ ბრალდებას იმით ამართლებს, რომ „არც ნ. ჟორდანიას და არც მთავრობას არ გაუბათილებიათ" კომუნისტის ცნობები"-ო.[131]

ეხება რა პარტიებთან დამოკიდებულების საკითხს ნ. რამიშვილი დამკომისადმი გაგზავნილ წერილში, ბრალს დებს პარტიათა წარმომადგენლებს, რომ „ისინი ხელს უშლიან მთავრობას მუშაობაში."[132]

მართალია, პარტიათა წარმომადგენლების მხრიდან დაწყებული ასეთი პოლემიკა ფრასასურველ ფონს ქმნიდა კარსმომდარი აჯანყებისათვის. მაგრამ, უნდა აღინიშნოს მთავარი, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ერთსულოვანი იყო სამშობლოს განთავისუფლების საკითხში. რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე პოლემიკას, ამ მხრივ აქაც იყო წინააღმდეგობრივი ხასიათის გამოვლინებანი პარტიათა მხრიდან, მაგრამ, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ იღებდა მწვავე ფორმას იმდენად, რამდენადაც საერთო მტრის წინააღმდეგ პირისპირ დგომა ხშირად ამის საშუალებას და დროს არ იძლეოდა.

დამოუკიდებლობის კომიტეტი კი დღითიდღე ძალებს იკრებდა და აქტიურ შეტევაზე გადასვლისთვის ემზადებოდა.

ჯერ კიდევ, 1922 წლის შემოდგომაზე, „დამკომთან" ჩამოყალიბდა აჯანყების მოსამზადებელი სამხედრო ცენტრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გენერალ კ. აფხაზის ხელმძღვანელობით, რომელიც, ფაქტიურად, კოორდინაციას უწევდა იმავე წლის აგვისტოში დაწყებულ კახეთისა და ფშავ-ხევსურეთის აჯანყებას ქ. ჩოლოყაშვილის მეთაურობით, ხოლო ქართლში — დ. ლაშქარაშვილის რაზმებს. მასთან მჭიდრო ურთიერობა ჰქონდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში მოქმედ ძალებსაც.

---

130 სცსსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1319.

131 სცსსა, იქვე.

132 იქვე.

მიუხედავად ასეთი მობილური მუშაობისა, როგორც „დამკომი" ისე „სამხედრო ცენტრი" კარგად ხედავდა მოკლენების განვითარებას, რომ, გარედან დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წარმატება. როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართულმა პოლიტიკურმა წრეებმა საამისოდ ეერაფერი მოახერხეს. საჭირო გახდა ადგილობრივ ძალებს გადაედგა შესაფერისი ნაბიჯი, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრის შ. ქარუმიძის ცდას მხარდაჭერა მიეღო ოსმალეთის მთავრობისაგან, შედეგი არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყოლოდა, იმ უბრალო მიზეზთა გამო, რომელზეც ჩვენ არაერთხელ გავამახვილეთ ზემოთ ყურადღება.

1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის კ. მისაბაშვილის მიერ გამოაშკარავებული და გაცემულ იქნა „სამხედრო ცენტრი"-ს მთელი შემადგენლობა, ხოლო 1923 წლის 19 მაისს, „ჩეკას" დადგენილებით დახვრიტეს აჯანყების 15 ხელმძღვანელი: მათ შორის გენერლები: კ. აფხაზი, ა. ანდრონიკაშვილი, ფ. წულუკიძე; პოლკოვნიკები: რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი, ელ. გულისაშვილი და სხვები.[133]

ასეთი მძიმე დანაკლისის მიუხედავად, დამოუკიდებლობის კომიტეტთან, სამხედრო ცენტრის ნაცვლად, დაარსდა სამხედრო კომისია. მისი ცდა, კავკასიის ხალხებთან გაება კავშირი ერთობლივი ბრძოლისათვის, არამცთუ უშედეგო, საზიანოც კი გამოდგა. მას შეეწირნენ დამკომის ყველაზე აქტიური წევრები: გ. ფალავა, გ. წინამძღვრიშვილი და სხვები, ასევე სტამბოლის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი — ნოე ხომერიკი.

აშკარად ჩანდა, რომ „დამკომი", დარჩენილი საკუთარი ძალების ამარა, ჩქარობდა თავისი გეგმის სისრულეში მოყვანას. აჯანყების საავარაუდო თარიღად დანიშნულ იქნა 1924 წლის თებერვალი, ხოლო საბოლოო თარიღის შესათანხმებლად საზღვარგარეთ გაიგზავნა ვ. ნოდია, რომელიც მხოლოდ 1924 წლის მაისში დაბრუნდა საქართველოში, მას თან ჩამოჰყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველაზე აქტიური წევრები: ვ. ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი, ვ. მგელაძე, გ. ცინციბაძე და ბ. ცენტერაძე, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, ეევალებოდათ აჯანყების მომზადების სრულფასოვნებაში გარკვევა, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შესაფერისი ნაბიჯის გადადგმა და იმ პოზიციის „გაცნობა"-რეალური დახმარების შესახებ, რომელსაც ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს მთავრობის

---

[133] იხ: რ. გრძელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

შესაძლებლობაში გამოხატებოდა, გამომდინარე 1924 წლის 23 თებერვლის მთავრობის სხდომიდან, და არა აჯანყების მოსაწყობად და ხელმძღვანელად, რადგან აჯანყებას მომწყობიც ჰყავდა და ხელმძღვანელიც.

ვ. ჯუღელის განცხადებიდან, რომელიც მან გურიაში აჯანყების ხელმძღვანელებს მოახსენა, ნათელია ის რეალური ვითარება, რომ „არაფითარი დახმარების იმედი საზღვარგარეთიდან ჩვენ არ უნდა გვქონდეს აჯანყების მოხდენამდის და თუ ჩვენ, აჯანყებით პირველსავე დაკერაზე განვთავისუფლდებით და დაახლოებით ერთ თვეს შეეძლებთ მტერს გავუმკლავდეთ, ამ ხნის განმავლობაში ჩვენები აუცილებლად რამეს მოახერხებენ"-ო[134] და რომ თქმა იმისა, რომ ქართული ემიგრანტული მთავრობა ან, საერთოდ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, დაპირებებს იძლეოდა რაიმე სერიოზული დახმარების შესახებ, მტკნარი სიცრუეა. ამას მოწმობს მრავალი მასალა და დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ და ამის საილუსტრაციოდ საინტერესო იქნება ასევე ნ. ჟორდანიას სადირექტივო წერილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისადმი, 1924 წლის 2 ივნისით დათარიღებული, სადაც მთავრობის თავმჯდომარე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შესაძლებელია ორი გზით. „ერთი გზა — ველოდოთ, ვიდრე შინაგანი წინააღმდეგობანი და საგარეო კონფლიქტები არ გამოიწვევს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, მეორე — საბჭოების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. მაგრამ მარტო საქართველოს არ შეუძლია გადაწყვიტოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ამოცანა. მთელი ამიერკავკასია უნდა აჯანყდეს მის წინააღმდეგ. თუ საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებს ერთი რომელიმე სახელმწიფო, მაშინ ეს ავანტიურა იქნება, რომელსაც ევროპა მხარს არ დაუჭერს... ბრძოლა უნდა დაიწყოს, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანსა და დაღესტანში, რათა რუსეთს ჩამოვაცილოთ მთელი კავკასია. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს აჯანყება საქართველოში. სამწუხაროდ", — წერდა ნ. ჟორდანია, — „ქართველი მენშევიკები არ შეიძლება დარწმუნებული იყვ რომ ბრძოლას საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ დაიწყებენ აზერბაიჯანი და დაღესტანი, რადგან ორივე სახელმწიფო არასაიმედოა, ამიტომ უნდა მივაკუთვნოთ უპირატესობა პირველ გზას და მასზე გავჩერდეთ".[135]

---

[134] იხ.: ს. გოგიბერიძე, ბრძოლა საშობლოსათვის, თბ., 1992, გვ. 58.

[135] ციტ: რ. გრძელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

მართალია, ორივე მათგანს, როგორც ნ. ჟორდანიას, ისე ვ. ჯუღელის ნათქვამს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ ასეთ განცხადებებს, მოცემულ მომენტში თავის მხრივ, მეორე მხარეც უნდა ჰქონოდა, რომელიც უარყოფით როლს ითამაშებდა კარსმომდგარ აჯანყებაზე, როცა თითქმის მთელი ქვეყანა მოუთმენლად ელოდა მის დაწყებას, რადგან ლოდინისა და მოთმენის გზა უკვე მოკრილი იყო. ჩააგებდნენ ხმალს ქარქაშში, მტერი ისედაც გაანადგურებდა, ან აიძულებდა დაეტოვებინათ ქვეყანა. რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა — ებრძოლათ ბოლომდე, რადგან მეტის მოთმენა აღარ შეეძლო სამი წლის განმავლობაში ნაწამებ ხალხს. უმოქმედობა ხომ სახელს გაუტეხდა მათ, ვაქცაცურად დაღუპულ ან ჩეკას სარდაფში ასობით ჩაყრილ თავიანთი მეგობრების წინაშე, რომელთა ხსნა მხოლოდ სამშობლოს განთავისუფლებით იყო შესაძლებელი.

ერთი სიტყვით, 1924 წლის ზაფხულისათვის ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ აჯანყების ორგანიზატორები, მასში მონაწილენი ყოველგვარ კონტროლს მოკლებული აღმოჩნდნენ (ამას მოწმობს თუნდაც ვ. ჯუღელის დაპატიმრების მაგალითი, რომელიც მის გაუფრთხილებლობას უნდა მივაწეროთ, გ. ც.).

1924 წლის იკლისის შუა რიცხვებში შედგა „დამკომის" გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ მასში შემავალი პოლიტიკური პარტიებისა და სამხედრო კომისიის წევრები. ამ სხდომაზე აჯანყების დაწყების საკითხი დადებითად გადაწყდა და აჯანყების დღედ დაინიშნა 17 აგვისტოს ღამის 2 საათი.

მაგრამ, ისევ ბედის სიმუხთლე თუ გაუფრთხილებლობა. 6 აგვისტოს ბოლშევიკებმა დააპატიმრეს აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი ვ. ჯუღელი, რომლის დაკავებამ, ბევრად განსაზღვრა მომავალი ბრძოლის ბედი. აჯანყება კვლავ გადაიდო.

20 აგვისტოს კვლავ შედგა „დამკომის" სხდომა, რომელზეც აჯანყების დანიშვნა მიანდეს ხუთ კაცს: — „დამკომის" თავმჯდომარეს კ. ანდრონიკაშვილს, მის მოადგილეს ი. ჭავახიშვილს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს ლ. ონიაშვილს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს შ. ამირეჯიბს და მთავარსარდალს, გენერალ ს. ჭავჭავაძეს. აღნიშნულმა ხუთეულმა აჯანყების დღედ 29 აგვისტო დანიშნა და სამხედრო ცენტრი თბილისიდან ქაიხოსრო ჭოლოყაშვილის ბანაკში გადაიტანა. ეს იყო საბედისწერო შეცდომა, — აღნიშნავს ს. ზალდასტანიშვილი, — რადგან, თუ 16 აგვისტოს „შეფიცულთა გვერდით 600 კაცი იდგა, 29 აგვისტოსათვის მათი რიცხვი 140-მდე დარჩა, რადგან რამდენიმე დღეში უკვე შეუძლებელი გახდა მოლაშქრეთა ხელახალი შეგროვება, რამაც უკვე

საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი" და თუ ვერ მოხერხდა ალიასუ თბილისზე შეტევა, არამედ ამანგელისის შენარჩუნებაც კი, ძალების არასაკმარისობაში უნდა ვეძიოთ.

ყოველივე ამას დაემატა სხვა ფაქტორები და ერთ-ერთი გადამწყვეტი ამ მხრივ დროზე აღრე გამოსვლა იყო ჭიათურაში, თითქოს თავიდან წარმატებული, მაგრამ, სტრატეგიული თვალსაზრისით, ყოვლად გაუმართლებელი.

მართალია, ამოძრავდა მთელი საქართველო, მაგრამ თბილისზე წარუმატებელმა შეტევამ ფაქტიურად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი, რადგან სხვა მხარეებში გამოსულ აჯანყებულებს და მათ ხელმძღვანელებს კარგად ესმოდათ თბილისზე გამარჯვების მნიშვნელობა.

ჩვენი კვლევის მიზანს არ შეადგენს აჯანყების აღწერა სრულ დეტალებში, მაგრამ ასე კარგად დაწყებული მუშაობა, რომელიც გამოიხატა მის ორგანიზაციაში მთელი სამი წლის განმავლობაში, რომელსაც [illegible] ულებლივ ყველა მონაწილე, თვით ხელისუფლებაც კი, მეტი შედეგის მომტანი უნდა ყოფილიყო.

ძნელია, რაში გამოიხატებოდა ეს მუშაობა? ამ მხრივ საკმარისი იქნებოდა თუნდაც დასავლეთ საქართველოს მაგალითზე მსჯელობა, რომ არაფერი ეთქვათ თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე ბრძოლასა და მოქმედებაზე, რომელმაც ლეგალური თუ არალეგალური მუშაობის კარგად ორგანიზებული ფორმა მიიღო.

თავის წიგნში „ბრძოლა სამშობლოსათვის" გურიის კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრი ს. გოგიბერიძე წერს: „არალეგალურად მიმდინარე ხალხის რიცხვი, მინიმუმამდის დაყვანილი, ბრძოლაში გაკაჟებულნი და უშიშარი ხალხისაგან შემდგარი საშუალებას აძლევდა გურიის კომიტეტს ყოველდღიურად მთელი გურიის სურათი თვალწინ აეტანოდა და საჭირო განკარგულებები იდეალური კავშირის საშუალებით სასწრაფოდ მიეწოდებინა მთელი მაზრისათვის... მტერი შედეგების [illegible] ედავდა ამ კავშირის მოძრაობას და ამავე დროს უძლური [illegible] ბოძოლაში. ორგანიზაციული წყობა ისეთი იყო, რომ რომელიმე პირის ან თუნდაც ერთი მთელი ერთეულის ჩავარდნაზედ, მოავრობის წინ ისეთი გაუვალი კედელი იმართებოდა, რომლის იქით ის ვერაფერს ხედავდა. იღუპებოდა ან იკარგებოდა მხოლოდ პიროვნება ან ერთეული, მთელი სხეული კი უვნებლად რჩებოდა. ხშირად ყოფილა შემთხვევა დიდი თანამდებობის პირის ჩავარდნისაც, მისი გატეხისა, აუშინდელი თანამებრძოლების წინააღმდეგ აშკარა გამოსვლისა, მაგრამ [illegible] ქაც მხოლოდ მისი გახრწნილი ლეში შერჩენია ჩეკას ხელში... დღეს კი

ზალიკაშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989, გვ. 52-53.

ვინც ამ ორგანიზაციებს იცნობს, მან იცის, რომ ამ მხრივ ჩვენ არაფერი გვაქვს საძებარი სხვა ქვეყნების განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში"[137]

ბრძოლის ასეთ ტაქტიკას ბოლშევიკებმა ვერაფერი დააკლეს, ამიტომ ისინი, თვითონ უფრო იყვნენ დაინტერესებულნი გადამწყვეტი ბრძოლის გამართვაზე, და გასაკვირი არ არის, რომ მტერი გამარჯვების შემდეგაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აჯანყებულთა ტაქტიკას და მის ორგანიზაციას. ამ მხრივ საინტერესოა მენშევიკური გამოსვლის საერთო-სამხედრო პოლიტიკური მიმოხილვა 29 აგვისტოდან 1- სექტემბერის ჩათვლით პერიოდში,[138] სადაც გაანალიზებულია აჯანყებულთა ტაქტიკა დასავლეთ საქართველოს მაგალითზე. მასში ასევე ლაპარაკია აჯანყებულთა ორგანიზაციასა და მის სოციალურ შემადგენლობაზე, რომლის ავტორია კავკასიის არმიის დიკტატორის უფროსი ა. იანოვსკი, იგი ხელმძღვანელობდა წითელი არმიის ოპერაციებს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აჯანყების ჩახშობად.

მის ხელთ არსებული მონაცემებით და აჯანყების ხასიათიდან გამომდინარე, ა. იანოვსკი მიუთითებს, რომ აჯანყებას წინ უსწრებდა ხანგრძლივი იატაკქვეშა მუშაობა, რომელიც მზადდებოდა წინასწარშემუშავებული გეგმის თანახმად.

იანოვსკის აზრით, აჯანყების ორგანიზატორებს დასავლეთ საქართველო დაყოფილი ჰქონდათ ცალკეულ უბნებად. თითოეული უბანი მიმაგრებული იყო გარკვეულ იატაკქვეშა ორგანიზაციაზე, რომელთა სათავეში იდგნენ გამოცდილი და ენერგიული მოღვაწეები. უბნები იქმნებოდა მომავალი აჯანყებისათვის რაზმების ჩამოყალიბების მიზნით. ამ უბნების საზღვრები წითელი არმიის ხელმძღვანელობისთვის აჯანყების შემდეგაც უცნობი დარჩა.

იანოვსკი ცალკე განიხილავს აჯანყებულთა ორგანიზაციის საკითხს და აღნიშნავს, რომ მას საფუძვლად ედო რაზმების სისტემა. პოპულარული ხელმძღვანელების გარშემო თავს იყრიდნენ გარკვეული ჯგუფები. ამ რაზმების საფუძველზე შესაძლებელი იყო უფრო დიდი და მწყობრი ერთეულების გაშლა, სადაც სუფევდა შინაგანი შეკავშირება, დისციპლინა და მართვა.

იანოვსკის მოხსენებით ბარათში, გარდა ამისა, მრავალი საინტერესო ცნობაა მოყვანილი, მაგრამ ამათგან ყურადღების ღირსია კიდევ ერთი მათგანი. თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ ძალიან საჭირო და აუცილე-

---

137 ს. გოგიბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37-38.

138 მ. მაცაბერიძე, აჯანყებულთა ტაქტიკა 1924 წელს დასავლეთ საქართველოში. „მხედარი" №2, თბ., 1991, გვ. 51-54.

ბელი, კერძოდ, აჯანყებული რაზმების მომარაგების სისტემა. აი, რას წერს ამის თაობაზე წითელარმიელი სარდალი: „აჯანყებულები არასოდეს არ მიმართავდნენ არათუ ძარცვას, არამედ იძულებით გადასახადებსაც. რაზმებისათვის საჭირო სურსათსა და ფურაჟს მოსახლეობა ნებაყოფლობით აგროვებდა, ნაწილობრივ კი — ყიდულობდნენ.

აი, სწორედ ეს იყო ის მთავარი და უმთავრესი, რომელსაც მტერიც კი აღიარებს, და რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ აჯანყება იყო არა რომელიმე კლასის ან ეიწრო ჯგუფის მიერ თავსმოხვეული ავანტიურა, არამედ მას სახალხო ხასიათი ჰქონდა საქართველოში.

აგვისტო-სექტემბრის მოვლენების შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა როგორც ემიგრაციაში, ისე ჩვენში. გაანალიზებულ იქნა მოქმედების თითქმის ყველა მხარე, მისი სოციალური შემადგენლობა ცალკეული კუთხეების მაგალითზე, ითქვა მისი დამარცხების მიზეზებზე, მაგრამ აქ ერთ უტყუარ ფაქტს ბევრმა აუარა მხარი — ეს არის მტრის, როგორც ძალის, სრული შეუფასებლობა და იგი განხილული უნდა იქნეს იმ კოტექსტში, რასაც განაპირობებდა სურვილი ბოლშევიკებისა გენერალურ ბრძოლაში საბოლოოდ წელში გაეწყვიტა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. თვით აჯანყება იყო არა ავანტიურა, როგორც ამას საბჭოთა მოღვაწენი და ისტორიოგრაფია წარმოგვიდგენს, არამედ თვითონ საოკუპაციო რეჟიმი ცდილობდა თავისუფლებისათვის მებრძოლნი ავანტიურაში ჩაეთრია, მაგრამ დამოუკიდებლობის კომიტეტისა და მისი ყველა რგოლის მოქმედება გეგმაზომიერად ვითარდებოდა და იგი ნაკლებად ემორჩილებოდა შინაგან თუ გარეგან ფაქტორებს, თუმცა ისინი ხან აშკარად, ხან უხილავად მოქმედებდნენ მის წარმატებასა და წარუმატებლობაზე.

აფასებდა რა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას, ნ. ჟორდანია წერდა: „აგვისტო-სექტემბრის ამბებმა საქართველოს საკითხი საბოლოოდ გადაიტანა საერთაშორისო რეზონანსის მქონე პრობლემად და აამაღლა ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო მასშტაბით".[139] ხოლო ირაკლი წერეთლის თქმით, „ჩვენი განთავისუფლების იმედები მსოფლიო დემოკრატიისა და რუსეთის შინაგანი ცვლილებების აუცილებლობაზე არის დამყარებული".[140] სრული ჭეშმარიტებაა და არანაკლებია სხვა აზრიც, რომელიც გერმანელ პროფესორს ეკუთვნის. ეს გახლავთ ერიხ ობსტი, იგი 1924 წლის შემოდგომაზე იმყოფებოდა თბილისში. აღწერა ის სურათი, რაც აჯანყების შემდეგ თბილისში ნახა. გაეცნო აჯანყების

---

[139] ციტ: რ. გრძელიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[140] ციტ: რ. გრძელიძე. იქვე.

გამომწვევ მიზეზებს, მის მამოძრავებელ ძალებს და ამ კითხვის დასმა მან ქვეყნის გეოპოლიტიკური აღნაგობის კონტექსტში განიხილა, რომლის საფუძველზე ჰობსტი დაასკვნიდა: „ველიკორუსული საცხოვრებელი სივრცის არსებას ის ეკუთვნის, რომ მას სხვა ხალხების მიწაწყლის მიმართ საზღვარი არ გააჩნია".[141] ასევე სრული ჭეშმარიტებაა და უფრო მისაღები, თუ ირ. წერეთლის აზრსაც მოვიშველიებთ. აი, დამარცხებისა თუ გამარჯვების, კელავ მონობისა თუ თავისუფლების გასაღები.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკებმა საშინელი ტერორი გააჩაღეს, ათასობით ადამიანი დაჭერილი და გადასახლებული იქნა, მრავალი კი — დახვრეტილი. ემიგრანტული ლიტერატურა დახვრეტილთა რაოდენობას 5-7 ათასამდე ასახელებს. ერთი სიტყვით, მთელი ეროვნული მოძრაობა განსასჯელის სკამზე იქნა დასმული. ვინც გადაურჩა მტრის ხელს, კელავ ტყეს და ღრეს მისცა თავი, ბევრი კი შეუერთდა იმ ნაწილს, ვინც 1921 წელს დატოვა სამშობლო. მაგრამ არცერთ მათგანს, ვიცნ ჩეკას ჯურღმულებში იტანჯებოდა და არც მათ, ვინც თავი შეაფარა დასავლეთს, თავისი ნაბიჯის სიმართლეში ეჭვი არ შეპარვიათ. ამის ბრწყინვალე მაგალითია იასონ ჯავახიშვილის სიტყვა, რომელიც მან ბოლშევიკების მიერ მოწყობილ, ე. წ. „სასამართლოში" წარმოთქვა. ეს არ იყო თავის მართლება, არამედ იმ საქმის გამართლება, რომელსაც აჯანყებულებმა მიმართეს ქვეყნის აღდგომა-გამოხსნისათვის ბრძოლაში.

იტყვიან, ამბობდა მსჯავრდადებული — „როდესაც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად დაბეჩავებული ერები ებრძვიან იმპერიალისტურ ერებს, ეს პროგრესი არისო, როცა დაბეჩავებული ერები ებრძვიან საბჭოთა რუსეთს, ეს რეგრესიაო. ნამდვილად კი ბრძოლა დამპყრობელთა თუ ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ვინც უნდა იყოს ეს მჩაგვრელი: შავი თუ წითელი იმპერიალიზმი, — დიდი დადებითი, პროგრესული მოვლენაა.

აი, რატომ არ ვთვლი ჩემს თავს დამნაშავედ!

მე გავათავე. ჩვენ ვიბრძოლებთ დამოუკიდებლობისთვის; აჯანყება წავაგეთ და ისინი, ვინც ამ აჯანყებას ემესვეურობდით, წავალთ გოლგოთაზე".[142]

---

141 ერიხ ობსტი, საქართველო (გეოპოლიტიკური ნარკვევი), ეფრნ. „ალეკსანდრი". წიგნი IX, გვ. 5. პარიზი.

142 ციტ. რ. გრძელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

აღნიშნული სიტყვიდან კარგად ჩანს არა მარტო ცალკე აღებული მოლვაწის, არამედ მთელი ერის მისწრაფება სამართლიანობისათვის ბრძოლაში.

მტერი სპობდა არა მარტო ადამიანებს, არამედ იმ საშუალებებს, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ ბრძოლის პერიოდში. აჯანყების დამარცხების შემდეგ, მტერს ხელში ჩაუვარდა არალეგალური სტამბები: თბილისის (ასოთამწყობები — ათაბეგოვი, თარგამაძე) — 1924 წელს, ქუთაისის (ასოთამწყობები — კვანტალიანი, ბუღაძე) — 1925 წელს. ასევე 1925-1926 წლებში თბილისში (ასოთამწყობი — ჩოჩია, ალექსამაზიშვილი) — 1927 წელს (ასოთამწყობი ვ. კაკუტაშვილი) ასეთი ბედი ეწია ზუგდიდის არალეგალურ სტამბასაც იმავე 1927 წელს.

მიუხედავად ამისა, პატრიოტთა ერთი ნაწილი კვლავ აგრძელებდა მოქმედებას იმ იმედით და მრწამსით, რომ კვლავ დადგებოდა ქვეყნის გამოხსნის ნანატრი დღე.

1924 წლის აჯანყების დამარცხებასთან ერთად, ფაქტიურად დამთავრდა „საქართველოს პოლშევიზაცია“,[143] აი, ეს იყო მარცხის ყველაზე სავალალო შედეგი. საქართველოს კომუნისტური იდეოლოგიის მარწუხებში მოექცა, რომელიც იოტის ოდენადაც ვერ აკმაყოფილებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გამოხატვის ნებას.

1924 წლის აგვისტო-სექტემბრის მარცხი სავალალო და საბედისწერო აღმოჩნდა ქართული ემიგრაციისთვის, განსაკუთრებით — მისი აქტიური პოლიტიკური ნაწილისთვის, რომელიც თანამებრძოლის ხვედრს არასოდეს გაქცევია, ვისთვისაც სულერთი არ იყო სამშობლოში დატრიალებული ჭირ-ვარამი. მიუხედავად მარცხისა როგორც ადგილობრივ ძალებს, ისე განსაკუთრებით ემიგრაციაში მყოფთ არ შეუწყვეტიათ აქტიური ბრძოლა ქართული საკითხისათვის ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა ისტორიოგრაფია, ეხებოდა რა ემიგრაციის საკითხს აჯანყების შემდგომ პერიოდში, მიუთითებდა, რომ საქართველოში „კონტრრევოლუციური ავანტურის ჩაფუშვის“ შემდეგ ჩქარი ტემპით წავიდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დაშლა საზღვარგარეთ, რომ ემიგრანტული მთავრობა ბუჟუაზიული პოლიტიკისა და ტერორის საშუალებით ცდილობდა ქართულ ემიგრანტულ წრეებში დაწყებული გათიშვის შეჩერებას, მაგრამ ეს იყო სურვილი ბოლშევიკებისა და ასეთად დარჩა ბოლომდე. მართალია, ქართულ ემიგრანტულ წრეებში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ უთანხმოებას, მაგრამ მთლიანობის ტენდენცია კვლავ ძალაში დარჩა. ამის მაგალითად, ყოველ შემთხვევაში

---

143 Grigor Suny, The making of the Georgian Nation Ronald, London, 1989.p. 225.

აჯანების შემდეგ, შეიძლება დავასახელოთ მრავალი ფაქტი თუ მოვლენა, რომელზეც ჩვენ წინა პარაგრაფშიც შეეჩერდით, კერძოდ, 1924 წლის ნოემბერში პარიზში შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთული დელეგაცია პარიტეტულ საწყისებზე, რომელსაც, ფაქტიურად შეუერთდა ემიგრაციის ახალი ნაკადი. ამასვე მოწმობს ქართველ მხედართა (ქ. ჩოლოყაშვილი, სპ. ჭავჭავაძე და სხვები) სახელით მიმართვა ა. ჩხენკელისადმი 1925 წლის 16 ოქტომბერს, სადაც გამოთქმულია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სუოვილი, რომელიც გადაიქცა ეროვნულ მრწამსად. წერილის ავტორთა აზრით: „ბრძოლა თავისუფლებისათვის უნდა გაგრძელდეს... რომ წარსულის შეცდომანი განმეორებული არ იქნას. ყველამ უნდა გაიღოს მსხვეპრლი განთავისუფლების საქმეში; მთელი გონება, ნებისყოფა და გამოცდილება ამას უნდა შეეწიროს... გაერთიანება ყველა მისაღები და მებრძოლი ძალთა მისი მთლიანობის პოლიტიკაში მოითხოს შექმნას ისეთი ორგანოსი, რომლის მოქმედება სრულად ეფარდებოდეს აღნიშნულ მთავარ მიზანს. ასეთი ორგანიზაცია ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, როგორც საერთო ორგანოს შექმნა მთავრობასთან ერთად პოლიტიკურ პარტიათა და სამხედრო წარმომადგენლებისაგან".[144]

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობის აღნიშნული პერიოდის კვლევის დროს გვერდს ვერ აუვლით ასევე იმ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1925 წელს, იგი გამოიხატა ქართული ემიგრაციის ახალგაზრდა მოღვაწეთა ქმედებაში. კერძოდ, 1925 წლის 9 ივლისის გიორგი ნოზაძის წერილში ა. ჩხენკელისადმი ნათქვამია: „გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ 10 იანვარს 1925 წლისა პარიზში დაარსდა ლიგა — საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი".[145]

ლიგის დამფუძნებელმა კრებამ იმავე წლის 15 ივნისს მიიღო დეკლარაცია, რომლის სამოქმედო მიზანი სუვერენული, მთლიანი საქართველოა, რომლის მიღწევა: „უნდა მოხდეს ქართველი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების დაჭიმვით. ეროვნული ბრძოლის მაღალმა იდეამ უნდა მოსპოს პარტიული და კლასობრივი დაყოფა. ქართული აზროვნება უნდა განთავისუფლდეს იმ მიუწვდომელ ფანტასტიურ ოცნებათაგან, რომელიც შლიან ეროვნულ ძალების მთლიანობას და ვერ ეგუებიან ნაციონალური სახელმწიფოს იდეას.

---

[144] სრცს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროფირები, ს. 1085

[145] სრცს, იქვე.

აი, ჭეშმარიტი დიადი იდეა, რომლისთვისაც თავს იწირავს პატრიოტული ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი", იგი სულიერი მემკვიდრეა მათი, ვინც ათასი წლობით იცავდნენ და ქმნიდნენ საქართველოს ძლიერებას. ის დაუმკვიდრებს საქართველოს მის ისტორიულ ტრადიციებს, განამტკიცებს წესრიგს და შეადუღაბებს ერის აწყმომომავალს მის დიდებულ წარსულთან"[146]

„თეთრი გიორგის" დაარსებით და მისი გამოსვლით ასპარეზზე — ქართული ემიგრანტული ცხოვრების ისტორიაში დაიწყო კიდევ ერთი ახალი საქმე, რომლის მოთავე და წამომწყები იყო პატრიოტული ახალგაზრდობა.

როგორც ვხედავთ, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, მიუხედავად მწარე მარცხისა, რომელიც 1924 წლის აჯანყებას მოჰყვა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად კვლავ ეძებს გზებს ურთიერთკავშირისაკენ და არა ურთიერთმტრობისაკენ.

1924 წლის სახალხო აჯანყების დამარცხების შემდეგ, ფაქტიურად დამთავრდა 1921-1925 წწ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ყველაზე აქტიური ეტაპი, რომლის უმთავრესი მიზანი ბოლშევიზმისაგან საქართველოს დეოკუპაცია და დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ამ ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს როგორც ქვეყნის დიპლომატიური ხსნის, ისე შეიარაღებული ბრძოლის ნარეკლიან გზაზე და დამარცხების სატკივარი მთელ ქართველ ხალხთან ერთად გაიზიარეს.

---

[146] გ. შარაძე. დასახ. ნაშრომი (წიგნი მესამე), თბ., 1993, გვ. 138.

დასკვნა

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ოცეულის პოლიტიკურმა, სოციალ-ეკონომიკურმა განვითარებამ შექმნა ობიექტური წანამძღვრები რუსეთის იმპერიის დაშლისათვის. იმპერიის დაშლამ კი რუსეთის უღელ-ქვეშ ჩაგრულ ხალხებს ეროვნული თავისუფლება მოუტანა. ამ პირობებმა ხელი შეუწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებასა და არსებობას 1918-1921 წწ.

ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკურ ძალთა წინააღმდეგობის პროცესი უშუალოდ დაუკავშირდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბოლშევიზმის გამარჯვება და საბჭოთა რუსეთის შექმნა რეალობად იქცა.

საბჭოთა რუსეთმა იდეოლოგიური და იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე, დაამხო დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა 1921 წლის თებერვალ-მარტში, რითაც დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი ქვეყის ოკუპაცია, რასაც შემდგომში მისი ფაქტობრივი ანექსია მოჰყვა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კი ემიგრაციაში აღმოჩნდა. სწორედ ამ მოვლენებმა განაპირობა ის მწვავე ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1921-1925 წლებში.

ეს ბრძოლა უმეტესწილად, განმანთავისუფლებელი, დაკარგული დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენის, ერის დიდი ნაწილის სურვილმა განაპირობა.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის მოთავე და წინამძღოლი 1921-1925 წლების საქართველოში ემიგრაციაში მყოფი დმოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და, საერთდ, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია გახდა, რომლის მოღვაწეობა საზღვარგარეთ ქართული საკითხის გაცხოველებისათვის, როგორც მთავრობათა, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წინაშე აქტუალური შეიქნა.

საქართველოს მთავრობისა და, საერთოდ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მრავალმხრივი საქმიანობა გამოიხატა იმ მიმართულებით, რომელიც გასწიეს ევროპის ქვეყნებში მომუშავე ქართულმა საელჩოებმა და ლეგაციებმა, აგრეთვე, პოლიტიკური კომისიების გარშემო თავმოყრილმა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა.

მათი ერთობლივი მუშაობით, კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების მიერ 1921 წლის ივნისში პარიზში შეიქმნა „კავკასიის

კავშირი", რომლის მთავარი მისია დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში საერთო ფრონტის შექმნა იყო.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყველა რგოლის მიზანმიმართული მუშაობის შედეგია ქართული საკითხის დასმისა და წინ წემოწევის მიღწევა ისეთ დიდ ფორუმში, როგორიც გენუის კონფერენცია იყო, რომელმაც კიდევ ერთხელ დაანახვა დასავლეთს ის უარყოფითი შედეგი, ბოლშევიზმმა რომ მოუტანა საქართველოს მსგავსი ნაბიჯები გადაიდგა ასევე ჰააგისა და ლოზანის კონფერენციებზე, ერთა ლიგის სესიებსა თუ დასავლეთის პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობაში.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის საქმიანობა, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს ინტერესების შესაბამისად აწარმოებდა ემიგრაციაში ევროპის სამთავრობო წრეებთან. ამ მუშაობის ნათელი გამოხატულებაა ის უამრავი შეხვედრა, ნოტა და მიმართვა — საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, შვეიცარიის, იტალიის, თურქეთის და სხვა ქვეყნებისადმი, რომელთა მხარდაჭერა თუ უგულებელყოფა დაღს ასვამდა ემიგრანტული მთავრობის მიზანმიმართულ მუშაობას.

ქართული პოლიტიკური ძალების მრავალმხრივ მცდელობისა, პოლიტიკური მოკავშირე შეეძინა ევროპაში შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ამისა, მისი საქმიანობა ამ მიმართებით დადებითად უნდა მივიჩნიოთ.

დადებითად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ის მუშაობა, რომელსაც პოლიტიკური ემიგრაცია უწეოდა საქართველოში დარჩენილი მებრძოლი ძალების მხარდასაჭერად. რაც, უპირველესად, გამოიხატა ინტერპარტიული კომიტეტის რთულ და მრავალმხრივ საქმიანობაში, ეროვნული ძალების მაკოორდინირებელი და წარმმართველი ორგანოს ფუნქცია რომ იკისრა მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს მოიის.

ეხებით რა საქართველოში 1924 წლის აჯანყებას და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის როლს ამ მიმართულებით, გამოკვეთილად უნდა ითქვას, რომ მისი როლი აგვისტოს აჯანყების მომზადებაში უაღრესად დიდია, მაგრამ იგი არ უნდა გაზვიხილოთ იმგვარად, თითქოს მხოლოდ ეს ძალა იყო დაინტერესებული ბრძოლა გაემართა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მხოლოდ ის უბიძგებდა საქართველოს მებრძოლ ძალებს აჯანყებისაკენ. ამ მხრივ ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალა შესაძლებლობას იძლევა შემდეგი დასკვნისათვის: საქართველოს მთავრობამ და, საერთოდ, პოლიტიკურმა ემიგრაციამ თანამებრძოლის ფუნქცია იკისრა. ხოლო მისი გამოყენა მოკარნახის, ან კიდევ

„მაპროვოცირებლის“ როლში, როგორც საბჭოთა ისტორიოგრაფია განისილავდა, — უმართებულია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, თავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, დარჩა ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად, ხოლო თავისი დამოკიდებულებით საერთაშორისო საკითხებისადმი, მისდამი სამართლებრივი მიდგომით, რაც თვალნათლივ დადასტურდა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დროს, — საკაცობრიო იდეალების მსახურად.

დანართი №1

ნ. რამიშვილის მოხსენება ინტერპარტიულ კონფერენციაზე
(მცირედი შემოკლებით)
პარიზი. 1922 წ. 22 თებერვალი

ერთი წელია საქართველო ოკუპანტთა ხელშია. ამ ხნის განმავლობაში უცხოეთში წარმოებულ დიპლომატიურ მუშაობას ჰქონდა საერთო სახელმწიფოებრივი და პარტიული ხასიათი, ამიტომ პარტიათა სამოქმედოდ საერთო ნიადაგი აქ უკვე მომზადებულია.

..ჩვენი პოზიცია რუსეთთან დამოკიდებულებაში კვლავ ნეგატიურია. იგი დღეს იმდენად უძლურია, რომ მას ევროპის კოლონიად გადაქცევა ემუქრება, ამიტომ ჩვენ აუცილებელია პირდაპირი კავშირი გვქონდეს ევროპასთან, ვიდრე რუსეთის გზით შევიდეთ ევროპაში და ვიქცეთ კოლონიის კოლონიად.

შემდეგი საკითხი ოსმალეთია, რომლის მშვიდობიან სახელმწიფოდ გადაქცევაში საქართველოს პირველი ადგილი უნდა ეჭიროს...

რა საშუალებით შეიძლება საქართველოს აღდგენა? აქ ჩვენ ეხედავთ, რომ საქართველოში თავი იჩინა საშუალებათა სხვადასხვაობამ.

სამი წლის განმავლობაში, როგორც მთავრობის თავმჯდომარემ თქვა, იძულებული ვიყავით იმპროვიზებულად გვეშენებინა ქვეყანა. სხვა პარტიები ოპოზიციაში იდგნენ და დღესაც ამას განაგრძობენ. ისტორიული მაგალითებიც კი მოჰყავთ, როცა გიორგი სააკაძეს, მეფეებსა და ერისთავებს მოჰყავდათ უცხოელები, რადგან მტერი ხშირად არ ერეოდა საქართველოს შინაურ საქმეებში და ავტონომია არ ირღვეოდა, დღეს კი ეს პირდაპირი ღალატია ხალხისა, რადგან გაბატონებული საბჭოთა ხელისუფლება ფაქტიურად არის ყურმოჭრილი ყმა მოსკოვისა და არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ შეუძლიან შეეკუოს უცხო ოკუპანტთა ძალაუფლებას. ეს იმიტომ, რომ რუსეთის საბჭოთა რეჟიმი არა მხარტო იმით ხასიათდება, რომ ის უცხოელთა ხიშტებს ეყრდნობა, არამედ იმიტომაც, რომ ის არის არჩი-დესპოტური რეჟიმი.

უმთავრესი მიზეზი საქართველოს დაცემისა იყო არა წვრილმანი შეცდომები ჩვენი, არამედ შექმნილი საერთაშორისო კომბინაცია, რომელიც მიეწერება ინგლის-რუსეთის შეთანხმებას, როცა ინგლისმა უარი განაცხადა კავკასიის დაინტერესებაზე. და დღეს ჩვენთვის აუცილებელია საერთაშორისო მდგომარეობის ჩვენდა სასარგებლოდ შეცვლა და გამოყენება. ჩვენ უნდა მოვძებნოთ დასაყრდენი ბურჯი, მაგრამ მარტო დიპლომატიური გზით საქმე არ გაკეთდება თუ ბოლოს

ხალხი თვითონ არ დაირაზმა და მტკიცედ არ იბრძოლა თავის უფლებათა მოპოვებისათვის. ამიტომ ყველა პარტიას უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ყოველი რაზმი გამოვიყენოთ საერთო მიზნისათვის ბრძოლაში და საყვედური ავიცილოთ, რომ ისინი განვაცალკევეთ.

ამ რიგად მიზანი შეთანხმებისა ასეთია: ოკუპაციის მოსპობა, ევროპაში რეალური დახმარების მოპოვება, საქართველოს ამოძრავება და შემდეგ მთავრობასა და განმანთავისუფლებელ კომიტეტში ყველა ძალების დარაზმვა და კოალიციის მიღწევა. ჩვენ უნდა გავფანტოთ ის ხმები, რომლებიც გვიფუჭებენ საქმეს აქაც და იქაც. საქართველოში ეს იქნება შეთანხმება არა ძალდატანებითი, არამედ ბუნებრივი და თავისუფალი. მას სარჩილად უნდა დაედოს გაერთიანებული მუშაობა, როგორც აქ ისე საქართველოში და გამოსვლების მოწყობა. ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო დაეცა საერთაშორისო კომბინაციებით და მანვე უნდა გაგვიადვილოს ფეხზე წამოყენება მისი. ოკუპაციის მოსპობის შემდეგ შეთანხმება უნდა მოხდეს ყველასათვის დამაკმაყოფილებელ საფუძველზე და თუ ოკუპანტები დღეს ცდილობენ გაგვყონ და ისე იბატონონ, ამას ჩვენ უნდა ვუპასუხოთ საერთო ფრონტის შექმნით და მით მივაახლოოთ ერის უფლებათა მოპოვება და დამოუკიდებლობის აღდგენა[147]

[147] სესსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1045.

დანართი №2

საქართველოს დემოკრატიული (გაერთიანებული ეროვნულ დემოკრატიული), ეროვნული, რადიკალურ დემოკრატიული და უპარტიოთა ჯგუფის, პარტიის დელეგაციის დეკლარაცია ინტერპარტიულ კონფერენციაზე, წაკითხული გრ. ვეშაპელის მიერ

ბატონებო:

საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით, რომელიც აერთიანებს დღეს, როგორც ყველა ქართულ არასოციალისტურ პარტიებს, ისე უპარტიოთ, საჭიროდ ვთვლით, ინტერპარტიული შეთანხმების განხილვის დაწყებამდე, განვაცხადოთ შემდეგი, ბატონების ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის სიტყვების გამო.

ვფიქრობთ, რომ ამ განცხადებით, ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვიხდით როგორც პარტიის, ისე ხალხის წინაშე.

მიზანი დღევანდელი ინტერპარტიული კონფერენციისა პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებაა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. ეს პრინციპი ყოველთვის შეადგენდა ჩვენს ლოზუნგს ომისა და რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დაწყებული და იყო საქართველოს ოკუპაციის შემდეგ.

მთავრობის პარტია და ოპოზიცია უკვე ერთი წელიწადია როცა „უკოალიციოდ" მოქმედებენ და ინტერპარტიული კონფერენცია მხოლოდ თებერვლის დამლევს, ე. ი. სწორედ თბილისში რუსების მოსვლის უბედური დღეების წლისთავზე იკრიბება — ეს იმ ბედის ბრალია, რომელიც მთავრობის პარტიამ კოალიციის პრინციპს არგუნა დამ- ბებელი საქართველოს სამი წლის არსებობის განმავლობაში.

ამიტომ მივიხედოთ რამდენიმე ხნით უკან, არა იმისთვის, რასაკვირველია, რომ ბათუმში უდროოდ შეწყვეტილი დამფუძნებელი კრების სხდომის კამათი პარიზში დავასრულოთ, არამედ იმისთვის, რომ გავიგოთ თუ რატომ დაირღვა კოალიციის პრინციპი წარსულში და რა არის საჭირო, რომ ეს კოალიციის პრინციპი კვლავ ხელმეორედ არ დამარცხდეს და თან არ გადაიტანოს სამუდამოდ საქართველოს რესპუბლიკა.

ინტერპარტიული, ეროვნული, კოალიციურად შემდგარი ჯერ ეროვნული ყრილობა და მერე ის ეროვნული საბჭო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რომელშიც მეთაურობა სოციალ-დემოკრატებს ჩაბარდა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ყრილობის პროპორცია უფრო არა-სოციალისტებისაკენ იხრებოდა. მაგრამ, კოალიცია მოისპო დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ, როცა

სოციალ-დემოკრატების მიერ 80 თუ მეტი პროცენტის აღებამ მიწის მესაკუთრეთა გლეხთა ქვეყანაში ილუზიები დაბადა, თითქოს მცირერიცხოვანი პროლეტარიატის სახით შეიძლებოდა საქართველოს პარტიულად მართვა და მისი საბედისწერო საკითხების მარტო გადაწყვიტა, როგორც შინ, ისე გარეთ. მაგრამ არასოციალისტური პარტიები ოპოზიციაში გადასვლის შემდეგაც უფრო მაღლა აყენებდნენ საქართველოს თავისუფლებას, ვიდრე მთავრობის ხელში ჩაგდებას. ამიტომ არასოციალისტური ოპოზიცია იყო ლოიალური, შეიძლება ითქვას მეტისმეტი ლოიალურიც, რადგან სოციალ-დემოკრატიამ ვერ გაამართლა ისტორიულად თავისი პარტიული მთავრობა და მის დასაცავად შინ და გარეთ იმ პროპორციით ვერ იმოქმედა, რა პროპორციაც დამფუძნებელ კრებაში და მთავრობაში იყო გაბატონებული. დამტკიცდა კიდევ ერთხელ, რომ პატარა ერის სახელმწიფოს მართვა მხოლოდ ერის ყველა პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალთა თანხმობითი მუშაობით შეიძლება. საქართველოს მეთაურმა პარტიამ გადაუხვია ამ ეროვნული კოალიციის გზას. იზოლაციურად „ქვეყნაზედ ჯერ არ არსებულ წესწყობილების" (ნ. ჟორდანიას სიტყვებია) შექმნას შეუდგა და როგორც შინ ისე გარეთ მძიმე შეცდომებს წააწყდა.

რა სჭირდება შინ დამოუკიდებელ საქართველოს?

ჯარი, თავდაპირველად, და აი დამოუკიდებლობის დამყარებიდან ამაოდ მოვითხოვთ ჩვენ იმის გაკეთებას, რაც დღეს შეთანხმების პუნქტებში სწერია: უცხოელთა ინსტრუქტორებით რეგულარული მთლიანი ჯარის მოთხოვნას. ჩვენ ვამბობდით: საერთაშორისო ძალთა განწყობილება, რომელმაც გამოიწვია ჩვენი განთავისუფლება; და როცა იგი ჩვენ წინააღმდეგ მობრუნდება, უნდა ჩვენი ძალებით შევძლოთ წონასწორობის დაცვა საზღვრებზედ.

ამის მაგიერ რა მოხდა: ჩვენ სამხედრო ძალა, ორად, ჯარად და გვარდიად გაყოფილი, განკითხვის ჟამს სრულებით მოუწყობელი და მოუმზადებელი გამოდგა ბოლშევიკურ ჯართან შედარებით და თბილისთან გამართული ბრძოლები მტრის გამარჯვებით დასრულდა. ამან დაგვლუპა ჩვენ უმთავრესად და არა საერთაშორისო კომბინაციებმა, როგორც ბრძანებს ბატონი რამიშვილი.

რისი გაკეთება იყო საჭირო უცხოეთში?

მოკავშირე სახელმწიფოს მოძებნა და მასთან შესაფერი პოლიტიკური და ეკონომიკური ხელშეკრულების დადება.

საჭირო იყო ისეთი რეალური საგარეო პოლიტიკის წარმოება, როგორიც აწარმოეს რუსეთიდან განთავისუფლებულ სხვა ეროვნულმა სახელმწიფოებმა (ფინლანდია, ესტონია, ლატვია, პოლონეთი და სხვა), რომელთაც ჯერ გერმანიისა და მერე ანტანტის სისტემაში მოქცეეთ თავისი საერთაშორისო მდგომარეობა ისე გაამაგრეს, რომ რუსეთმა

მათ წინააღმდეგ ომის პოლიტიკას თავი დაანება. ჩვენი მთავრობის პარტიის პოლიტიკა კი ისეთი იყო, რომ ინგლისთან, რომლის მნიშვნელობაზე ბრძანებდა ბატონი ნ. ჟორდანია, კონკრეტული ლაპარაკი პოლიტიკურ შეთანხმებაზე მხოლოდ იმის შემდეგ დავიწყეთ, როცა რუსეთთან არანეიტრალური ხელშეკრულება დავდეთ და როცა ინგლისის ჯარი ბათუმიდან წავიდა. რასაკვირველია შედეგი ის იყო, რომ ინგლისმა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში კავკასია (წინააღმდეგ პირვანდელი პროექტისა) რუსეთის გავლენის სფეროში დატოვა. ამ დროს რუსეთს ფაქტიურად კრასინის გარდა მეორე ელჩიც ჰყავდა — სკობელევი, რომელსაც საქართველოს მთავრობამ სხვათა შორის საქართველოს ჯარისათვის რუსეთისაგან დასაცავად იარაღის ყიდვაც ანდო. ასეთი უცნაურობა ბევრი იყო საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკაში და სხვა სახელმწიფოთა მიმართაც (თავდაპირველად ჩვენ მეზობელ ერებთან) და ყველაფრის ამის შედეგი იყო ის, რომ როცა რუსეთი თავს დაგვესხა ოსმალეთმა ნეიტრალიტეტი არ დაიცვა, ხოლო ინგლისმა და საფრანგეთმა არავითარი გავლენის მოხდენა არცერთ მათგანზე არც კი სცადა.

ბოლშევიკურ რუსეთთან ომმა გამოაშკარავა ყველა დიდი ცოდვები მთავრობის პარტიის პოლიტიკისა (ამ ცოდვებში ჩვენ ვგულისხმობთ რასაკვირველია იმ ნახევრად ბოლშევიკურ ფინანსურ-ეკონომიკურ სისტემასაც, რომელსაც რესპუბლიკა ბანკნოტობის კარზე მიიყვანა). უკვე თბილისის ბრძოლების დროს ცხადი გახდა სრული მოუმზადებლობა გამარჯვებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც უკვე გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და არც ოპოზიციას აზრად არ მოსვლია ეროვნული კოალიციის პრინციპი გაეწირათ ისტორიული პასუხისმგებლობის თავიდან ასაცდენად.

და იმ ფაქტიურ კოალიციას, რომელიც იყო ბრძოლის ველზე, ვერც თბილისში, ვერც ქუთაისში და ვერც ბათუმში ვერ დაემატა პოლიტიკური კოალიცია მთავრობის გარშემო. ეს ისევ მთავრობის პარტიის იმ იზოლაციური პოლიტიკის ბრძოლა იყო, რომელიც არა თუ კოალიციას და პარლამენტურად მთავრობის კრიზისის დაყენებას გაურბოდა (ასეა ტექსტში გ. ც.) არამედ თვით დამფუძნებელი კრების ფრაქციათა საგანგებო კოალიციას მთავრობასთან საკონტაქტოდ არჩეულს — თავიდან იშორებდა.

„სწორედ ამის შედეგი იყო ის სამწუხარო ფაქტი რომ, როცა ბათუმიდან ევაკუაციის უკანასკნელ მომენტში მთავრობამ საკოალიციო წინადადებით მიმართა ოპოზიციას, მისგან აღელვებული უარი მიიღო და საქართველოს მთავრობა უცხოეთში ერის უფლებათა დასაცავად წამოსული ევროპაშიც ერთი პარტიის შემადგენლობით დარჩა, როგორც თბილისში იყო.

ქვეყნის ოკუპაციის დასრულების შემდეგ საქართველოში კვლავ აღსდგა ყველა კლასისა და პარტიის კოალიცია. ეს ეროვნული კოალიცია დღესაც არსებობს, თუმცა ის ფაქტიურად ცხენშია.

მაგრამ გაძნელდა საქართველოში ჩამოყალიბება იმ პოლიტიკური ინტერპარტიული კოალიციისა, რომელმაც გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და რომელმაც უნდა აღადგინოს დღეს ეს დამოუკიდებლობა.

ჩვენ გვწამს, რომ ამ მხრივ დღევანდელი ინტერპარტიული კონფერენცია მიაღწევს თავის დანიშნულებას და მეტიც, საძირკველს ჩაუყრის ეროვნულ კოალიციას, რადგან ერთის მხრივ, ამას წინათ მიღებული წინასწარი ინტერპარტიული შეთანხმების პრინციპები უკვე გაზიარებულია საქართველოს პარტიული ცენტრების მიერ და ამ კონფერენციაზე ჩვენ უკვე მათი კონკრეტული პარტიის მიერ წარმოდგენილ პროექტში თუმცა გვიან, მაგრამ მაინც კვლავ დამყარებულია პროგრამული და ტაქტიკური ერთობა პარტიების, რომელიც ასულდგმულებდა ეროვნულ ყრილობას 1917 წლის ნოემბერში და ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 26 მაისს.

საჭიროა იმის თქმაც, რომ ქართველი ერისთვის, ისტორიული საბედისწერო ნაბიჯების ჟამს, ევროპაში საპასუხისმგებლო ფუნქციების უცხოელ უპასუხისმგებლო პირებისათვის ჩაბარება დაუშვებელია. ჩვენ მოგვწყინდა ურმის გადაბრუნების ამბავი და არც მეორე სკობელევამდის მოცდა გვსურს.[148]

პარიზი. 1922 წლის 23 თებერვალი

დანართი №3

გ. კობახიძის სიტყვა ინტერპარტიულ კონფერენციაზე (სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია)

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ დღეს უფლების მქონე მთავრობამ ვერ შეძლო საქართველოს ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია, რაც აუცილებელი იყო სახელმწიფოს საშენებლად და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. რასაკვირველია წარსულის ნაკლი დიდია და მისი გადალახვა ალისწინებლობა მომავალში წარსული შეცდომების განმეორება იქნე-

[148] სცსა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოს მიკროფილმები, ს. 1045.

ბოდა, მაგრამ როცა დღეს დამოუკიდებლობა წართმეული გვაქვს და როცა დღეს მთელი ერის შეთანხმებული მუშაობა არის საჭირო მთავრობის წარსულის მსჯავრის დადება მიზანშეწონილად მიმაჩნია ამისათვის მოხერხებულ დროს.

საზღვარგარეთ გახიზნულ მთავრობას აქ დახვდა ძლიერ ცუდი პირობები დიპლომატიურ თუ საზოგადო წრეებში, რაც ბუნებრივი შედეგი იყო დამოუკიდებლობის ხანაში მთავრობის მიერ წარმოებული სახელმწიფოებრივი მუშაობის. ცხადია, ასეთ პირობებში მთავრობას იმ წრეში უნდა დაეწყო მუშაობა, სადაც თანაგრძნობის მოპოვება ადვილიც იყო და ამავე დროს აუცილებელიც, რომ ამით სხვა წრეებში შუშაობა შესაძლებელი გამხდარიყო. მხედველობაში გვაქვს ევროპის სოციალისტური წრეები. ეს მითუმეტეს საჭირო იყო, რომ ბოლშევიკებს მხოლოდ ამ წრეების საშუალებით შეეძლოთ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა ეწარმოებინათ. აშიტომ გასაგებია, რომ მთავრობის მიერ ევროპაში წარმოებულ სამგვარ მუშაობაში: სოციალისტური წრეები, საზოგადოებრივი აზრი და დიპლომატია — პირველს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიპყრობილი, მაგრამ არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ, რომ მთავრობის მუშაობა მაინც ცალმხრივი იყო, რადგან საზოგადოებრივი აზრის ჩვენს სასარგებლოდ ამოქმედებისათვის ჯეროვანი ზომები დაგვიანებით იქნა მიღებული. თუ სოციალისტურ წრეებში მიღწეული მიზნები დამაკმაყოფილებელია დანარჩენ წრეებში ჩვენი საკითხი სასურველ დონემდის გარკვეული არ არის.

აქ აღნიშნეს რომ საქართველო დამარცხდა არა იმიტომ, რომ ჯარი არ პყავდა არამედ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გამო და რომ მომავალში ასეთი მდგომარება აუცილებელი იქნას, საჭიროა მოიძებნოს ძლიერი მოკავშირე და ასეთი მოკავშირის ძებნა ამ კონფერენციამ უნდა გაითვალისწინოს. ძლიერ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს ისეთ დიდ სახელმწიფოებთან. რიგის ინტერესები ერთდროულად ეწინააღმდეგებია რუსეთისა და ინგლისის ინტერესებს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია არეთვე რუსეთის ყველა მოსაზღვრე ერებთან და განსაკუთრებით რუსეთიდან გამოყოფილ ახალ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირის ქონა. თუ დღემდის არაფერი გაკეთებულა ამ მხრივ, ეს შეიძლება მთავრობის ნაკლად ჩაითვალოს და ახლო მომავალში უნდა გამოსწორდეს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე კავკასიის ერთა კავშირის გაძლიერება.

ცხადია შეთანხმება უნდა მოხდეს. მაგრამ ის ნუ დაგვავიწყდება, რომ შეთანხმების შემსრულებელი ისევ ქართველი ხალხია, ხოლო შეთანხმებული მუშაობის მთავარი ასპარეზი საქართველო. თუ ჩვენ გულწრფელნი ვიქნებით შეთანხმების მიზანში, ყველასათვის მისაღები შეთანხმების ფორმულის მოძებნა არ გაგვიჭნელდება.

დღევანდელი მდგომარეობა იმდენად ხელსაყრელია დამოუკიდებლობის მისაღწევად, რომ უკეთესის წარმოდგენა ძნელია და ჩვენ ასეთ დროს დამოუკიდებლობა ვერ მოვიპოვეთ ეს იქნება ერის ხელმძღვანელთა დანაშაული, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვება საეჭვო გახდება თუ მთავარ ხელმძღვანელ პოლიტიკურმა პარტიებმა. მახლობელ მოკმედებისათვის შეთანხმებას ვერ მიაღწიეს[149]

პარიზი. 1922 წლის 23 თებერვალი

დანართი №4

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ დაარსებული საზღვარგარეთელ დელეგაციის თანამშრომლობის

წესდება

1. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გადაწყვეტილებით დაარსებულ საზღვარგარეთის დელეგაციაში შედის სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა და ორი წარმომადგენელი გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.

დელეგაციას თავჯდომარეობს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. ყველა საკითხი დელეგაციაში წყდება პარტიათა საერთო შეთანხმებით.

2. დელეგაციას ეკალება მორალური და ნივთიერი დახმარება გაუწიოს საზღვარგარეთის ქართველობას და გამოიყენოს მისი ორგანიზაცია საქართველოს განთავისუფლების ხელშესაწყობად და გასწიოს უცხო ქვეყნებში ქართული საკითხის პროპაგანდა.

3. დელეგაციას ეკალება იქონიოს მუდმივი კავშირი საქართველოს დამკომთან და მის მიერ წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებთან და მათ მოახსენოს, როგორც თავისი მოკმედების ანგარიში და საერთოდ საქართველოს საკითხის საერთაშორისო მდგომარეობა.

4. პოლიტიკური საკითხის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად ხდება შეერთებული სხდომა საქართველოს ეროვნული მთავრობისა და საზღვარგარეთის დელეგაციისა. მთავრობისა და დელეგაციის შეერთებულ სხდომებზე ხდება ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

---

149 სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1045.

5. დელეგაციის ერთი წევრი მთავრობის თავჯდომარესთან შეთანხმებით მონაწილეობას იღებს მთავრობის კონსპირაციულ თუ სხვა საქმეებში და ეპორჩილება მთავრობის რეგლამენტს. მას არა აქვს უფლება თანამდებობის დატოვების და არც შეიძლება მისი უკან გაწვევა.

6. შეერთებულ სხდომებს თავჯდომარეობს მთავრობის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. საკითხი წყდება დამსწრეთა ხმის უმეტესობით. თუ ხმები გაიყო საკითხს წყვეტს თავჯდომარის ხმა.

7. შეერთებული სხდომა ითვლება კანონიერად თუ მას დაესწრო არა ნაკლებ ორ-ორი წევრი მთავრობისა და დელეგაციისა.

8. შეერთებული სხდომის დადგენილებებს ასრულებს მთავრობა და მისი ორგანიზაციები.

9. შეერთებულ სხდომებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე თავის ინიციატივით ან საზღვარგარეთელ დელეგაციის მოთხოვნით.

10. შეერთებული სხდომების ანგარიში ეგზავნება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს და საზღვარგარეთ დელეგაციებში წარმოდგენილ პარტიებს.

11. სხდომის ყველა დადგენილებები ინახება საიდუმლოთ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საწინააღმდეგოს თვით შეერთებული სხდომა დაადგენს[150].

დანართი №5

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საგანგებო ხელშეკრულება

მიღებული 1922 წლის აპრილში

საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით საქართველოს პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ვსდებთ შემდეგ ხელშეკრულებას:

1. დაარსდეს: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" აღნიშნულ პარტიათა თითო წარმომადგენლისაგან. კომიტეტს დაეკალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს განსათავისუ-

---

150 სც�ა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის მიკროპირები, ს. 1492.

ფლებლად მიმართული მთელი მუშაობისა. (შენიშვნა: კომიტეტში ყველა საკითხი წყდება შეთანხმებით).

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უცხოეთში მყოფი კანონიერი მთავრობა განაგრძობს თავის მუშაობას მიმართულს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

3. დამოუკიდებლობის კომიტეტი მხარს უჭერს მთავრობის ამ მუშაობას, მთავრობა კი თავის მხრივ არ დგამს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ახალი ურთიერთობის შემქმნელ ნაბიჯს დამოუკიდებლობის კომიტეტის დაუდასტურებლად.

4. მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ნივთიერი საშუალებანი მხოლოდ დამოუკიდებლობის კომიტეტს ეროვნული მუშაობის საწარმოებლათ იმ ქონებიდან და თანხებიდან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის ან რომლის გამო რესპუბლიკა პასუხისმგებელია. (შენიშვნა: მთავრობასა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის არსებობს ურთიერთ-ფინანსური ანგრიშ-ვალდებულება და კონტროლი).

5. გარდამავალ ხანაში მთავრობის ფუნქციების ასრულება მიენდოს დროებით მმართველობას, რომელსაც შეადგენს დამოუკიდებლობის კომიტეტი კოალიციის საფუძველზე ყველა შეთანხმებულ პარტიათა წარმომადგენლებისაგან იმ აუცილებელი პირობით, რომ არცერთ პარტიას მმართველობაში ერთ მესამედზე მეტი ადგილი არ ჰქონდეს.

6. დროებითი მმართველობა დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი კონსტიტუციის აღსადგენად აცხადებს:

7. ადგილობრივი ხელისუფლების (თვითმართველობის) ორგანოები ეწყობიან დროებითი მმართველობის პრინციპით და არა პროპორციით.

განაპირა კუთხეებში (აფხაზეთში, ბათუმსა და მის ოლქში, ბორჩალოსა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში) ხელისუფლების შექმნის საკითხი რჩება ღიად და გადაწყდება დროებითიმმართველობის მიერ.

შენიშვნა: დროებით მმართველობას უფლება აქვს გამოსცეს განსაკუთრებული დადგენილება საერთოდ და ადგილობრივი ხელისუფლების შედგენის შესახებ.

8. დამფუძნებელი კრება იკრიბება პირველ შემთხვევისთანავე და ადასტურებს დროებით მმართველობას.

9. მთავრობა ჩამოსელისთანავე წარუდგება დამფუძნებელ კრებას მოხსენებით და გადადგება. ასევე მოიქცევა და ამავე დროს გადადგება დროებითი მმართველობა.

ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება ადგენს კოალიციურ მთავრობას იმავე პრინციპით, როგორც დროებითი მმართველობა.

10. დამფუძნებელი კრება უსნის კრედიტს მთავრობას, იმუშავებს კანონს ერთიანი სამხედრო სისტემის შესახებ, ირჩევს საგანგებო საგამომძიებლო პარიტეტულ კომისიას საქართველოს დამარცხების მიზეზე-

ბის გამოსარკვევათ, ირჩევს საარჩევნო პარიტეტულ კომიტეტს და იშ-ლება.

შენიშვნა: დამფუძნებელი კრება გაარჩევს სხვა საკითხებსაც, თუ ამის შესახებ სპეციალური შეთანხმება იქნება პარტიათა შორის.

11. არა უადრეს ორი თვისა დამფუძნებელი კრების დაშლის შემ-დეგ, ან არაუგვიანეს ორი თვისა ხდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები

დამკომის თავჯდომარე: გ. ფალავა

მდივანი: ი. ჯანელიძე[151]

---

[151] მათი ხელმოწერით აღნიშნული ტექსტი 1922 წლის 5 მაისს გადაეგზავნა მთავრობის თავჯდომარეს პარიზში.

G. Zchowrebadze

GEORGISCHE POLITISCHE EMIGRATION UND DIE FRAGE DER UNABHÄNGIGKEIT VON GEORGIEN 1921-1925

Zusammenfassung

Durch die politische und sozial-wirtschaftliche Enwicklung in der zweiten Hälfte des 19 und in den ersten zwanzig Jahren des 20. Jahrhunderts wurden die objektiven Voraussetzungen für den Zerfall des russischen Reiches geschaffen. Der Zerfall des Reiches hat aber den unter dem russischen Joch unterdrückten Völkern die nationale Freiheit gebracht. Dieses waren richtige Bedingungen für die Schaffnung der georgischen demokratischen Republik 1918-1921.

Der auf dem ehmaligen Reichsgebiet verlaufende Widerstandsprozeß der politischen Kräfte stand unmittelbar mit dem politischen Leben von Georgien in Verbindung, besonders dann, als der Sieg des Bolschewismus und die Schaffnung des sowjetischen Rußlands zur Realität wurde.

Aus ideologischen und machtpolitischen Grünen war im Februar-März 1921 die demokratische Republik Georgiens von Sowjetrußland gestürzt worden. Damit war der Friedensvertrag vom 7. Mai 1920 zwischen Georgien und Rußland gekündigt und durch den bewaffneten Überfall das von Rußland anerkannte Land besetzt worden, was später zu einer faktischen Annexion führte. Die Regierung der demokratischen Republik Georgiens emigrierte. Dies alles erklärt, wesbalb von 1921 bis 1925 in Georgien ein erbitter ter Widerstand geleistet wurde.

Es ging um die Freiheit, den Wiederaufbau der verlorenen Unabhängigkeit und um das Streben der Mehrheit der Bevölkerung.

An der Spitze der nationalen Befreiungsbewegung in Georgien 1921-1925 stand die in der Emigration lebende Regierung der demokratischen Republik Georgiens und sehr viele georgische politische Emigranten. Ihre Aktivitäten spielten eine große Rolle in den gesellschaftlich-politischen Organisationen und im Bezig auf die europäischen Regierungen.

Die vielseitige Tätigkeit der georgischen Regierung und der georgischen politischen Emigranten übt auf die Arbeit der georgischen Botschaften und Legationen in Europa und ebenso der Vertreter der politischen Parteien einen großen Einfluß aus.

Dank ihrer Zusammenarbeit wurde im Juni 1921 in Paris von den Vertretern der Kaukasusrepubliken der "Kaukasische Bund" gegründet, dessen

Hauptaufgabe war eine gemeinsame Front im Kampf für den Wiederaufbau der verlorenen Unabhängigkeit zu bilden.

Das Ergebnis der zielgerichteten Arbeit in allen georgischen politischen Emigrationskreisen war, daß die georgische Frage z.B. auf der Konferenz von Genua gestellt wurde. Sie hatte noch einmal dem Westen gezeigt, was für negative Folgen der Bolschewismus Georgien gebracht hatte. Ähnliahe Arbeit wurden auch auf Konferenzen in den Haag und Lausanne, auf Tagungen des Völkerbundes oder bei der Zusammenarbeit mit den westlichen politischen Parteien geleistet.

Besonders hervorzuheben ist die Tätigkeit der Regierung der demokratischen Republik Georgiens in der Emigration. Sie wandte sich besonders an die europäischen Regierungskreisen in zahlreichen Begegnungen, Noten und Reden in Frankreich, England, Deutschland, der Schweiz, Italien, der Türkei und den anderen Ländern. Ihre Offenheit oder Unaufmerksamkeit, ihre Unterstätzung oder Vernachlässigung der georgischen Frage war niemals ohne Folge.

Es gelang den georgischen politischen Kräften allerdings nicht in Europa politische Anhänger zu finden.

Positiv war auch die Arbeit der politischen Emigranten im Hinblick auf die Unterstützung der in Georgien gebliebenen kämpfenden räfte. Das wurde vor allem in der komplizierten und vielseitigen Tätigkeit des Interparteikomitees deutlich, das eine koordinierende Funktion zwischen der Regierung und dem Unabhängigkeitskomitte übernommen hatte.

Was den Aufstand 1924 in Georgien betrifft, muß man deutlich sagen, daß die Rolle der politischen Emigration in seiner Vorbereitung im August besonders groß ist. Es ist nicht wahr, daß nur diese Kräfte darauf drangten, den kampf gegen den Bolschewismus nicht zu verschieben und daß nur sie zum Aufstand aufrief. Das von uns analysierte Material erlaubt uns folgende Feststellung: die georgische Regierung und die politischen Emigranten haben nur die Funktion von Mitkämpfern übernommen. Man kann aber sie nicht als Anführer oder "Inspirator" bezeichnen wie die sowjetische Geschichtsschreibung tat.

Trotzdem darf man sagen, daß die georgische Emigration ein integrierender Bestandteil der georgischen Nation und im Dienst der großen Ideale der Menschheit blieb.

შესავალი..... გვ. 3
თავი პირველი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში..... . გვ. 12
პ. 1. საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება და მისი ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ..... გვ. 12
პ. 2. საქართველოს ემიგრანტული მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა პოლიტიკურ-ორგანიზაციული საქმიანობა, დიპლომატიური მისიები და წარმომადგენლობანი ევროპაში..... . გვ. 28
პ. 3. საქართველოს საკითხი ევროპის მთავრობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში..... გვ. 46
თავი მეორე. საერთაშორისო კონფერენციები და ერთა ლიგა საქართველოს შესახებ..... გვ. 64
თავი მესამე. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტისათვის საქართველოში..... .გვ. 81
პ.1. პოლიტიკური პარტიები ინტერპარტიულ კავშირში..... გვ. 81
პ. 2. ანტიბოლშევიკური გამოსვლები და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია..... გვ. 102
დასკვნა..... გვ. 121
დანართი..... გვ. 124
რეზიუმე (გერმანულ ენაზე)..... გვ. 135

Гогі Варламович Цховребадзе

ГРУЗИНСКАЯ ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭМИГРАЦИЯ И ВОПРОС НЕЗАВИСИМОСТИ ГРУЗИИ В 1921-1925 ГОДАХ
(на грузинском языке)

Издательство "Меридиан"

გამომცემლობის რედაქტორი ნ. დურგლიშვილი
კორექტორი მ. ყილაძე

ტირაჟი 500

უასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა "მერიდიანი", კოოპერატივი "თეტი"
თბილისი, გურამიშვილის გამზ. 74